უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

ბიზნესი & კანონმდებლობა

№2 აპრილი-ივნისი 2017

www.b-k.ge
info@iverioni.com.ge

№2 April-June 2017

Business & Law

ISSN 1987 - 6041
9 771987 604000

ბიზნესი და კანონმდებლობა

№2 აპრილი-ივნისი

2017

სამეცნიერო,

ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი

რეფერირებადია 2008 წლიდან

WWW.B-K.GE

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. შემოსული სტატიების შინაარსზე და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, კოსტავას ქ. 6. სართული 3.
ტელ: 293-53-28, 599 56-14-57, 574 43-64-27
ვებ გვერდი: www.b-k.ge
e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება „**საქართველოს ბანკი**“;
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა GE30BG0000000850902700; ს/კ 404956455.

მამომცემლები:

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია, საინფორმაციო-ანალიტიკური საამენტო „ივერიონი“

რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე:

ზაურ ნაჭყებია

მთავარი რედაქტორი:

იური პაპასქუა, ეკ. მეცნ. აკად. დოქტორი, პროფესორი

პასუხისმგებელი რედაქტორი:

ილონა ადამია

ტექნიკური რედაქტორი:

ლევან ბოჭორიშვილი

სამეცნიერო საბჭო:

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:
მიხეილ ჯიბუტი (საბჭოს თავმჯდომარე), ნოდარ ჭითანავა, ელგუჯა მექვაბიშვილი, პაატა კოლუაშვილი, ნოდარ ხადური, ნატო კაკაშვილი, ნანა შონია, დავით ჯალაღონია, თემურ ხომერიკი, კოტე აბულაძე, ნიკოლოზ ჩიხლაძე, ლარისა თაკალანძე, გიორგი ღავთაძე, ლია ელიავა, დავით ჭიოტაშვილი, სულიკო ფუტკარაძე, დემნა კვარაცხელია, ანზორ მესხიშვილი, ბორის ჭიჭინაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი
ავთანდილ სილაგაძე.
სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
ჯემალ გახოკიძე.
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გურამ ნაჭყებია.
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მამუკა თავხელიძე.

რობერტ ვ. მაკგი (აშშ ფაეტეევილის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პროფესორი)

ვინსენტ რ. ჯონსონი (სანტ-მარის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი, სან ანტონიო, ტეხასი, აშშ)

ანტონი ვ. დნესი (ნორტცენტრალის უნივერსიტეტის უმაღლესი სკოლის პროფესორი, პრესკოტის ველი, არიზონა, აშშ)

ბერნარდ ზიგლერი (ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი),

იოჰან ფიშერი (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი),

ალი ალერზევი (ბაქოს სახ. უნივერსიტეტის პროფესორი).

მარი ლანგი (EFAA-ს ტექნიკური დირექტორი).

ანნა კარმანსკა (პროფესორი, EFAA-ს გამგეობის წევრი, ვარშავის კომერციის უმაღლესი სკოლის ბუღალტრული აღრიცხვის კათედრის ხელმძღვანელი).

ალექსეი რუფი (რუსეთის ფედერაციის ბუღალტრულ ექსპერტთა და ფინანსურ აუდიტორთა გილდიის გამგეობის თავმჯდომარე, აუდიტორულ საკონსულტაციო ჯგუფის „რუფაუდიტ/ინაუდიტ ალიანსის“ გენერალური დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე).

ლილია გრიგოროი (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მოლდოვეთის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი).

ფედერიკო დიომედა (დოქტორი, EFAA-ს პრეზიდენტის საგანგებო მრჩეველი).

რობინ იარვერსი, (პროფესორი, ASSA-ის საგანგებო მრჩეველი).

BUSINESS & LAW

№2 APRIL-JUNE 2017

SCIENTIFIC, ANALYTICAL-PRACTICAL JOURNAL
Referenced since 2008

WWW.B-K.GE

The Journal is governed by free press principles. The editorial board point of view may not necessarily agree with the point of view expressed by the authors. Therefore the Editorial Board does not pledge any responsibility on the content of the articles submitted by the Authors.

ADDRESS OF EDITORIAL BOARD:
Tbilisi, Kostava str. 6.
Tel: 293-53-28, 599 56-14-57, 574 43-64-27
URL: www.b-k.ge
e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

Bank details:
JSC Bank of Georgia
Bank code: BAGAGE22
c/a GE30BG0000000850902700 i/c 404956455

PUBLISHERS:
THE FEDERATION OF AUDITORS, ACCOUNTANTS AND FINANCIAL MANAGERS OF GEORGIA;
INFORMATION – ANALYTICAL AGENCY „IVERIONI“

CHAIRMAN OF THE BOARD OF EDITORS:
ZAUR NACHKEBIA

EDITOR - IN – CHIEF
IURI PAPASQUA, Doctor of Economics, Professor

EDITOR – IN – CHARGE
ILONA ADAMIA

TECHNICAL DIRECTOR:
LEVAN BOCHORISHVILI

EDITORIAL BOARD:

DOCTORS OF ECONOMICS, PROFESSORS:
Mikheil Jibuti (Chairman of the Board), Nodar Chitanava, Elguja Mekvabishvili, Paata Koguashvili, Nodar Khaduri, Nato Kakashvili, Nana Shonia, Davit Djalagonia, Temur Khomeriki, Kote Abuladze, Nikolodz Chikhladze, Larisa Takalandze, Giorgi Gavtadze, Lia Eliava, Davit Chiotashvili, Suliko Futkaradze, Demna Kvaratskhelia, Giorgi Rusiashvili, Anzor Meskhishvili, Boris Chichinadze.

Member-correspondent of the Georgian Academy of Sciences
AVTANDIL SILAGADZE
Doctor of Law and Politics Sciences
JEMAL GAKHOKIDZE
Doctor of Legal Sciences, Professor
GURAM NACHKEBIA
Doctor of Pedagogical Sciences
MAMUKA TAVKHELIDZE
Fayeteville State University Professor

ROBERT MCGEE (USA)
Professor of Law, St. Mary's University (San Antonio, Texas, USA)

VINCENT R. JOHNSON,
The Graduate School, Northcentral University,
(Prescott Valley, Arizona, USA)

ANTONY W. DNES
Berlin University Professor

BERNARD ZIGLER (GERMANY)
Bonn University Professor,

IOHAN FISHER (GERMANY)
Baku State University, Professor

ALI ALERZEVI (AZERBAIJAN)

MARIE LANG, Technical Director of EFAA

ANNA KARMAŃSKA, Professor, EFAA Board Member,
Warsaw School of Economics.

ALEXEY RUF, Chairman of the Board of Guild of Accountant
Experts and Financial Auditors of Russian Federation.

LILIA GRIGOROI, Ph. D.in Economics, Head of Accounting Department,
Academy of Economic Sciences of Moldova.

FEDERICO DIOMEDA, doctor, Special Adviser to the President of EFAA.

ROBIN JARVIS, Professor, Special Adviser,
Association of Chartered Certified Accountants.

შინაარსი

პაატა კოღუაშვილი
ქართული ჩაი ჩინური „არომატით“, ანუ
რის მოლოდინშია გურია, სამეგრელო და იმერეთი! ---------- 5

ლევან კალანდაძე
უძრავ ქონებაში ინვესტირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები 9

მამუკა გიორგაძე
კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ჩადებული ნაღმები მალე აფეთქდება ---------- 13

ბესიკ ბოლქვაძე
სათამაშო ბიზნესის საფინანსო-ეკონომიკური
და სოციალურ-ეკონომიკური დეტერმინანტები ---------- 20

მანანა ხარხელი, ტრისტან ჯინჭარაძე
ორგანიზაციისადმი პერსონალის ერთგულება, როგორც მისი არამატერიალური
აქტივი ---------- 26

ლანა სულაკაძე
ელექტროენერგეტიკული სექტორის რეგულირება
და საკანონმდებლო მიმოხილვა ---------- 31

ალექსანდრე ჩხიტაური
საგადასახადო დავის განხილვის სამართლებრივი თავისებურებანი ---------- 35

მანანა ხარხელი
მენეჯერების პიროვნული დროის მართვის
ემპირიული გამოკვლევა საქართველოში ---------- 40

ქართული ჩაი ჩინური „არომატით“, ანუ რის მოლოდინშია გურია, სამეგრელო და იმერეთი!

პაატა კოღუაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებატა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი

მეჩაიეობა ქართული ეკონომიკის წამყვანი დარგად ითვლებოდა, სადაც გასული საუკუნის 80-იან წლებში დასაქმებული იყო 180–180 ათასი კომლი, ხოლო ჩაის პლანტაციების ფართობი 73.0 ათას ჰექტარს შეადგენდა.

მიუხედავად სახელმწიფოს მიერ ამ დარგში განხორციელებული არაერთი პროგრამისა, ბოლო 25 წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციების ფართობი ინტენსიურად მცირდებოდა და საბოლოოდ დარგი სრული განადგურების წინაშე დადგა. ამის მიზეზს ერთის მხრივ – სახელმწიფო ქონების, კერძოდ გადამმუშავებელი საწარმოების პრივატიზაციის წარმართვისას დაშვებული სერიოზული შეცდომები, ხოლო მეორეს მხრივ, მეჩაიეობის დარგის განვითარების არასწორად დაგეგმილი სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორის პროგრამები წარმოადგენს.

კერძოდ, არ განხორციელდა ჩაის ფოთლის წარმოებისა და გადამუშავების ინტეგრირებული, ერთიანი საწარმოო ციკლის ხელშემწობი სისტემური პრგრამები, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ ჩაის ფოთლის წარმოებაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობისა და კოოპერატივის ფარგლებში გადამმუშავებელ საწარმოსთან ინტეგრირების, ანუ ვერტიკალური ინტეგრაციის ხელშეწყობის გზით.

აღნიშნულ სახელმწიფო პროგრამებში ორ ათეულ მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა ჩაის გადამმუშავებელი საწარმოების ხელშეწყობაზე, როცა ცალკე, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ხდებოდა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის დაფინანსება. სწორედ ასეთი გაუაზრებელი, არასისტემური პოლიტიკის შედეგია, რომ არ განხორციელდა მეჩაიეობის დარგის ეფექტური ორგანიზაციული მოწყობა, რომელიც უპირატესად ორიენტირებული იქნებოდა დარგში დასაქმებული ათი ათასობით ადამიანის ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დაკმაყოფილებაზე – მხოლოდ ამგზით აღნიშნულ პროექტებს შეექმნებოდა მდგრადი სიცოცხლისუნარიანობისა და ინტენსიური განვითარების საფუძვლები.

იმის გამო, რომ ჩაის ფოთლის წარმოებიდან მოსახლეობამ ვერ მიიღო ადეკვატური სარგებელი, მოხდა ჩაის პლანტაციების გადაწვა და ამ მიწებზე სხვა კულტურების განთავსება. შედეგად მივიღეთ უკვალოდ და უშედეგოდ გამქრალი რამდენიმე ათეულ მილიონი ლარი სახელმწიფო თანხა და ათიათასობით ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან დარჩენილი მხოლოდ 8 ათასი ჰექტარი და ეს ხდება მაშინ, როდესაც მსოფლიოში ჩაის პროდუქციაზე მოთხოვნა ყოველწლიურად 2–3 პროცენტით იზრდება.

დღეს, როდესაც ქვეყანაში ინტენსიურად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის პროცესი, მეჩაიეობის დარგის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დაწყება იყო იმედისმომცემი, რომ ბოლოსდაბოლოს გატარდებოდა რეფორმისტული პოლიტიკა და აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კოოპერირების ფორმების გამოყენებით მოხდებოდა მეჩაიეობის დარგის რაციონალური ორგანიზაციული მოწყობა.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მოლოდინი არ გამართლდა. პროგრამის ბიუჯეტი დაგეგმილი იყო 3.5 მლნ ლარის ოდენობით, რომლის ათვისების ეფექტიანობა დაბალია, რასაც განაპირობებს პროგრამაში ისეთი ნორმების გაუთვალისწინებლობა, რაც მორგებული იქნებოდა ბენეფიციარების, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესაძლებლობებზე.

მნიშვნელოვანია, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სახით დღეს ქვეყანაში უკვე არსებობს ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომელიც ორიენტირებულია არა დაქირავებული შრომის, არამედ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შრომითი რესურსის კაპიტალიზაციაზე და სამეწარმეო განვითარების სტიმულირებაზე, რაც არსებულ პირობებში წარმოადგენს მათი შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის, ადგილზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეალური პერსპექტივის შექმნის და რეგიონებში უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღების ყველაზე კარგ საშუალებას.

ასეთი ტიპის სამეურნეო სისტემაში კოოპერატივის თითოეული წევრი შემოსავლების გაზრდის მიზნით დაინტერესებულია აწარმოოს უფრო მეტი რაოდენო-

ბისა და მაღალი ხარისხის პროდუქცია და ამავე დროს, აქტიურადაა ჩართული გადამამუშავებელი საწარმოო პროცესების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სრულყოფაში, საბოლოო პროდუქციის რეალიზაციაში და ახორციელებს ერთიანი საწარმოო ციკლის მონიტორინგს სამეწარმეო საქმიანობის ყველა დონეზე. მეურნეობრიობის ეს ფორმა ერთის მხრივ – საფუძველს უქმნის შემდგომ ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის უფრო მაღალი (მეორე, მესამე) დონის მქონე კოოპერაციული ფორმების შექმნას, ხოლო მეორეს მხრივ – ქმნის აგრარულ საწარმოთა დაფინანსებაში ახალი, ეფექტური ელემენტების შეტანის მოტივაციას.

საქართველოს აგრარული სექტორის არსებილი მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც ძირითადად დაკავშირებულია 800000-მდე მცირემიწიანი ფერმერის მცირემასშტაბიან სამეურნეო საქმიანობასთან, მხოლოდ კოოპერაციული, ანუ ეკონომიკური და სოციალური სოლიდარობის სისტემის ხელშეწყობით არის შესაძლებელი რეგიონებში სიღარიბის დაძლევისა და ჯანსაღი საშუალო ფენის ჩამოყალიბების რთული პროცესის განხორციელება.

„ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამის“ მიხედვით, (ციტ.): **„სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებს შეასრულებს სააგენტოს მიერ წინასწარ შერჩეული რეაბილიტაციის განმახორციელებლი კომპანიებიდან ერთ-ერთი.“**

სასოფლო-სამეურნეო სატატუსის მქონე კოოპერატივების შემთხვევაში მიზანშეწონილი და აუცილებელი იყო, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები შეესრულებინათ თვითონ კოოპერატივებს, რასაც ისინი განახორციელებდნენ მხოლოდ საკუთარი მეპაიეების შრომითი

რესურსების გამოყენებით, ყოველგვარი გასამჯელოს გარეშე, რაც პროგრამით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან სახელმწიფო თანხებს გამოიყენებდა იმ რეალური პრობლემების მოსაგვარებლად (ნაკვეთების შემოღობვა, სასუქების და შხამქიმიკატების შესყიდვა და სხვა), რაზეც კოოპერატივებს მათი შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სჭირდებათ ქმედითი ფინანსური დახმარების აღმოჩენა. მითუმეტეს, ხშირ შემთხვევაში (განსაკუთრებით ფერდობებზე განლაგებული ჩაის პლანტაციების პირობებში) ეს სამუშაოები შესასრულებელია მცირე მექანიზაციითა და ხელით.

შეზღუდული მატერიალური რესურსების პირობებში, კოოპერატივების მეპაიეების შრომითი რესურსების სტიმულირება და ამოქმედება, მიმდინარე პერიოდში წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორია, რომელმაც ჯეროვანი ასახვა უნდა ჰპოვოს შესაბამის სახელმწიფო პროგრამებში. გაწეულ სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე განხორციელდებოდა მონიტორინგი სოფლის მეურნეობის „პროექტების მართვის სააგენტოს“ მხრიდან, ხოლო სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ მხრიდან მათ მიმართ ისედაც ხორციელდება მონიტორინგი. კოოპერატივების ამ უაღრესად მნიშვნელოვანი რესურსის არდანახვა (შეგნებულად თუ შეუგნებლად) და გამოუყენებლობა იმთავითვე წარმოადგენდა სახელმწიფო ფულადი რესურსების არარაციონალური განკარგვის წინაპირობას, რაზეც მაშინვე გამოვაქვეყნე ჩემი მოსაზრება გაზეთ „რეზონანსში“.

გარდა ამისა, აღნიშნული სამუშაოების კოოპერატივების მიერ შესრულების შემთხვევაში შესაძლებელი იყო აღნიშნული თანხა სრულად მიმართულიყო უშუალოდ სარეაბილიტაციო ღონისძიებებზე, რომლის საერთო ღირებულება რეალურად 2–3-ჯერ აღემატება სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული თანხების მოცულობას, ხოლო პლანტაციების რეაბილიტაციის მიზნით ცალკე კომპანიის შერჩევა და მათზე ამ სამუშაოს დაკისრება, ნაკლებადეფექტურია, რადგან ისინი გადაიხდიან დღგ–ს, საშემოსავლო და მოგების გადასახადებს, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო დაფინანსების (2500 ლარი 1 ჰექტარზე) სულ მცირე მეოთხედი გადასახადებს მოხმარდება. მართალია, ეს თანხა საბოლოოდ სახელმწიფო ბიუჯეტში აისახება, მაგრამ პროგრამაში მონაწილე სუბიექტებისთვის მნიშვნელოვან დანაკარგს წარმოადგენს.

ამავე პროგრამით, (ციტ.): **„კოოპერატივს უნდა ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები (საკუთარი ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის შემთხვევაში სარეაბილიტაციო სამუშაოების არანაკლებ 20% და პროგრამის ფარგლებში იჯარის უფლებით მისაღები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციის შემთხვევაში – არანაკლებ 10%) სარეაბილიტაციო სამუშაოების საკუთარი თანამონაწილეობის დასაფინანსებლად, რაც დადასტურებული უნდა იყოს ამონაწერით/ცნობით ბაკიდან ანგარიშზე თანხის არსებობის შესახებ.“**

კოოპერატივის თანამონაწილეობის შესაბამისი თანხის არსებობის ბანკის ამონაწერით დადასტურება,

ჩაქვის ძართული ჩაის პლანტაციებში, 1909-1915 წლები.

პრობლემატურია, რადგან კოოპერატივები პრაქტიკულად იმყოფებიან სტარტაპ-ის მდგომარეობაში და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ფინანსური რესურსების მწვავე დეფიციტს განიცდის. პროგრამით გაუთვალისწინებელ სარეაბილიტაციო ღონისძიებებისთვის საჭირო ფინანსური სახსრების მობილიზება-მოძიებასთან ერთად, პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ 5 ჰექტარი ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციაში თანამონაწილეობისთვის მათ დამატებით ჭირდებათ 2500 ლარი.

აღნიშნული თანხები კოოპერატივების უმრავლესობას არ გააჩნია, ხოლო კომერციული ბანკები ამ მიზნით არ გასცემენ სესხებს თუნდაც იმ მოტივით, რომ რეაბილიტაციის პროცესი მოიცავს 2–3 წლიან პერიოდს, რომლის განმავლობაში კოოპერატივები იქნებიან გადახდისუუნარონი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ მიიღებს მონაწილეობას „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამაში“ იმის გამო, რომ მათ თავისი კოოპერატივის ფარგლებში არა აქვთ დაგეგმილი გადამმუშავებელი საწარმოს მოწყობა, რადგან ამას ისინი გეგმავენ სხვა კოოპერატივებთან ერთად რესურსების გაერთიანებით მეორე დონის კოოპერატივის ფარგლებში, მასშტაბური წარმადობის საწარმოს შექმნის გზით, რაც წარმოების კონცენტრაციისა და სახელმწიფო სახსრების რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილი და მხარდასაჭერია, ვიდრე, პროგრამაში მონაწილე ყველა კოოპერატივის მიერ ცალ-ცალკე გადამმუშავებელი საწარმოების შექმნა.

ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების უმრავლესობა ვერ მიიღებს მონაწილეობას ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში. მაშასადამე, ადრე განხორციელებული პროგრამების მსგავსად, ეს პროგრამაც გათვლილია დიდი ფართობების მქონე ინდივიდებზე ან შპს-ებზე, რომლებიც მხოლოდ დაქირავებული შრომის გამოყენებაზე არიან ორიენტირებული და ყველაზე უარეს შემთხვევაში, სხვა ქვეყნების კომპანიების მოზიდვაზე მათთვის სახელმწიფო მიწების გადაცემაზე, რასაც აუცილებლად მოჰყვება უცხო ქვეყნის მოქალაქეების მასიური შემოდინება სამეურნეო სამუშაოებში მათი დასაქმების მოტივით იმ ტერიტორიებზე მათი მუდმივი დამკვიდრების მიზნით.

კოოპერაციული პროცესის მნიშვნელობის არასათანადო შეფასებიდან და ხშირ შემთხვევაში იგნორირებიდან გამომდინარე, უკვე აღარ არის გასაკვირი „საპარტნიორო ფონდისა“ და საქართველოს მთავრობის აქტიური მხარდაჭერა მეჩაიეობის დარგში ჩინური კომპანიების შემოყვანის თაობაზე, რაც გულისხმობს მათზე სარგებლობის უფლებით 12 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციის გადაცემას, რაც აუცილებლად გამოიწვევს ქვეყანაში ჩინელი მუშახელის შემოყვანას და მათ დასახლებას დასავლეთ საქართველოს ჩაის პლანტაციების გავრცელების ტერიტორიებზე – გურიის, სამეგრელოსა და იმერეთისრეგიონებში.

ეს ხდება მაშინ, როდესაც მარტო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში უკვე შექმნილია ჩაის ფოთლის მწარმოებელი 19 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. ეს ყველაფერი აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ პროექტი თავიდანვე მიზანმიმართულად იქნა დაგეგმილი ისეთი დიზაინით, რომ გარანტირებული ყოფილიყო მისი წარუმატებლობა, რათა ნომენკლატურული კორუფ-

ციული ინტერესებიდან გამომდინარე მომხდარიყო ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობებით სამეწარმეო განვითარების პერსპექტივის დისკრედიტირება და ამ გზით შექმნილიყო უცხოური კომპანიების შემოყვანისა და მათზე ათასობით ჰექტარი ქართული მიწების გადაცემის მოტივაცია (ეს აშკარად ღალატის ტოფასია!).

ინვესტიციები სოფლის მეურნეობის დარგში ძალიან დიდ სიფრთხილეს და სიღრმისეულ გაანალიზებას მოითხოვს, რაშიც, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება და მზაობა განსახორციელებელი პროექტების მიმართ. მეჩაიეობის დარგში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები შეიქმნა სწორედ იმ მიზნით, რომ მოსახლეობამ მოახდინოს ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია, მაღალხარისხიანი ჩაის ფოთლის წარმოება, გადამუშავება და ამ გზით შეიქმნას შემოსავლების ზრდისა და ადგილებზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა. გაუგებარი და ყოველგვარ რაციონალურ აზრს მოკლებულია, თუ რატომ არ შეიძლება, ნაცვლად ქვეყნის ერთერთი შემოსავლიანი დარგის მართვის სადავეების უცხოურ კომპანიებზე გადაცემისა და უცხო ტომის ადამიანების ჩამოსახლებისა, ბოლოსდაბოლოს ხელისუფლება ენდოს საკუთარ მოსახლეობას, რომლის გარკვეული ნაწილი იძულებულია მეზობელ ქვეყნებში წავიდეს ჩაის ფოთლის საკრეფად, როცა გააზრებული, უშუალოდ პროდუქციის მწარმოებელ ადამიანებზე გათვლილი პროგრამების განხორციელების შემთხვევაში არსებობს საკუთარ ქვეყანაში მათი დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის რეალური პერპექტივა.

საბოლოოდ ისევ მივდივართ მთავარ საკითხთან, რომ აგრარული სექტორის დაფინანსება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რიგ კონკრეტულ საკითხებზე, რომელთა შორის ყველაზე მთავარია დაფინანსების მიმღები სუბიექტის სწორად განსაზღვრა, რაც უზრუნველყოფს ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების რაციონალურ გამოყენებას და ეფექტურ მართვას.

აღნიშნული პრობლემის სისტემური გადაწყვეტა ხელს შეუწყობს მეჩაიეობის დარგში მეურნეობრიობისათვის საჭირო პირობების შექმნას, ძლიერი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბებას, მოსახლეობის აქტივობის გაძლიერებას, სამეურნეო საქმიანობაში მათ მასობრივ ჩართულობას, აღწარმოების მასშტაბების გადიდებას და კონკურენტული გარემოს ფორმირებას, რაც საბოლოო ანგარიშით შექმნის მყარ გარანტიებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

რა თქმა უნდა, შპს-ებსა და მოგებაზე ორიენტირებულ სხვა სამეწარმეო ფორმებს თავისი ადგილი და მნიშვნელობა ენიჭებათ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ თუ არსებობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვა, უფრო ძლიერი მოტივები და შესაბამისად, პროგრამები, რომლებიც ზემოქმედებენ საზოგადოების მრავალრიცხოვანი წევრების, როგორც სამეწარმეო სუბიექტების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, მაშინ სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებათა იგნორირება, ან მათი განხილვა შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებულ სხვა სამეწარმეო ფორმების, მათ შორის უცხოური კომპანიების ინტერესების პარიტეტულად, უნდა ჩაითვალოს როგორც უკეთეს შემთხვევაში გაუაზრებელი, ხოლო უარეს შემთხვევაში კარგად გააზრებულ „შეცდომად“.

შესაბამისად, მთავრობისა და საპარტნიორო ფონდის ასეთი პოლიტიკა არანაირ გამართლებას არ ექვემდებარება, როგორც სახელმწიფო რესურსების რაციონალური განკარგვის, ასევე, ეროვნული ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

უძრავ ქონებაში ინვესტირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები

ნებისმიერი საკითხის შესწავლის პროცესში მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ბაზა, რომლითაც რეგულირდება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ურთიერთობები. აღსანიშნავია, რომ ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია მიწასა და ზოგადად უძრავ ქონებასთან, რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს სამოქალაქო და საგადასახადო კოდექსებით, ასევე საქართველოს კანონებით: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", „საჯარო რეესტრის შესახებ", „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ", „სახელმწიფო ქონების შესახებ" და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

საქართველოს კანონი **„სახელმწიფო ქონების შესახებ"** აწესრიგებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. სახელმწიფო ქონება, თავის მხრივ, კი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მოძრავ და უძრავ ნივთებს, ასევე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს. უძრავი ქონება აუცილებელი კომპონენტია, როგორც საწარმოების, ისე მოსახლეობის არსებობისთვის. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი ყურადღების ობიექტი ხდება, როგორც მოსახლეობის, ასევე ინვესტორების მხრიდან. სწორედ ამიტომ უნდა შემუშავდეს უძრავი ქონების სფეროში არსებული მდგომარეობის შესაბამისი სამართლებრივი მიდგომები, რათა სათანადოდ გათვალისწინებული იქნეს მოსახლეობისა და ინვესტორების ინტერესები.

უძრავ ნივთს (ქონებას) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შემდეგნაირად განმარტავს: **„უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომელიც მყარად დგას მიწაზე"**[1].

აღნიშნული ჩანაწერიდან გამომდინარე, უძრავ ქონებას მიეკუთვნება **მიწის ნაკვეთი და მასთან მყარად დაკავშირებული ნებისმიერი ქონება.** თუ გარიგების მონაწილე მხარეების მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უძრავ ქონებაში იგულისხმება მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული მცენარეები და ნაგებობები. როცა იყიდება შენობა, ახალ მესაკუთრეზე გადადის მიწის ნაკვეთიც (ეზო) და პირიქით, როცა იყიდება მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული მცენარეები და ნაგებობები თავისთავად შემძენის საკუთრება ხდება თუ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცალკე არ არის განსაზღვრული სხვა რამე პირობა. ანუ ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა აისახოს ორივე მხარის ინტერესები, ყველა ნიუანსი და წამოჭრილი პრობლემების რეგულირების მექანიზმი.

სამოქალაქო კოდექსი ყურადღებას ამახვილებს ასევე, ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილის საკითხზე. კოდექსის შესაბამისად, **ნივთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ნივთი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე. ამასთან, ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი, ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.** მაგალითად ხაზოვანი ნაგებობები – რკინიგზა, ელექტრო-გადამცემი ხაზები, მილსადენები და სხვა. ამასთან, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს.

უძრავ ნივთთან დაკავშირებით ამა თუ იმ პირს შეესაძლოა გააჩნდეს სარგებლობის უფლება, რაც მას ნებას რთავს კანონით ან ხელშეკრულებით დადგენილი წესების შესაბამისად, ფლობდეს და განკარგოს იგი. ასევე ამა თუ იმ პირს შესაძლოა გააჩნდეს სხვისი საკუთრების შეზღუდული სარგებლობის უფლება, რაც ვლინდება აღნაგობის, უზურფრუქტისა და სერვიტუტის შესაძლებლობებში.

საკრედიტო სესხებისა თუ სხვა სახის მომსახურების შესრულების უზრუნველყოფის გარანტად მიწისა და უძრავი ქონების გამოყენება აპრობირებულია და წარმატებით მოქმედებს ყველა მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანაში. აღნიშნულს იპოთეკა ეწოდება, რომელიც წარმოადგენს საბაზრო, განსაკუთრებით კი საკრედიტო ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით განსაზღვრულია, რომ: „უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირ-

1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 149-ე მუხლი

თული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით"[1]. აქვე ავღნიშნოთ, რომ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებს წარმოადგენს: გაცვლა, ჩუქება, ქირავნობა, იჯარა, ლიზინგი და თხოვება.

საქართველოში მიწისა და უძრავი ქონების მიმართ წარმოშობილი უფლებების რეგისტრაცია ხდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილებების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

საჯარო რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება საკუთრების, იჯარის, უზუფრუქტის, აღნაგობის, სერვიტუტის და სხვა სანივთო უფლებები. სანივთო უფლებების გარდა, საჯარო რეესტრში აისახება მიწის ნაკვეთის და სხვა უძრავი ქონების შესახებ ისეთი მონაცემები, როგორიცაა ნივთის – ადგილმდებარეობა, განლაგება, ფართობი, ფუნქცია, კონკრეტული მესაკუთრის/თანამესაკუთრის და/ან მოსარგებლის ვინაობა, მისამართი და ა.შ. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, საკუთრების, სარგებლობის და სხვა სანივთო უფლება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, ამასთან საჯარო რეესტრში არსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აღსანიშნავია, რომ რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, რაც გულისხმობს იმას, რომ რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1996 წლის 22 მარტს მიღებულ იქნა კანონი „**სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ**", რომელიც წარმოადგენს იმ სამართლებრივი აქტების, ბრძანებულებებისა თუ დადგენილებების საბოლოო გამოხატულებას, რომლებიც იქმნებოდა 1992 წლიდან დაწყებული და რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენდა მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებისა და საკუთრების მართვის პრინციპების ჩამოყალიბება. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვთ, როგორც საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, ასევე უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ პირს.

ურბანული განვითარებისა და საცხოვრისის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამ სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები ჩადებულია არა მარტო სპეციალურ კანონებში, არამედ ისინი მიმობნეულია თითქმის ყველა კანონში. ამასთან, თითქმის ყველა კანონს გააჩნია სივრცითი განზომილება, რაც აუცილებელს ხდის ინვესტორს შეექმნას ამ ჭრილში საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სისტემური ხედვა.

საქართველოში 1992 წელს ბინების პრივატიზების დაწყებისთანავე წამოიჭრა მრავალბინიანი სახლების ახლებურ პირობებში მართვის საკითხის გადაჭრის აუცილებლობა. ამგვარ მართვას აწესრიგებს **„საქართველოს სამოქალაქო კოდექსი"** და 2007 წელს მიღებული კანონი **„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ"**. აღნიშნული ნორმატიული აქტის დებულებები უმეტესად განსაზღვრავს საბინაო ფონდის ღირებულებას.

ინვესტორი განსაკუთრებით ყურადღებით უნდა მოეპყროს ობიექტს (შენობა, ბინა), რომელიც მდებარეობს დაცულ ან სხვა სპეციალურ ზონებში, რადგან ამ ზონებში მოქმედებს განვითარების შემზღუდავი სამართლებრივი ნორმები, რომლებსაც ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქებისათვის ადგენს საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ".

საჯარო რეესტრის სააგენტოს მეშვეობით წარმოებს უძრავი ქონების ამონაწერის მომზადება. კერძოდ, ამონაწერი უძრავ ნივთებზე უფლების რეესტრიდან მზადდება უძრავ ნივთებზე უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრების მონაცემების ერთიანი ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის უძრავ ნივთებზე უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის და საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს.

უძრავი ქონების შეძენით დაინტერესებულ ინვეს-

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 286-ე მუხლი, პირველი ნაწილი

ტორთათვის მნიშვნელოვანია შემდეგი, რომ მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე. ისინი პასუხისმგებელი არიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე.

უძრავ ქონებაში ინვესტირების მსურველთათვის განასკუთრებით საყურადღებოა მიწის ნაკვეთის დანიშნულებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის რეგისტრაცია და მათი შეცვლის საკითხი. ხაზგასასმელია, რომ 2015 წლის 30 ივლისიდან იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით შეცვლაზე ახალი რეგულაციები ამოქმედდა. მომზადდა ინსტრუქცია, რომელმაც ახლებურად დაარეგულირა მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების წესები და პროცედურები. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 6 სექტემბრამდე არ არსებობდა არანაირი რეგულაცია და გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მოქალაქის განცხადების საფუძველზე პრაქტიკულად ავტომატურად, ყოველგვარი შეფასების გარეშე ხდებოდა. 2013 წლის 6 სექტემბრიდან სასოფლო-სამეურნეო მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების საზოგადოებრივ საჭიროებას აფასებდა და შესაბამის გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობა იღებდა, ხოლო, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 2015 წლის 30 ივლისიდან იმ განცხადებების განხილვა, რომლებითაც მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლას ითხოვენ, იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" ხორციელდება.

საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება, საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად გადაგმულ ნაბიჯებთან ერთად, საქართველოში ინვესტიციების მოზიდვისა და განხორციელებების ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია.

ამასთან, 1995 წლის 30 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის დადგენილება **„უცხოური ინვესტიციების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე,** რომელიც ითვალისწინებდა უცხოური ინვესტიციებისთვის საქართველოში ხელშემწყობი რეჟიმის შექმნას, თუმცა აღნიშნულ კანონს არ მოყოლია უცხოელი ინვესტორების დაინტერესება, რისი მიზეზიც გახლდათ რთული ეკონომიკური, პოლიტიკური და კრიმინოგენური ვითარება. ამ და სხვა ფაქტორებმა, ადგილობრივი ინვესტორები დაცვის აუცილებლობასთან ერთად ახალი მოთხოვნების წინაშე დააყენა. სწორედ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით 1996 წლის 12 ნოემბერს მიღებულ იქნა ახალი კანონი **„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ",** რომელიც მიმართული იყო ეროვნული ინვესტიციების რეგულირებისკენ და ასევე, კანონით განისაზღვრა საქმიანობის ისეთი სფეროები, სადაც ინვესტიციები აიკრძალა ან შეიზღუდა, რითაც სტიმული მიეცა უცხოური ინვესტიციების რეჟიმს, მათი რეგულირების, დაცვისა და მოზიდვის ერთიანი ბაზის შექმნით.

საგულისხმოა, რომ საქართველოში უძრავი ქონების ბაზრის განვითარების პარალელურად გაჩნდა კომპანიები, რომლებიც დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა სახის მომსახურებას სთავაზობენ. კერძოდ, დაინტერესების შემთხვევაში უზრუნველყოფენ უძრავი ქონების სფეროში ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებული პროექტების სამართლებრივ მხარდაჭერას, მათ შორის კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწების და სამშენებლო პროექტების (სასტუმროები, საავადმყოფოები, სავაჭრო ცენტრები, საცხოვრე-

ბელი და საოფისე შენობა-ნაგებობები) სამართლებრივ მართვას. აღნიშნული კომპანიების ყურადღების ცენტრშია უძრავი ქონების სფეროში უსაფრთხო და მდგრად ინვესტირებასთან დაკავშირებული ყველა ასპექტი, როგორიცაა: **უძრავი ქონების სამართლებრივი სტატუსის ანალიზი, სამშენებლო პერსპექტივების კვლევა, ურბანული განვითარების დაბრკოლებების მართვა, სამშენებლო ნებართვების მიღებასა და საზღვრების დადგენის მიმართულებით მხარდაჭერა.**

თანამედროვე მსოფლიოში უძრავი ქონება აუცილებელი კომპონენტია, როგორც საწარმოების, ისე მოსახლეობის არსებობისთვის. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი ყურადღების ობიექტი ხდება, როგორც მოსახლეობის, ასევე ინვესტორების მხრიდან. სწორედ ამიტომ შემუშავებული უნდა იქნეს უძრავი ქონების სფეროში არსებული მდგომარეობის შესაბამისი სამართლებრივი მიდგომები, რათა სათანადოდ გათვალისწინებული იქნეს მოსახლეობისა და ინვესტორების ინტერესები.

ლევან კალანდაძე
თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, 12.11.1996;
2.„ საქართველოს საგადასახდო კოდექსი”, 17.09.2010
3. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“, 11.07.2007;
4. საქართელოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, 22.03.1996;
5. საქართველოს კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ“, 11.07.2007;
6. საქართელოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, 21.07.2010;
7. საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, 19.12.2008;
8. ვარდოსანიძე ლ., უძრავი ქონების შეფასების ქალაქთმშენებლობითი და არქიტექტურულ-გეგმარებითი ფაქტორები, თბ., 2010;

LEGAL ISSUES RELATED TO INVESTING IN REAL ESTATE

Levan Kalandadze
PhD student of PhD Program in Business Administration
of the Faculty of Economics and Business, TSU

ABSTRACT

Topicality. In the process of studying any issue, a significant role is given to the legislative basis, according to which the relations related to these issues are regulated. The Law of Georgia “On State Property” regulates the management, disposal, and transfer with right of use of all state property in Georgia. State property, in its turn, represents the state-owned movable and immovable properties, as well as intangible property. Real estate is a necessary component for both the enterprises and the population. Any issue related to immovable property is the subject of attention from both the population and the investors. That is why the legal approaches relevant to the situation in the real estate sector should be worked out, in order to properly consider the interests of the population and the investors. Stimulation of investment activities, along with the steps taken to improve the investment environment is one of the main conditions for attracting and implementing investments in Georgia, which, in turn, is one of the key components of the economic policy of the state.

Purpose of the study. The purpose of the research is to study the existing shortcomings in matters relating to assessment of land plot and ways to improve them.

Research methods. Based on the practical significance of the research problem we used systemic, historical and logical generalization methods of research in the performance of the work. Scientific abstraction, analysis and synthesis methods are also used.

Conclusion. The conclusions and results obtained in the course of the study will contribute to the implementation of land plot assessment methods in practice in accordance with international standards, which, in turn, will facilitate the issue of determining the market value of a specific land plot.

Keywords. Real Estate, Investment Portfolio, Investment Activities, Investment Environment, Diversification

კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ჩადებული ნაღმები მალე აფეთქდება



საქართველოს საკონსტიტუციო კომისიამ გამოაქვეყნა კონსტიტუციის პროექტის სამუშაო ვერსია. კომისიამ, რომელიც ძირითადად „ქართული ოცნების“ წევრებითა და ხელისუფლებისადმი ლოიალური „ესპერტებით“ იყო დაკომპლექტებული, მხოლოდ 4 თვე იმუშავა და ოფიციალურად გამოცხადებულ საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების ნაცვლად კონსტიტუციის ახალი რედაქცია შემოგვთავაზა.

საქართველოს სახელმწიფოსთვის **ეს რიგით მეოთხე საკონსტიტუციო პროცესია. რამდენი ხელისუფლებაც გვყავდა ზუსტად იმდენი.** ყოველი ხელისუფლება (გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი, ივანიშვილი) საკუთარი პოლიტიკური გემოვნებისა და კონიუქტურული აუცილებლობის მიხედვით ცვლიდა და „ირგებდა“ ქვეყნის მთავარ დოკუმენტს.

ნიშანდობლივია რომ ყოველი კონსტიტუციის ტექსტზე მომუშავე **„პროფესიონალ კონსტიტუციონალისტთა“ ძირითადი ნაწილიც უცვლელია. კონსტიტუციის „განხილვაც“ ერთი და იგივე ფორმატში ხდება** უკვე მრავალი ათეული წელია. როგორც ადრე, საბჭოთა პერიოდში (მშრომელებთან, მწველავებთან, მეტალურგებთან და ა.შ), ისე დღესაც ე.წ განხილვებში ძირითადად საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ადმინისტრაციული რესურსია ჩართული. თითო-ოროლა თავისუფალი პიროვნება, რომელიც საკუთარი ნება-სურვილით მონაწილეობს ამ პროცესში ამინდს ვერ ქმნის, ძირითადი მასა მხარს უჭერს ხელისუფლების „მშრომელებზე ზრუნვის“ მორიგ გამოხატულებას.

სხვათაშორის, კონსტიტუციის შექმნაში სახალხო ჩართულობის ბოლო პრეცენდენტი სულ ახლახან ისლანდიაში მოხდა, როდესაც ცხრაასზე მეტმა ადამიანმა თავისი ინიციატივით ძირითადი თეზისები წარმოადგინა, განხილვაში ჩართული იყო საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი, ყველა პოლიტიკური პარტია. ეს თეზისები შეაჯერა 150-მდე პროფესიონალმა იურისტმა და კონსტიტუციონალისტმა, საერთო დოკუმენტი გაკეთდა და შემდეგ, ეს დოკუმენტი საერთო სახალხო განხილვით შეაჯერეს და მერე დაამტკიცეს.

პროექტის ტექსტი, სინამდვილეში, უცნობია მოსახლეობის უმრავლესობისთვის. ხალხი გამოთიშულია სახელმწიფოებრივ საქმეებში მონაწილეობისგან. **კონსტიტუციით გარანტირებული რეფერენდუმი** (მუხლი 3.) პრაქტიკულ ცხოვრებაში აუხდენელი ოცნებაა! არადა, კონსტიტუციის პრეამბულა ცალსახად ამტკიცებს: **„ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები ვაცხადებთ ურყევ ნებას, რომ საქართველო იქნება“... ანუ, პრეამბულის მიხედვით ეს ერის დოკუმენტი უნდა იყოს და არა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიერ მიღებული. კონსტიტუციაში ქართველი ხალხის ნება უნდა ჩანდეს და არა რომელიმე პარტიის.**

კონსტიტუცია ფუძემდებლურ სამართლებრივ დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს იმ წესრიგის საფუძვლებს, რომელზეც დგას სახელმწიფოს, როგორც ორგანული სოციალური სისტემის ინდივიდუალობა და მთლიანობა. იგი უნდა ასახავდეს ხელისუფლების ორგანიზებისა და საზოგადოების მართვის, სამართლისა და სამართლებრივი სისტემის მოწყობის ზოგად წესებს, ასევე იმ სულიერ და ზნეობრივ ფასეულობებსა და ნორმებს, რომელზეც დგას ჩვენი საზოგადოება – რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეების ცხოვრების ერთიანობას, არეგულირებენ და იცავენ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას და მის უნიკალობას. ამ მხრივ, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ საყოველთაო-სახალხო განხილვაზე გამოტანილი საქართველოს კონსტიტუციის პროექტი ვერ აკმაყოფილებს ამ სახის დოკუმენტისადმი წაყენებულ პირობებს.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის პროექტი **არ წარმოადგენს პოლიტიკურ-სამართლებრივი კონსესუსის პროდუქტს.** კერძოდ, მასში შეუთანხმებელია, **თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფო საქართველო და როგორ ვაპირებთ ქართული**

სახელმწიფოს მშენებლობას. კომისიამ და ქვეყნის პოლიტიკურმა ლიდერებმა თავი აარიდეს სახელმწიფოს განვითარებისთვის ამ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარს. ამ მხრივ, თვალშისაცემია თუნდაც საკითხი, თუ ვინ დაადგინა სახელმწიფო-პოლიტიკური მოწყობის ფორმა? (საპრეზიდენტო, საპარლამენტო, მონარქია თუ სხვა). სახელმწიფო მოწყობა ხალხისთვის არავის არ უკითხავს.

დამაჯერებელი არგუმენტების გარეშეა დარჩენილი ლეგიტიმური კითხვები, კერძოდ:

- რა აუცილებლობა და რა მიზეზ-ფაქტორი განსაზღვრავს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღებას?!, ანუ: – რა სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ თუ სამართლებრივ მიზანს ისახავს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღება. რა ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება ფაქტობრივად ახალი კონსტიტუციის მიღება (პოლიტიკური სტაბილურობა, სახელმწიფო ინსტიტუტების მდგრადობა, ქვეყნის უსაფრთხოება, საგარეო ურთიერთობათა პრობლემების ახლებური რეგულირება, სამართლერბრივი და სოციალურ-ეკონომიკური სფეროს მოწესრიგება და/ან სხვა)?

მართალია, პრეამბულა გვაუწყებს, რომ „ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს **1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით** ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას, მაგრამ რას ნიშნავს ეს ჩანაწერი, ტექსტში აუხსნელია. გაურკვეველია რა მიბმა გვაქვს 1918–21 წლების საქართველოსთან. ვერ ჩამოვყალიბდით **მრავალათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყანა ვართ თუ საბჭოთა იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სუბიექტი!**



მოქმედი კონსტიტუციისა და შემოთავაზებული პროექტის მუხლების ნუმერაცია ისეა აღრეული, რომ აშკარად შეგნებულად გაკეთებულის შთაბეჭდილებას სტოვებს. პროექტის **მუხლების დასახელება და შინაარსი კი ერთმანეთს არ შეესაბამება.**

განსაკუთრებით შეშფოთებას იწვევს მუხლი 19-ის (საკუთრების უფლება) პუნქტი 4: რომლის თანახმად მიწაზე, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსზე, საკუთრების უფლებას აწესრიგებს **ორგანული კანონი. საკონსტიტუციო სასამართლომ (კონსტიტუციის დანაშაულებრივი ინტერპრეტაციით) დააკმაყოფილა დანიელი და ავსტრიელი მოქალაქის სარჩელი და არაკონსტიტუციურად სცნო უცხოელებზე მიწის მიყიდვის შეზღუდვა. ორგანული კანონი ვერ შეაჩერებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.**

ამიტომ, კონსტიტუციაში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთების გარეშე განუკითხავად მოხდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის **უცხოელებსა და საერთაშორისო თუ ადგილობრივ საფინანსო ორგანიზაციებზე გასხვისება** (ამ თემაზე დეტალურად არ შევჩერდები, მისი უწმიდესობის მკაფიო პოზიცია ცნობილია და ჩვენც მრავალი პუბლიკაცია გვაქვს გამოქვეყნებული).

დავამატებ, რომ საქართველოს კანონმდებლობა თემატური კოდექსების (სამოქალაქო კოდექსი, საგადასახადო კოდექსი, საარჩევნო კოდექსი და ა.შ., **მხოლოდ მიწასთან დაკავშირებით ხდება შეუძლებელი ყველა საკანონმდებლო აქტის ერთ, მიწის კოდექსში მოქცევა,** რათა აცილებული იქნას სხვადასხვა ცალკე კანონებში გაბნეული ნორმებით მანიპულირება.

ყველაზე კარგი ჩანაწერიც კი ბოლომდე ვერ მოაგვარებს პრობლემას, თუ არ აიკრძალა, ან აუცილებელ მინიმუმამდე არ დავიდა, **ორმაგი მოქალაქეობის დაკანონება (მუხლი 32) წინააღმდეგ შემთხვევაშიკანონმდებლობაში დარჩება ისეთი ხვრელები, რომლითაც შესაძლებელი გახდება ქართული სახელმწიფოსთვის ამ დამღუპველი პროცესის გაგრძელება (არსებობს პრეცენდენტი: ერთ დღეში 35 000 თურქეთის მოქალაქეს გამონაკლისი სახით მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა). საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ მიწის შეძენა პრობლემა აღარ იქნება!**

ორმაგი მოქალაქეობის დაშვება უცხოეთში მყოფ თანამემამულეებზე ზრუნვის მოტივით ისეთივე საფრთხის შემცველია, როგორიც სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის განუკითხავი გასხვისება იმ არგუმენტით, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქე ქართველი ჩვენგან ყურადღებას საჭიროებს!

ცალსახად უნდა ითქვას, რომ უცხოეთში მყოფ თანამემამულეთა უმეტესობის მდგომარეობის შემსუბუქებას ამით ვერ მოვახერხებთ. ისინი გაჭირვებამ გაიყვანა საქართველოდან, არალეგალურ მდგომარეობაში არიან, მათთვის საქართველოს მოქალაქეობა

არავის ჩამოურთმევია და ჩაწერილნი არიან კიდეც ამომრჩეველთა სიაშიც.

მუხლი 32. პუნქტი 2. საგანგაშოა – ორმაგი მოქალაქეობის დაშვება ზოგადი ფორმით გამოიწვევს დემოგრაფიული ვითარების შეცვლას. ტერიტორიებოკუპირებულ ქვეყანაში საშიშია იმ მოქალაქეთა რიცხვის ზრდა, რომლებიც სხვა, უფრო დიდი ან დაინტერესებული სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებით არიან დატვირთული. ორმაგი მოქალაქეების, მით უმეტეს, საქართველოს გარეთ მცხოვრებთა პოლიტიკური ინტერესი და მათი მონაწილეობა საქართველოს არჩევნებში – საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა სისუსტის ფონზე, სავალალო შედეგის მომტანი გახდება. საქართველოს პასპორტით ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა მოქალაქეობის მსურველთა თუ ჩვენი ჩინოვნიკების მხრიდან მრავალი ცდუნების საფუძველი გახდება (მწარე გამოცდილება გვაქვს).

იმ სიტუაციაში, როდესაც **მიგრაციის პრობლემა კეთილდღეობაში მყოფ სახელმწიფოებსაც კი ურთულესი რისკების წინაშე აყენებს,** ადვილი წარმოსადგენია რა შედეგების მომტანი შეიძლება გახდეს ის საქართველოსთვის. ძირითადი ნაკადი სავარაუდოდ იქნება მეზობელი რეგიონების მძიმე მდგომარეობაში მყოფი ჭარბმოსახლეობიანი, კულტურულად მკვეთრად განსხვავებული ქვეყნებიდან (დღევანდელი სტატისტიკა მეტყველებს, რომ ეკონომიურად განვითარებული ქვეყნებიდან შესაძლებელია აქ ერთეულები კი არ ჩამოვიდნენ საცხოვრებლად).

მოქმედი ნორმა (მუხლი 12 პუნქტი 2: **„საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა დადგენილი გამონაკლისი შემთხვევის“**) შესაძლებელს ხდის ჩვენი თანამემამულეების პრობლემების ინდივიდუალურად მოგვარებას და, ამავდროულად, უსაფრთხოების გარემოსაც იცავს რყევებისგან.

ძალიან საინტერესოა **იმ ორი მუხლის ურთიერთმიმართება,** რომლებმაც საზოგადოებაში უახლოეს წარსულში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

მუხლი 30. ქორწინების უფლება პუნქტი 1: „ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.“ თვით ოჯახის დაფინიცია კი განმარტებული არ არის.

მუხლი 11. თანასწორობის უფლება პუქტი 2-ის შესახებ განმარტებითი ბარათი გვამცნობს: „კონსტიტუციას დაემატა ნორმა გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც ძირითადი უფლების რანგში, ხელშესახები ფორმით ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფასა და გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრაზე“ (ადამიანის სიცოცხლისა და შრომის დაცვას ასეთი გარანტიები არ აქვს).

საინტერესო ცვლილება **შევიდა მე-8 მუხლში** სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა. ამ მუხლის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ: „მე-8 მუხლი კონსტიტუციის ახალ რედაქციაში წარმოდგენილია უცვლელი შინაარსით, რამდენიმე ტექნიკური სახის ცვლილებით“.

ტექნიკურ ცვლილებაში იგულისხმება – მოქმედი ტექსტიდან **(მუხლი 9)** „...კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“ ამოღებულია შემდგომი ბოლო ფრაზა: „კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში“. გაუგებარია, კიდევ სხვა რომელ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს შეთანხმება და რატომ გაფართოვდა ნორმების არეალი.

ტერიტორიული მოწყობის საფუძვლების (მუხლი 7) მუხლის ჩამონათვალში ყველაფერი წერია ტერიტორიული მოწყობის გარდა (საუბარია, რა განეკუთვნება ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას და, რომ თვითმმართველობა არსებობს). ხოლო ამავე მუხლის 2 და 3 პუნტქები გვეუბნება:

მუხლი 7-ის პუნქტი 2: „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით, რომლებიც კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია“. რომელ კანონებზეა საუბარი და როდის უნდა მივიღოთ ეს კანონები, როდესაც ორივე სუბიექტს აქვს მოქმედი კონსტიტუცია?!

აქვე აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციაში არ არის მოხსენიებული, მაგრამ კანონმდებლობაში, (მაგალითად ბიუჯეტის შესახებ კანონში) **სამხრეთ ოსეთ**ს ეგრეთ წოდებულიც კი არ აქვს მიწერილი!

დროა, საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვროს აჭარისა და აფხაზეთის სტატუსი, განვითარების გარანტიები და მათი მიმართება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

მუხლი 7-ის პუნქტი 3 გვპირდება – **„საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა გადაისინჯება** კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“.

რა უნდა გადაისინჯოს, როცა ოფიციალურად არაფერი არ გვაქვს. ე.ი. ირიბად დაკანონდა არაოფიციალურად არსებული **ე.წ. სამხარეო მოწყობა** და არაკონსტიტუციური გუბერნიები თავისი გუბერნატორებით. **კონსტიტუციისა და სახალხო მსჯელობის გვერდის ავლით ხდება რეგიონალიზმისა და ფედერალიზმის დამკვიდრების მცდელობა** (მსგავსი მცდელობა ადრეც იყო თვითმმართველობის კოდექსის მიღების დროს და ის ქართული საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, მისი უწმიდესობის ჩარევის შემდგომ იქნა აღკვეთილი).

ამ ეჭვებს აღრმავებს **მუხლი 76-ის პუნქტი 3: „... თვითმმართველ ერთეულს ორგანული კანონით დადგენილი წესით უფლება აქვს გაწევრიანდეს თვითმმართველ ერთეულთა გაერთიანებებში“. რა იგუ-**

ლისხმება ამ „გაერთიანებების“ ქვეშ – ორი ან მეტი თვითმმართველობის ერთ თვითმმართველობად თუ რეგიონულ სტრუქტურად – უცნობია. საერთოდ, გაურკვეველია რა სახის „გაერთიანებებზეა“ საუბარი?!

კონსტიტუციაში თვითმმრთველობის თავისუფალი და დამოუკიდებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის გარანტიები არ არის ჩადებული, **სოფელს არა აქვს სტატუსი და სათემო ქონება.**

მთლიანად კონსტიტუციის პროექტი ზოგად დეკლარაციულ ხასიათს ატარებს, საუბარია სახელმწიფოს კეთილ სურვილებზე და არა მოქალაქეთა მიმართ პასუხისმგებლობაზე. ძირითადად გამოყენებულია არაფრისმთქმელი ტერმინები, კერძოდ: „ზრუნავს“ და არა ვალდებულებითი „უზრუნველყოფს“. მაგალითად:

მუხლი 5. სოციალური სახელმწიფო, მუხლი 6. ეკონომიკური თავისუფლება, მუხლი 26. შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება და სხვა, რომელთა სახელწოდება ვერ ამართლებს მის შინაარსს.

ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, **თუ როგორ უნდა იყოს დაცული შრომა, რა გარანტიებია ჩადებული კონსტიტუციაში.** არც ანაზღაურების პირობებზეა რაიმე მითითებული, არც შრომით ინსპექციასა და პროფკავშირების როლზე. უმუშევრობაზე, შემწეობაზე, დასვენების უფლებაზე. არ უზრუნველვყოფთ მოსახლეობის დასაქმებას, სოციალურ დაცვას, სამუშაო პირობებს, საარსებო მინიმუმს, უფასო სამედიცინო დახმარებას, **საერთოდ იგნორირებულია სახელმწიფოს მხრიდან სოციალური ფუნქციის განხორციელება.**

შევადაროთ მოქმედი კონსტიტუციის მუხლებს:

- მუხლი 30 2: სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. 3: შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ. 4: შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვნისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

- მუხლი 32: სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით.

- მუხლი 37 1: ...კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.

მართალია, მოქმედი კონსტიტუციის ნორმები მისი რეალიზაციის გარანტად ვერ იქცა, მაგრამ ამ დებულებების ამოღება პროექტიდან კიდევ უფრო დაუცველს გახდის მოსახლეობას.

არც ძველ და არც ახალ ვარიანტში არ ჩანს **საკუთრეების უფლების მყარი დაცვის მექანიზმები და საკრედიტო ურთიერთობებში ისეთი მკაცრი რეგულაციები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ისედაც გაჭირვებაში მყოფი მოსახლეობის ინტერესები.**

გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს **ადამიანის თავისუფლებათა ხელშეუვალობა.** მაგალითად, პირის დაკავება (მოქმედი კონსტიტუციის მე-18 მუხლი), როდესაც სასამართლოს ნებართვის გარეშე ხდება პირის დაკვება და ჩხრეკა, ამას შესაბამისი **„კანონით საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ“** ჩატარებული აქტი სჭირდება. პროექტის მე-13 მუხლით კი იგივე ქმედება **„კანონით უფლებამოსილი პირის მიერ“** შეიძლება განხორციელდეს. ანუ, ახლა ყველა პოლიციელს აქვს უფლება ადამიანი დააკავოს და გაჩხრიკოს. ხვალ ნებისმიერ პოლიციელს ექნება უფლება დააკავოს ნებისმიერი ადამიანი. ძალიან მძიმე წარსული გვახსენებს თავს.

მკაფიო ჩანაწერს საჭიროებს, **როგორც სახელმწი-**

ფოს მხრიდან მოქალაქეზე ძალადობის აღკვეთის, ასევე, უკანონოდ მიყენებული ზარალის სრული ანაზღაურების მექანიზმები. თავისუფლების უკანონო აღკვეთა კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის კოდექით დასჯადი ქმედებაა, სახელმწიფოს სახელით გამოტანილ უკანონო გადაწყვეტილებაზე კი პასუხისმგებლობა მოხსნილია. პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული 200 პირის საქმის მოსამართლეები დღესაც „წარმატებულ" სამოსამართლო კარიერას აგრძელებს. აგრეთვე, უიმედოდ ელის მრავალი მოქალაქე წინა წლებში სახელმწიფოს მხრიდან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. ვითარებს ამძაფრებს ის, რომ პროექტიდან ამოღებულია მოქმედი ნორმა – მუხლი 42 პუნქტი **„9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან".**

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა თავის თავის პატივისმცემელ და თავის მოქალაქეებზე მზრუნველ სახელმწიფოსგან განსხვავებით, **საქართველოს სახელმწიფო უარს ამბობს თავისი მოქალაქის უპირობო დაცვაზე და თავისი მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემას საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნორმებს უკავშირებს (მუხლი 32. პუნქტი 5)**. ასევე, ქართული სახელმწიფო უარს ამბობს დაიცვას სიმართლისთვის დევნილი ადამიანები (ამოღებულია მოქმედი მუხლი 47 პუნქტი 3. **„დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება").**

ამგვარად, ნათელია: **კონსტიტუციის პროექტი ზღუდავს მოქალაქის შესაძლებლობას დაიცვას თავი ძალადობისაგან სახელმწიფოს მხრიდან.** ადგენს **მიმართებას არაფრით არ შეზღუდულ სახელმწიფო ძალასა და არაფრით არ დაცულ მოქალაქეს შორის.** ნათელია, სამწუხაროდ ისიც, რომ კონსტიტუციის „შემსწორებლები" ბრმა სიჯიუტით უგულვებელყოფენ და ეწინააღმდეგებიან სწორედ იმას, რაშიც **დასავლური დემოკრატიის თეორიისა და პრაქტიკის გაზიარება გვმართებს,** და იმავდროულად ცდილობენ მისდიონ იმას, რასაც **სახელმწიფოს, როგორც ეროვნული ნების, პარალიზაცია მოსდევს.**

როცა მსგავსი კონსტიტუციური დებულებები გაიშლება სხვა, რანგით უფრო დაბალ კანონებში, რომელთა მიმართაც საზოგადოების ყურადღება მცირეა, მრავალ გაუგებრობას, აჟიოტაჟს და ქვეყნის ინტერესების დამაზიანებელ ქმედებებს გამოიწვევს.

ცალკე უნდა გამოიყოს პროექტის ავტორთა მიმართება სახელმწიფო ენასთან. მუხლი 62 მე-4 პუნქტიდან ამოღებულია ჩანაწერი: **„იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა".** განმარტებითი ბარათი აცხადებს: **„აღნიშნული ნორმის ადგილი არ არის სასამართლო ხელისუფლების მომწესრიგებელ თავში".** ვეთანხმებით, მაგრამ მსგავსი „ლოგიკური ჩანაწერებით", „იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას", ათეულობით წელია აღარაფერი ავალდებულებს ხელისუფლებას სახელმწიფო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის დაცვის ქმედითი ღონისძიებების გატარებას. პირიქით, კონსტიტუციის პროექტის **მუხლი 62. პუნქტი 4-ში** დარჩენილი ნორმა – **„სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი"** – ცალსახად მოითხოვს სახელმწიფოსგან უზრუნველყოს სამართალწარმოების დროს თარჯიმანი (მათ შორის საქართველოს მოქალაქეებისთვის). ვითარებას ამძაფრებს ისიც, რომ დღემდე არ არის შექმნილა **სახელმწიფო ენის დეპარტამენტი,** რომელიც 2015 წლის 22 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „სახელმწიფო ენის შესახებ" კანონის მიხედვით 2016 წლის 1 თებერვლამდე უნდა შექმნილიყო (ასეთ პირობებში, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რამდენად იქნება გათვალისწინებული სახელმწიფო ენის ცოდნა ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების დროს).

ყოველგვარი არგუმენტირებული განხილვის გარეშე **მოიხსნა სამხედრო სამსახურის გავლის მკაცრი ვალდებულება**. მუხლი 70 სამხედრო ძალები პუნქტი 2: **„საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის ვალია. სამხედრო სამსახურის გავლის წესს ადგენს კანონი".**

ძველი რედაქცია მუხლი 101 პუნქტი 2: „ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების **მოხდის ფორმას ადგენს კანონი".**

„ვალდებულება" არის კანონის მიერ შეუვალად დაკისრებული ქმედება, **„ვალია"_ მორალური მოწოდება. ამ სხვაობის მიჩქმალვით კონსტიტუციის „შემსწორებლები" ძირს უთხრიან ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას იმ დროს,** როდესაც ჩვენს გარშემო ყველა ზრდის მას.

გადაწყვეტილება საგანგაშოა, დაძაბულ და ფეთქებადსაშიშ რეგიონში მყოფი ტერიტორიებოკუპირებულ ქვეყნის ასეთი გადაწყვეტილება ძალიან ძვირი დაუჯდება ქართულ სახელმწიფოსა და მის მოსახლეობას.

გაანალიზებას საჭიროებს **თავი მერვე. სახელმწიფოს თავდაცვა და უსაფრთხოება**. მოქმედ რედაქციას თავი მეშვიდე **სახელმწიფოს თავდაცვა,** დაემატა სიტყვა „უსაფრთხოება", თუმცა თავის შინაარსში ეს ცვლილება არ ასახულა, რაც დიდ გაკვირვებას იწვევს. მით უმეტეს, რომ საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე **სხვა ქვეყნის აგენტურის უვნებელყოფის კანონმდებლობის არ არსებობა** ქვეყნის მდგრადობისა და სტაბილურობის მთავარი საფრთხეა.

მუხლი 70. სამხედრო ძალები პუნქტი 3 გაჩნდა

ახალი ჩანაწერი: **„...საქართველოს ჰყავს სამხედრო და სხვა შეიარაღებული ძალები“.** ტერმინი **„და სხვა შეიარაღებული ძალები“** – ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. არც განმარტებით ბარათშია ახსნილი.

პარლამენტის ფუნქციას აკნინებს და ჯანსაღ სამოქალაქო პროცესს საფრთხეს უქმნის პროექტის მუხლი 72 – „საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პრემიერ-მინისტრი და ეს გადაწყვეტილება **არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მიერ“.**

არ იცვლება ხელისუფლების ფორმირების ფუნდამენტური არსი მთლიანად მორგებული დღევანდელი ხელისუფლების კონკრეტულ ინტერესებზე და არა საქართველოს ისტორიულმასშტაბიან თუ მიმდინარე ამოცანათა გადაწყვეტაზე.

პროექტით წახალისებული ტენდენციები არ შეუწყობს ხელს პოლიტიკური ინფრასტრუქტურის, ძლიერი პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას. ის **ორიენტირებულია ძალაუფლების გამყარებისკენ, მტკიცდება კლანურ-მონოპოლისტური სისტემა (რომლისთვისაც ადამიანი პროცესებიდან გარიყული მომსახურე პერსონალია), კონკურენტული და დაბალანსებული პოლიტიკური ინფრასტრუქტურის (სადაც ადამიანი პროცესების წარმმართველი ხელისუფლების წყაროა) ნაცვლად.**

დარღვეულია დემოკრატიის საფუძველი – საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის წონასწორობა და ბალანსი, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. ჩვენთან ფაქტობრივად ერთ ადამიანზე, ერთ ვერტიკალურ სტრუქტურაზეა ყველაფერი აგებული. **ეს არის საბჭოთა ბოლშევიზმი, ცნობილი სახელწოდებით _ „დემოკრატიული ცენტრალიზმი“.**

საპრეზიდენტო მმართველობიდან გადავედით საპარლამენტო მმართველობაზე, ისიც გაუგებარია რატომ ასეთ ფორმაზე. **მცირდება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე პარლამენტის ზედამხედველობის მექანიზმები. ძალაუფლება მთლიანად კონცენტრირდება პრემიერის ხელში. პრემიერ-მინისტრს პირდაპირი არჩევის წესით არ ირჩევენ, ირჩევენ კოლექტიურ ორგანოს პარლამენტს, პარლამენტი ნიშნავს პრემიერს. მივიღეთ სიტუაცია, როდესაც არ არის დაკონკრეტებული, ვინ რაზეა პასუხისმგებელი.**

რას ნიშნავს ეს, გასაგები ხდება თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, პარტია **„ქართული ოცნების“ ავტორიტეტის და გავლენის საფუძველი** მათი კოლექტიური ან წევრთა ინდივიდუალური პოლიტიკური კაპიტალი და ავტორიტეტი კი არაა, არამედ, მთავარი პოლიტიკური მოთამაშის **ბიძინა ივანიშვილის** (რომელიც დღეს ოფიციალური პირი არ არის) პიროვნული აქტივი.

ცივილიზებულ სამყაროში (საითკენაც თითქოს მივისწრაფით) ის სახელმწიფოა წარმატებული, სადაც აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო, მედია და სამოქალაქო სექტორი აკონტროლებს ერთმანეთს, სადაც შემუშავებულია ის მექანიზმები, რომ თუ ვინმეს რაიმე, შეცდომა გაეპარა მაშინვე მოხდეს ამ შეცდომაზე რეაგირება და გამოსწორება.

კონსტიტუციის პროექტის ტექსტი საქმეში ჩახედულ ადამიანებს პირდაპირ ეუბნება, რომ არ განვითარდება პოლიტიკური ინფრასტრუქტურა, სახელმწიფო ინსტიტუტები, სასამართლო, თვითმმართველობა, სამოქალაქო სექტორი, კონკურენტული ბიზნესი... ხელისუფლების არც ერთ შტოს არ აქვს ის მექანიზმები, რომ გააწონასწოროს და დაამყაროს **მდგრადი** და **სტაბილური** ბალანსი ქვეყანაში.

კონსტიტუციის ავტორთა ძირითადი ენერგია დაიხარჯა „დახვეწილი იურიდიული ტექნიკის“ გამოყენებით ერთი სუბიექტის ხელში ძალაუფლების კონცენტრაციისა და ხელისუფლებაში დარჩენის გარანტიების უზრუნველყოფისთვის – თან ისე, რომ კონკრეტული პასუხისმგებლობა არავის დაეკისროს.

ძალაუფლების მონოპოლიზებას ემსახურება პრეზიდენტის არჩევის წესში ცვლილება მუხლი **50-ის პუნქტი 1:** საქართველოს პრეზიდენტს მოსახლეობისგან პირდაპირი არჩევის ნაცვლად, 5 წლის ვადით **დებატების გარეშე** ფარული კენჭისყრით აირჩევს ხელისუფლების წარმომადგენელთა 300-კაციანი საარჩევნო კოლეგია.

განმარტებით ბარათში ახსნილმა **პარლამენტის არჩევის წესში** (მუხლი 37). ამ ცვლილების მოტივაცია საქართველოს პოლიტიკური კლასის სახე სრულად წარმოაჩინა: **„ქვეყნის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, მოქმედმა შერეულმა პროპორციულ-მაჟორიტარულმა საარჩევნო სისტემამ გახადა შესაძლებელი საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება და ამ უმრავლესობის სუბიექტური პოლიტიკური მიზნებისათვის ბოროტად გამოყენება. იმისათვის, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში თავიდან იქნეს არიდებული ამგვარი საფრთხე, კონსტიტუციის ახალი რედაქცია ითვალისწინებს ისეთი საარჩევნო სისტემის შემოღებას, რომელიც გამორიცხავს ერთი პოლიტიკური პარტიის მიერ საკონსტიტუციო ან ზოგადად, ჭარბი უმრავლესობის მოპოვებას“.**

ამიტომ განმარტავენ, რომ „პროპორციული სისტემით **გაუნაწილებელ მანდატებს იღებს არჩევნებში გამარჯვებული პარტია**. აღნიშნული ნორმა ემსახურება იმავე ლეგიტიმურ მიზანს, რა მიზნითაც დემოკრატიულ სისტემებში საარჩევნო ბარიერი წესდება – **ესაა დემოკრატიული სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა“.**

ამ მარქსიზმ-ლენინიზმის დიალექტიკური „რკინის ლოგიკის“ წინააღმდეგ არგუმენტის მოძებნა ჩვეულებრივი ადამიანის შესაძლებლობას სცილდება. აღნიშნული თეზისი იმავე კატეგორიიდანაა, როგორიც შემდეგი: **როცა შენ გჭამენ, ბარბაროსობაა, ხოლო, როცა შენ ჭამ სხვას, პროგრესი და დემოკრატია.**

ცივილიზებულ სამყაროში **არჩევნების წესს ერთადერთი მიზანი აქვს**: უზრუნველყოს ამომრჩეველთა ნების ზუსტი გამოხატვა. საზოგადოებაში არსებული განწყობებისა და პოლიტიკურ ძალთა არარეალისტური ასახვა პარლამენტის მანდატებად საშიშროების შემცველია, პროცესები დარბაზიდან ქუჩაში გადაინაცვლებს და, ემოციური ფონის გათვალისწინებით, დაპირისპირებისა და პოლიტიკური კრიზისის გამომწვევად იქცევა.

ამავე კატეგორიიდანაა **საარჩევნო ბლოკის ინსტიტუტის გაუქმება.** განმარტებით ბარათი გვაუწყებს: **„ბლოკის ინსტიტუტი პოლიტიკურ პარტიებს აძლევს მანიპულირების შესაძლებლობას, რის საფუძველზეც ისინი ახერხებენ დამატებითი პრივილეგიების ხელოვნურად მოპოვებას...“,** მაგრამ რჩება კვალიფიციური პარტიის სტატუსი, რომლითაც ციტატა განმარტებით ბარათიდან: **„...სარგებლობს 20 პოლიტიკური პარტია, რომელთა უმეტესობა ვერ აკმაყოფილებს პარტიის ინსტიტუტისადმი წაყენებულ მინიმალურ მოთხოვნებს, მათი ნაწილი კი სულაც ფიქტიურია“.**

კეთილშობილური მიზანია პარტიული ცხოვრების მოწესრიგება, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად **ბლოკები უქმდება და კვალიფიციური პარტიის სტატუსი რჩება?!** დეტალებში ჩაუხედავი ხალხისთვის უცნობია, რომ „კვალიფიციური პარტიების“ სტატუსი და მისგან გამომდინარე პრივილეგიები ერთ-ერთი მექანიზმია სატელიტი პარტიებით მანიპულაციისა და თვალსასაჩინო პოლიტიკური სპექტაკლების განსახორციელებლად. საკითხის მოგვარების მარტივი გადაწყვეტა იგნორირებულია – პარტიას და ბლოკს (მასში შემავალი სუბიექტების რაოდენობის მიუხედავად) კონკურენციის თანაბარი პირობები დაედგინოს.

განმარტებითი ბარათით ვგებულობთ, რომ პროექტის ავტორთა აზრით, საქართველოს პარლამენტის არჩევის ფუნდამენტური ცვლილება (თავი მესამე) ევროპული სტანდარტების შესაბამისად განხორციელდა.

ევროპულ კანონმდებლობაში არსებული ზოგიერთი, კონტექსტიდან ამოღებული, ელემენტით უნიჭო დემაგოგია და კონსტიტუციაში გაცხადებული „ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის“ (მუხლი 78) სურვილის დეკლარირება, მოსახლეობაში არაპოპულარული ქმედებების დასავლეთზე (ვენეციის კომისია) გადაბრალებისა და საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილი **საბჭოთა „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ გადაფარვის უსუსური მცდელობაა.**

გაკვირვებას იწვევს კონსტიტუციიდან **იმ ნორმის ამოღება,** რომელიც პარლამენტის და სხვა კონსტიტუციური ორგანოს ადგილსამყოფელს ადგენს ან ჩანაწერი, რომ **„პარლამენტი ირჩევს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს, მათ შორის თითო მოადგილეს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებიდან“. მუხლი 40.** როგორ უნდა განხორციელდეს ეს, როცა პროპორციული არჩევნები თავისთავად პარტიულ მანდატებს გულისხმობს და არა რეგიონებისას.

ზემოთ ჩამოყალიბებული და კიდევ სხვა შეუსაბამობა თუ გაურკვევლობა მრავალია კონსტიტუციის წარმოდგენილ პროექტში. ეს უკანასკნელი საჭიროებს ფუნდამენტურ დამუშავებას და განხილვას საზოგადოების ფართო ჩართულობით, რათა მიღწეული იქნას საერთო სახალხო კონსესუსი.

სხვა შემთხვევაში ადამიანებში დაგროვილი უარყოფითი მუხტი და მათში არსებული არარეალიზებული ენერგია მოსახლეობის პოლარიზაციისა და საზოგადოებრივი დაპირისპირების საფუძველი გახდება. საქართველოს უახლესი წარსულის მწარე გამოცდილებით, პროცესების ესკალაციამ დღეს თუ არა ხვალ შესაძლებელია კვლავ რუსთაველის გამზირზე გაიყვანოს ხალხი.

მამუკა გიორგაძე

სათამაშო ბიზნესის საფინანსო-ეკონომიკური და სოციალურ-ეკონომიკური დეტერმინანტები

სათამაშო ბიზნესი ქვეყნის ბიზნეს სექტორის და, ზოგადად, ეკონომიკის სპეციფიკურ სეგმენტია, რომლის მიმართაც არსებობს ამბივალენტური დამოკიდებულება.

კერძოდ, სათამაშო ბიზნესი ქმნის ეკონომიკაში განსაზღვრულ დამატებულ ღირებულებას და, ამავე დროს, მიიჩნევა, რომ მისი ფუნქციონირება ყოველთვის დაკავშირებულია გარკვეულ სოციალურ დანაკარგებთან. ასევე, განსხვავებულია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულება ხსენებული ბიზნესის მიმართ, კერძოდ, სამთავრობო და ბიზნეს წრეები უფრო მეტად პოზიტიურად არიან განწყობილნი სათამაშო ბიზნესის მიმართ, ვიდრე საერთო მოსახლეობა, თუმცა აღნიშნული მიდგომა ითვლება ზოგადად და განსხვავებულია ცალკეული ქვეყნების მიხედვით *.

ბესიკ ბოლქვაძე
ეკონომიკის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სწორედ აღნიშნული ფაქტი განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებაში სათამაშო ბიზნესი ითვლება ერთ-ერთ პრობლემატურ და აქტუალურ საკითხად. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. ქვეყნების ერთმა ჯგუფმა აღნიშნული პრობლემა მოაგვარა შედარებით ხისტი მიდგომით, აკრძალა რა სათამაშო ბიზნესი ქვეყნის კანონმდებლობით, ხოლო რიგ ქვეყნებში მოქნილი რეგულაციებით მოხდა ბიზნესის აღნიშნული სეგმენტის მეტ-ნაკლები განვითარება.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო პრაქტიკაში სათამაშო ბიზნესის ორგანიზაციული და ფუნქციონალური მოწყობის სხვადასხვა სტრუქტურა და მოდელია აპრობირებული. კერძოდ, კი განასხვავებენ **კონცეპტუალურ** და **ზონალურ მიდგომებს**[1]. ზონალური მოწყობის პრინციპი გულისხმობს სათამაშო ბიზნესის (მთლიანად ან ცალკეული სახეობების) კონცენტრირებას წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიულ საზღვრებში, რასაც საფუძვლად შეიძლება დაედოს პერიფერიული ადგილების და სპეციალური ზონალური ტერიტორიების განვითარება. რაც შეეხება სათამაშო ბიზნესის მოწყობის კონცეპტუალურ მოდელს, აღნიშნულ შემთხვევაში სათამაშო ბიზნესის სუბიექტები შეიძლება დაფუძნდეს ქვეყნის ნებისმიერ ტერიტორიაზე, თუმცა გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, ისინი ერთვებიან სამეწარმეო-ეკონომიკურ აქტიურობაში იმ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში, სადაც მაღალია მოთხოვნა შესაბამის მომსახურებაზე, განვითარებულია ტურისტული ინფრასტრუქტურა ან დაწესებულია გარკვეული საშეღავათო პირობები. ხაზგასასმელია, რომ საქართველოში სათამაშო ბიზნესის ფუნქციონირება თანამედროვე ეტაპზე კონცეპტუალურ მიდგომას იყენებს.

გლობალურად, უკანასკნელ ათწლეულებში, სათამაშო ბიზნესისთვის დამახასიათებელია მზარდი ტენდენციები, **კერძოდ, 2016 წლის მონაცემების მიხედვით, სათამაშო ბიზნესის მიერ გენერირებულმა შემოსავლებმა მსოფლიო მასშტაბით შეადგინა 99.6 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო საშუალოწლიურმა ზრდის ტემპმა — 8.5%**[2]**. მსოფლიოს ყველაზე მსხვილ სათამაშო ბაზრებად, სათამაშო ბიზნესის შემოსავლების მიხედვით, ითვლება: ჩინეთი (24.3%), აშშ (23.5%), იაპონია (12.4%)**[3]**. მოსახლეობის ერთ სულზე აზარტულ თამაშებში დახარჯული თანხების მიხედვით, გლობალური სანაძლეო და სათამაშო საკონსულტაციო კომპანიის მონაცემებით (2013 წ.), მსოფლიოში მოწინავე პოზიცია უკავიათ ავსტრალიას (866 აშშ დოლარი), ჰონგ კონგს (485 აშშ დოლარი) და კანადას (464 აშშ დოლარი)**[4]**.**

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ სათამაშო ბიზ-

[1] **Problem Gambling in Europe (Challenges, Prevention and Interventions). Edited by Gerhard Meyer, Tobias Hayer, Mark Griffiths. New York, 2009, p. 252.**

*** Robert J. Williams, Jurgen Rehm, Rhys M. G. Stevens. The Social and Economic Impacts of Gambling (Report). 2011. p. 7.**

2 https://cdn2.hubspot.net/hubfs/700740/Reports/Newzoo_Free_2016_Global_Games_Market_Report.pdf.

3 https://www.statista.com/statistics/308454/gaming-revenue-countries/.

4 http://www.businesswire.com/news/home/20150610005010/en/GBGC–Country-Gambles.

ნესი ქვეყნის ბიზნეს-სექტორის სპეციფიკური და კომპლექსური შემადგენელია, რამდენადაც, ერთი მხრივ, იგი დაფუძნებულია სპეციფიკური მომსახურების გაწევაზე და უაღრესად მაღალი რისკების გენერირებაზე, ხოლო, მეორეს მხრივ, არ წარმოადგენს ჰომოგენურს, აერთიანებს და მოიცავს რა საქმიანი აქტიურობის განსხვავებულ მიმართულებებს.

შევნიშნოთ, რომ საქართველოში სათამაშო ბიზნესის სისტემური საკანონმდებლო რეგულირება ხორციელდება შემდეგ საკანონმდებლო აქტებზე დაყრდნობით: საქართველოს კანონები —**,,ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ",,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ",,,სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ",,,სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ",,,მეწარმეთა შესახებ",** საგადასახადო კოდექსი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. რაც შეეხება სათამაშო ბიზნესის სფეროში დაწესებულ ნებართვებს, მათ მიეკუთვნება: სამორინეს (კაზინოს), სათამაშო აპარატების სალონის, აზარტული კლუბის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს და წამახალისებელი გათამაშების მოწყობის სახეობები.

საქართველოში სათამაშო ბიზნესის განვითარება განპირობებულია რიგი ძირითადი უპირატესობითი ფაქტორებით, რომელთა შორისაც აღსანიშნავია: 1. **სათამაშო ბიზნესის ხელშემწყობი კანონმდებლობა** (ქვეყნის კანონმდებლობით მკაფიოდაა განსაზღვრული სათამაშო ბიზნესის მოწყობის საკითხები და ითვალისწინებს შედარებით ნაკლებ შემზღუდავ რეგულაციებს); 2. **მიმზიდველი საინვესტიციო გარემო** (რაც ქმნის დამატებით სტიმულს სათამაშო ბიზნესის ინფრასტრუქტურის განსავითარებლად და შესაბამისი მიმართულების ინვესტორების დასაინტერესებლად); 3. **ტურიზმის განვითარების მზარდი ტენდენციები** (სათამაშო ბიზნესი წარმოქმნის ე.წ. დამატებით ტურიზმს, ხელს უწყობს რა დამატებითი ტურისტული ნაკადების მოზიდვას და ტურისტულ ინდუსტრიაში შემოსავლების ჯაჭვურ გენერირებას); 4. **მეზობელ ქვეყნებში არსებული შეზღუდვები სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებით** (ახლომდებარე ქვეყნებში სათამაშო ბიზნესი აკრძალულია კანონით ან ხასიათდება მკაცრი ადმინისტრირებითა და დაწესებული შეზღუდვებით); 5. ლიბერალური სავიზო პოლიტიკა (რიგ ქვეყნებთან მოქმედი უვიზო მიმოსვლის რეჟიმი და სავიზო ლიბერალიზაცია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შესაბამისი ნაკადების შემოსვლას ქვეყანაში).

სათამაშო ბიზნესის როლის გააზრებისთვის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ეფექტიანად ახდენს სახელმწიფო ბიზნესის მოცემული სეგმენტის რეგულირებას (იგულისხმება რეგისტრაცია, სანებართვო პროცუდურები, ფისკალური ადმინისტრირება), ხოლო მეორე მხრივ, თუ რამდენად სრულყოფილია სათამაშო ბიზნესის სეგმენტის და მისი ცალკეული საქმიანობის სახეობების სტატისტიკურ-რაოდენობრივი ასახვა და მისი ეკონომიკაზე თვისებრივ-ხარისხობრივი ზეგავლენის შეფასება. აღნიშნული თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ საქართველოში სათამაშო ბიზნესის სუბიექტების რეგისტრაცია ხორციელდება სამეწარმეო რეესტრში, სხვა სამეწარმეო სუბიექტების რეგისტრაციის ანალოგიური პროცედურებით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენით. სანებართვო პროცედურები და ფისკალური ადმინისტრირება კი მკაცრად რეგლამენტირებულია კანონმდებლობით და მის რეგულირებას ახორციელებს შემოსავლების სამსახური, ხოლო სათამაშო ბიზნესის სტატისტიკური მდგენელები განისაზღვრება საქსტატის შესაბამისი მეთოდოლოგიების გამოყენებით.

სახელმწიფო მმართველობის დონეზე დამოკიდებულების მიხედვით, სათამაშო ბიზნესის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება რანჟირებული იქნეს შემდეგნაირად: **სახელმწიფო დონეზე, რეგიონულ დონეზე და თვითმმართველი ერთეულების დონეზე მიღებული სახელმწიფო გადაწყვეტილებები, რომლებიც ამავე დროს უნდა იყოს კოორდინირებული საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით.**

კერძოდ, სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტილებები შეიძლება მოიცავდეს: სათამაშო ბიზნესის პოლიტიკას და სტრატეგიას, ცვლილებებს კანონომდებლობაში, სარეგისტრაციო და სანაბართვო პროცედურებს, საგადასახადო ადმინისტრირებას, საუკეთესო უცხოური პრაქტიკების შესწავლას და გამოყენებას სისტემის უკეთესი ფუნქციონირებისთვის და სხვა. რეგიონულ დონეზე გადაწყვეტილებები გულისხმობს: რეგიონის ეკონომიკაში სათამაშო ბიზნესის როლის განსაზღვრას, თანამდევი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას, ბიზნეს სუბიექტებთან კოორდინაციას პრობლემური საკითხების ინენტიფიცირების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში კლასტერული მიდგომის ინიცირებას და სხვა. თვითმმართველი ერთეულების დონეზე კი სათამაშო ბიზნესთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებები უნდა აერთიანებდეს: სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შემოღების საკითხს, შესაბამისი სამშენებლო ნებართვების გაცემას, სათამაშო ბიზნესის ფისკალური კონტრიბუციის ანალიზს, სხვადასხვა მუნიციპალურ ინიცირებას და ა.შ.

იმისათვის, რომ მოვახდინოთ სათამაშო ბიზნესის, როგორც ბიზნეს სექტორის სპეციფიკური სეგმენტის, როლისა და მნიშვნელობის იდენტიფიცირება ქვეყნის, რეგიონის თუ ცალკეული თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, აუცილებელია სისტემური გააზრება და გაანალიზება ყველა ის პოზიტიური და ნეგატიური ზეგავლენისა[1], რაც გააჩნია სათამაშო ბიზნესს კონკრეტულ სისტემაზე, ყველა შესაძლო თვისებრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების კომპლექსური გამოყენების გზით, რათა მოცემულ სფეროში მიღებული სახელმწიფო გადაწყვეტილებები იყოს ადეკვატური, ეფექტიანი და მაქსიმალურად ნაკლები ზიანის მომტანი სახელმწიფოს, ბიზნესისა და საზოგადოებისთვის.

სათამაშო ბიზნესის სეგმენტი, ჩვენი აზრით, უნდა შეფასდეს ყველა იმ დადებითი და უარყოფითი ფაქტორებით, რომლებიც ქმნიან შესაბამისი სოცია-

1 Victor Zheng, Po-san Wan. Gambling Dynamism, The Macao Miracle. 2014, pp. 11–12.

ლურ-ეკონომიკური ზეგავლენის ეფექტებს. კერძოდ, აღნიშნული თვალსაზრისით, დადებით ეფექტებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი: **ზოგადეკონომიკური, საინვესტიციო, ფისკალური, სოციალური, ტურიზმის ხელშემწყობი და ჯაჭვური (მულტიპლიკაციური) ეფექტი. ამასთან, სათამაშო ბიზნესით წარმოქმნილი პოზიტიური ეფექტი შეიძლება იყოს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი.** მოკლევადიან ეფექტად შეიძლება ჩაითვალოს უშუალოდ სათამაშო ბიზნესის სუბიექტის დაფუძნება, ანუ თავდაპირველ ინვესტირებასთან დაკავშირებული შედეგები, ხოლო გრძელვადიანი გულისხმობს მის შემდგომ ოპერირებასთან დაკავშირებულ მრავალჯერად ეკონომიკურ ეფექტებს (მაგალითად, გადასახადების გადახდა, დასაქმების ზრდა, რეინვესტირება, სხვა სექტორების სტიმულირება და ა.შ).

ზოგადეკონომიკური ეფექტი გულისხმობს იმას, რომ სათამაშო ბიზნესი, როგორც ბიზნეს სექტორის ერთ–ერთი სეგმენტი, ქმნის გარკვეულ დამატებულ ღირებულებას ქვეყნის, რეგიონის თუ მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში და, ამავე დროს, ხელს უწყობს მომიჯნავე სექტორებისა და ქვესექტორების ეკონომიკური აქტიურობის ზრდას.

საინვესტიციო ეფექტი პირველადია სათამაშო ბიზნესის ეფექტებს შორის, რადგან სათამაშო ბიზნესი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საინვესტიციო ნიშას ინვესტორთათვის, ინვესტირებისა და რეინვესტირების შესაძლებლობები კი შეიძლება დამოკიდებული იყოს სათამაშო ბიზნესის სახეობაზე, სექტორში კონკურენციის ხარისხზე, მარეგულირებელი კანონმდებლობის ცვლილებაზე და სხვა ფაქტორებზე. მაგალითად, სამორინე წარმოადგენს რა სასტუმრო ბიზნესის ერთ-ერთ მომგებიან ელემენტს, ითვლება ინვესტიციების მოზიდვის მამოძრავებელ ძალად აღნიშნულ სეგმენტში, თუმცა ინვესტიცია შეიძლება ასევე განხორციელდეს სასტუმრო კომპლექსისგან იზოლირებულად. ამასთან, ნებისმიერი ასეთი ტიპის ინვესტირება ქმნის ხელსაყრელ პირობებს შესაბამის არეალში აქტივების (ქონების) ღირებულების ზრდისთვის.

სათამაშო ბიზნესის ფისკალური ეფექტი აიხსნება მის მიერ შეტანილი წვლილით საბიუჯეტო შემოსავლებში. ამასთან, სათამაშო ბიზნესის სუბიექტები იხდიან გადასახადებს და მოსაკრებლებს, რომლებიც სხვადასხვა პროპორციით ახდენენ სამივე დონის ბიუჯეტების ფორმირებას. კერძოდ, სათამაშო ბიზნესის სხვადასხვა სახის მოსაკრებელი და ქონების გადასახადი აგენერირებენ თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს, მათ მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი — ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებს, ხოლო მოგების გადასახადი — სახელმწიფო ბიუჯეტს,

სოციალური ეფექტი ვლინდება იმაში, რომ სათამაშო ბიზნესის სუბიექტები ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს, ხოლო გაფართოების შემთხვევაში ზრდიან შექმნილ სამუშაო ადგილებს. აღნიშნული სეგმენტი ერთ-ერთი წამყვანია სფერო, განსაკუთრებით გრძელვადიანი სამუშაო ადგილების რაოდენობისა და საშუალო ხელფასის დონის მიხედვით.

სათამაშო ბიზნესი მნიშვნელოვანი მასტიმულირებელია ტურიზმის ინდუსტრიისა მთლიანობაში. მაგალითად, ხშირ შემთხვევაში, სამორინეები უზრუნველყოფენ თავიანთი მუდმივი კლიენტების უსასყიდლოდ განთავსებას სასტუმროებში, რაც მნიშვნელოვანია განთავსების ობიექტებისათვის, განსაკუთრებით სეზონურობის პრობლემის დასაძლევად. ასევე ჩამოსული ტურისტი თანხას ხარჯავს არა მარტო კონკრეტულ სათამაშო ბიზნესის სუბიექტში, არამედ ასევე ტურისტული ინდუსტრიის სხვა სუბიექტებშიც.

ზემოაღნიშნულ ეფექტებთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია სათამაშო ბიზნესის მულტიპლიკაციური ეფექტი. მაგალითად, სამორინეები ძირითადად უფასოდ ახდენენ საკვები პროდუქტებით და სასმელებით უზრუნველყოფას, რაშიც სოლიდური თანხების გახარჯვით ადგილობრივ სავაჭრო ქსელებში ასტიმულირებენ ადგილობრივ ეკონომიკას. ამასთან, სათამაშო ბიზნესის მიერ ტურისტების მოზიდვა ჯაჭვურად უწყობს ხელს სატრანსპორტო, საბანკო, საკომუნიკაციო და სხვა მომსახურებების განვითარებას და შესაბამისი სტანდარტების ამაღლებას.

მიუხედავად სათამაშო ბიზნესის ეკონომიკის განვითარებაზე პოზიტიური ზეგავლენისა, მნიშვნელოვანია მის მიერ გამოწვეული ნეგატიური ეფექტების იდენტიფიცირება და სისტემატიზება, მათი შედარება დადებითი ზეგავლენით გამოწვეულ ეფექტებთან. ნეგატიური ეფექტებიდან შეიძლება გამოვყოთ: სოციალური დანაკარგები, შენაცვლების ეფექტი, გაჟონვის ეფექტი და სხვა თანამდევი რისკები. როგორც აღნიშნული მიმართულებით უცხოეთში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, სათამაშო ბიზნესით გამოწვეული საზოგადოებრივ-სოციალური დანაკარგები ჰეტეროგენული ხასიათისაა, კერძოდ, ესაა: ადამიანის აზარტულ თამაშობებზე მიჯაჭვულობა (ლუდომანია), პიროვნების გაუცხოება, ჯანმრთელობის დანახარჯების ზრდა, ვალების დაგროვება, კრიმინალური ფონის მატების ხელშეწყობა, მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა და სხვა[1]. შენაცვლების ეფექტი გულისხმობს იმ პოტენციურ დანაკარგებს, რომლებიც წარმოიშობა პირის მიერ თანხების აზარტულ თამაშობებში დაკარგვით, ვიდრე მას შეეძლო აღნიშნული სახსრები გამოეყენებინა პირადი სამომხმარებლო ხარჯების სახით ანდა მოეხდინა ინვესტირება ამა თუ იმ შედარებით სტაბილურ საქმიანობაში ან აქტივში.

რაც შეეხება ე.წ. გაჟონვის ეფექტს, იგი დაკავშირებულია იმის ალბათობასთან, რომ პირმა აზარტული თამაშობებით მონაგები თანხები შეიძლება არ დახარჯოს ადგილობრივ ეკონომიკაში და მოახდინოს მისი რეპატრიაცია. ეს შემთხვევა შეიძლება დამახასიათებელი იყოს არარეზიდენტი ვიზიტორების მაღალი აქტიურობის პირობებში. სათამაშო ბიზნესის უარყოფით ეფექტად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ფულის,,გათეთრებასთან" დაკავშირებული რისკების წარმოქმნის ალბათობა (განსაკუთრებით მისი სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში).

სათამაშო ბიზნესის დადებითი და უარყოფითი გავლენების შეპირისპირების პროცესში მთავარ პრობლემას ქმნის ის გარემოება, რომ უარყოფითი ფაქტორების უმრავლესობა წარმოადგენს ე.წ. არამონეტარულ ფაქტორებს, ანუ რომელთა გაზომვა თუნდაც ემპირიული მიდგომებით შეუძლებელია მაშინ, როდესაც დადებითი ფაქტორების უმეტესობა მონეტარული ხასიათისაა (მაგალითად, სათამაშო ბიზნესში ჩადებული ინვესტიცია, გადახდილი გადასახადები და მოსაკრებლები, დასაქმებულთა რაოდენობა, საშუალო შრომის ანაზღაურება და სხვა). აღნიშნული კუთხით, ასევე შედარებით სირთულეს შეიძლება წარმოადგენდეს სათამაშო ბიზნესის ჯაჭვური ეფექტის გაანგარიშება მომიჯნავე სექტორებთან ერთად გენერირებული დამატებული ღირებულების გაზომვის მიზნით. ამდენად, ამ თვალსაზრისით,,დანახარჯი-სარგებლის" ანალიზის პირდაპირი მიდგომით გამოყენება მიზანშეუწონელია.

სათამაშო ბიზნესის სეგმენტის შეფასება და ანალიზი შესაძლებელია განხორციელდეს თვისებრივ მახასიათებლებთან ერთად რაოდენობრივი ინდიკატორებითაც. რაოდენობრივი კრიტერიუმების სისტემამ უნდა მოიცვას ყველა ის პოტენციური მაჩვენებელი, რომელთა გაანგარიშება ხორციელდება სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეზე გამოყენებული გაზომვადი ინდიკატორებით. სეგმენტის სრულყოფილი ანალიტიკური შეფასებისათვის სასურველია მოვახდინოთ მაჩვენებელთა კომპლექსური შეფასება, როგორც ტრენდის ჩვენების, ასევე სტრუქტურული ანალიზისა და კორელაციური კავშირების დადგენის მიზნით, შემდეგი ინდიკატორების მიხედვით: ა) სტატისტიკური მაჩვენებლები; ბ) ტექნიკური მაჩვენებლები; გ) ფისკალური მაჩვენებლები.

სტატისტიკური მაჩვენებლები სათამაშო ბიზნესთან მიმართებით შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა პერიოდულობით იმაზე დამოკიდებულებით, თუ რომელი ინდიკატორია საინტერესო ანალიტიკური მიზნებისათვის. როგორც ცნობილია, ეკონომიკის ნებისმიერი სექტორის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში, ზოგადი მიდგომით, შეიძლება შევაფასოთ აღნიშნული სექტორის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების ხვედრითი წონით მთლიან დამატებულ ღირებულებაში და ამ სიდიდის ცვლილებით დინამიკაში. მოცემული მიდგომის გამოყენება, სათამაშო ბიზნესთან მიმართებით, 2016 წლამდე არ იძლეოდა სტატისტიკური თვალსაჩინოების საშუალებას იქედან გამომდინარე, რომ წმინდა სტატისტიკური მიდგომით, კერძოდ, ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის მიხედვით, სათამაშო ბიზნესი არ ითვლებოდა ეკონომიკის ცალკე ქვესექტორად (იგი შედიოდა,,სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის" ქვესექციაში), რაც განსხვავებით სხვა სექტორებისაგან, ართულებდა ბიზნესის აღნიშნული სეგმენტის რაოდენობრივი წვლილის პირდაპირ გაზომვას. კლასიფიკაციის ახალი ვერსიით, რომელიც დაუახლოვდა ევროსტატისა და გაეროსტატის მეთოდოლოგიურ მიდგომებს, სათამაშო ბიზნესი გამოიყო ცალკე კლასიფიკატორულ ერთეულად (სექცია R — ხელოვნება, გართობა და დასვენება, განყოფილება 92 — აზარტული თამაშების საქმიანობები), რაც უფრო მკაფიოს გახდის სამომავლოდ სათამაშო ბიზნესის ეკონომიკური წვლილის პრეზენტატულობას[2].

ზემოაღნიშნულთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია სექტორული პოლიტიკის გამტარებელთა მხრიდან ~~სისტემური ანალი~~ზი უკეთდებოდეს პერიოდულად

1 Research on the Social Impacts of Gambling. Dr. Gerda Reith. University of Glasgow with the Scottish Centre for Social Research (ScotCen), 2006. pp. 42–63.

2 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი, ეკონომიკური საქმიანობის სახეები (რედაქცია 2), სეკ 006–2016. თბილისი, 2016.

სათამაშო ბიზნესის სეგმენტის ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა: **ბრუნვა, გამოშვებული პროდუქცია, ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციები და ბიზნეს სექტორის სხვა ინდიკატორები, რომლებიც სტატისტიკურად იანგარიშება ძირითადად კვარტალურად ან/და წლიურად.** მაგალითად, 2010–2014 წლებში სათამაშო ბიზნესის ბრუნვის მაჩვენებელი გაიზარდა საშუალოწლიურად 142.5%-ით, რაც ცალსახად აღნიშნული ბიზნესის მზარდ დინამიკაზე მიუთითებს.

სტატისტიკურ მიდგომასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვნად გვესახება სათამაშო ბიზნესის ისეთი ტექნიკური მახასიათებლების სრულყოფილი ფლობა, ანალიზი და მონიტორინგი, როგორიცაა სათამაშო ბიზნესის სუბიექტების, გაცემული ნებართვების, სათამაშო მაგიდებისა და აპარატების, ასევე მოთამაშე ვიზიტორების რაოდენობა, რაც მნიშვნელოვანია როგორც წმინდა ფისკალური ადმინისტრირების, ასევე ანალიტიკური კუთხით. აღნიშნული თვალსაზრისით, ნიშანდობლივია შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებსა და ბიზნეს სუბიექტებს შორის მჭიდრო კოორდინაცია, განსაკუთრებით რეზიდენტ და არარეზიდენტ ვიზიტორთა აღრიცხვის მხრივ, რაც მნიშვნელოვანი ინდიკატორია ენდოგენური და ეგზოგენური სოციალური ზეგავლენების შესაფასებლად. მაგალითისათვის, 2016 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ სამორინეებში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 680 000 კაცზე მეტი, საიდანაც 76%-ს შეადგენდნენ არარეზიდენტი ვიზიტორები[1].

შევნიშნოთ, რომ სათამაშო ბიზნესის ფისკალური ეფექტი მისი ფუნქციონირების შეფასების განმსაზღვრელი დეტერმინატია, რამდენადაც ერთი მხრივ ბიზნესის აღნიშნული სეგმენტისთვის დაწესებულია განსაზღვრული პრეფერენციები, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფილია სამივე დონის ბიუჯეტებისათვის მისი ფისკალურ წყაროდ გამოყენება. სათამაშო ბიზნესის მიმართ საქართველოს საგადასახადო და სანებართვო კანონმდებლობა ითვალისწინებს შემდეგ შეღავათებს: საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებულია — ფიზიკური პირის შემოსავალი ლატარიიდან მიღებული მოგების სახით ათასი ლარის ოდენობით; საშემოსავლო გადასახადის წყაროსთან დაკავების ვალდებულებისგან — სამორინეს და აზარტული კლუბის (გარდა აზარტული ტურნირის მოწყობისა), სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის ნებართვის მფლობელი პირები, თამაშობიდან მიღებული მოგების გადასახადის ნაწილში; საშემოსავლო და მოგების გადასახადებისაგან — სათამაშო აპარატების სალონის, აზარტული კლუბის და ტოტალიზატორის (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმისა) მოწყობის ნებართვის მფლობელი პირები; დამატებული ღირებულების გადასახადისაგან — ლატარიებით, აზარტული და მომგებიანი თამაშობებით მომსახურების გაწევა (გარდა ლატარიის ორგანიზატორის მიერ გაწეული მომსახურებისა, რომლის წილის 50%-ზე ნაკლებს ფლობს სახელმწიფო). სანებართვო შეღავათებიდან კი ნიშანდობლივია სამორინეების მოწყობის სანებართვო მოსაკრებლისაგან გათავისუფლება, ახლად აშენებულ 80 და 100-ნომრიანი სასტუმროების ტერიტორიაზე რიგ მუნიციპალიტეტებში, სამორინეს მოწყობის ნებართვის გაცემიდან ათი წლის განმავლობაში.

რაც შეეხება სათამაშო ბიზნესის ფისკალური კონტრიბუციის თავისებურებებს, სხვადასხვა დონის ბიუჯეტები ამ თვალსაზრისით ფორმირდება გადასახადების, სანებართვო და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების, ჯარიმებისა და საურავებისაგან. 2010–2014 წლებში სათამაშო ბიზნესიდან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების სახით მობილიზებულმა ჯამურმა შემოსავლებმა შეადგინა 162.7 მლნ ლარი, მოსაკრებლების სახით აკუმულირებულმა ჯამურმა შემოსავლებმა — 482.1 მლნ ლარი, ხოლო ჯარიმე-

1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემები (http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=345462&gid=5#.WQ7wBdKGPIU).

ბისა და საურავების სახით მიღებულმა სახსრებმა, ბოლო სამი წლის განმავლობაში, შეადგინა 1 115 ათასი ლარი. აქვე შევნიშნავთ, რომ 2014 წელს გადახდილმა გადასახადების და მოსაკრებლების თანხამ (177.6 მლნ ლარი) შეადგინა ნაერთი ბიუჯეტის 2.3%, თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სათამაშო ბიზნესის ფისკალური წვლილი ეკონომიკურად აქტიური თვითთმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ფორმირების საქმეში. მაგალითად, 2014 წელს ქვეყნის 7 მსხვილი თვითმმართველი ერთეულისთვის სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით მიღებულმა თანხებმა საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლების საშუალოდ 24% შეადგინა[1]. აღსანიშნავია, რომ წმინდა ფისკალური თვალსაზრისით სათამაშო ბიზნესის მიერ გენერირებულ საბიუჯეტო შემოსავლებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით წარმოდგენილია სამორინე ბიზნესი. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ თვითმმართველ ქალაქ ბათუმის მაგალითი, რომლის ბიუჯეტში 2016 წელს საკუთრივ სამორინეებიდან მიღებულმა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლმა 17 736.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც სათამაშო ბიზნესის ჯამური მოსაკრებლის 80%-ზე მეტია, ხოლო სათამაშო ბიზნესის ფისკალურმა კონტრიბუციამ იმავე წელს მუნიციპალური საბიუჯეტო შემოსულობების 17.5%-ის შევსება უზრუნველყო[2].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და უცხოური ქვეყნების სათამაშო ბიზნესის გამოცდილების განზოგადებიდან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფოს ჰქონდეს ბიზნეს სექტორის აღნიშნული სეგმენტის მიმართ არა მოკლევადიანი, არამედ სტაბილური გრძელვადიანი ხედვა, რაც პოტენციურ ინვესტორებს და ოპერირებად კომპანიებს საშუალებას მისცემს უფრო პროგნოზირებადი გახდეს მათი საქმიანობა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ასევე მნიშვნელოვანია შესაბამის კანონმდებლობაში ხშირი და სპონტანური ცვლილებების იგნორირება, სახელმწიფო სექტორის მჭიდრო კოორდინაცია შესაბამის ბიზნეს სექტორთან, რეგულირებასთან დაკავშირებით საუკეთესო უცხოური გამოცდილებების შესწავლა, რაც დაკავშირებულია: მოცემული ბიზნესის რეკლამის შეზღუდვის, რეზიდენტ და არარეზიდენტ მოთამაშე ვიზიტორებთან დაკავშირებით დასაშვები ასაკობრივი ზღვრების დიფერენცირების და/ან გაზრდის, პერიოდული გადახდების საფუძველზე ე.წ. სანებართვო ბარათების სისტემის შემოღების, ზონალური განლაგების/მოწყობის მიზანშეწონილობის, ლოტოს ორგანიზებაში სახელმწიფოს მონაწილეობის ოპტიმალური მოდელის შექმნის, ონლაინთამაშების მკაცრი რეგულირების, სათამაშო ბიზნესის მომსახურების ხარისხის ამაღლების, სტატისტიკური ანალიზის სრულყოფის და სხვა მიმართულებებით.

ამრიგად, როგორც სათამაშო ბიზნესის კვლევა-ანალიზი ცხადყოფს, იგი წარმოადგენს ქვეყნის ბიზნეს სექტორის ერთ-ერთ ყველაზე სპეციფიკურ ქვესექტორს და, ამავე დროს, საზოგადობრივად დელიკატურ საკითხს, რისთვისაც აუცილებელია სახელმწიფოს გააჩნდეს მკაფიო პოლიტიკა და შესაბამისი მიდგომები. აღნიშნული თვალსაზრისით კი უმნიშვნელოვანესია ჩატარდეს კომპლექსური ემპირიული კვლევა სათამაში ბიზნესის სფეროში, საჭიროა დარგის საუკეთესო უცხოული პრაქტიკების შესწავლა და გაანალიზება არსებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისებურებების გათვალისწინებით, სათამაშო ბიზნესის ბაზრის შესწავლა ფართო რეგიონული მასშტაბით, სათამაშო ბიზნესის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და ფისკალურ დეტერმინანტებზე ზეგავლენების შეფასება, მონეტარული და არამონეტარული ინდიკატორების ფუნდამენტური ანალიზი, რაციონალურად გააზრებული რეგულაციების დაწესება და შემოღება, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს და უფრო მეტად ქმედითს გახდის ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემასთან მისადაგებული ბიზნეს ქვესექტორის ფუნქციონირებას და მის მოქნილ და ეფექტიან სახელმწიფო ადმინისტრირებას.

1 საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო. აზარტული თამაშები საქართველოში (მეორე ანგარიში). 2015, გვ. 8–9.

2 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. გვ. 3, გვ. 17.

FINANCIAL-ECONOMIC AND SOCIAL-ECONOMIC DETERMINANTS OF GAMBLING BUSINESS

Besik Bolkvadze
Doctor of Economics Associate Professor
at Batumi Shota Rustaveli State University

SUMMARY

The article presents the first attempt in Georgian scientific sphere that considers social, economic and financial aspects of gambling business functioning. It is well known without any exaggeration that gambling is one of the most actual and delicate issues all over the world. Georgia is not exception in this regard. Based on analyzing gambling business peculiarities and studying some foreign best practices of the specific business subsector, the author discusses the positive and negative impacts of gambling on the state, business and society. The work also contains some relevant recommendations, which, as the author suggests, will help policy implementation at state, regional and local governmental levels respectively.

ორგანიზაციისადმი პერსონალის ერთგულება, როგორც მისი არამატერიალური აქტივი

რეზიუმე

სტატიაში „ორგანიზაციისადმი პერსონალის ერთგულება როგორც მისი არამატერიალური აქტივი“ დასმულია საკითხი იმის შესახებ, რომ რადგან პერსონალის ერთგულება ორგანიზაციას აძლევს შედეგს (ზრდის მის შემოსავლიანობას), იგი უნდა შევიდეს მის არამატერიალურ აქტივების ჩამონათვალში.

სტატიაში განხილულია უცხოელ მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევები პერსონალის ერთგულებაზე, მასზე მოქმედ ფაქტორებზე და შედეგის მომტან ცვლილებებზე. ამ გამოკვლევებიდან ირკვევა, რომ იქაც ეს საკითხი ახალია. ამ ფენომენს ისინი კი აღიარებენ, მაგრამ ისინიც ვერ გასცდნენ ერთგულების სოციომეტრულ კვლევებს, ანუ ჯერ კვლევებით არ მომხდარა ერთგულების იდენტიფყცირება და კომპანიების მიერ არც მასზე კონტროლის მექანიზმი შემოთავაზებულა. არადა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები არამატერიალურ აქტივს, გარდა შედეგის მოცემისა, რაც კვლევებით უკვე დადგენილია, ამ ორ მოთხოვნასაც უყენებს.

ამ სტატიაში ავტორებს მოყვანილი აქვთ პრაქტიკული კვლევების შედეგები, რომელიც მათ ჩაატარეს მეცნიერ მოვდეუს კითხვარის გამოყენებით პსპ აფთიაქების ქსელში და ბენზინგასამართ სადგურების ქსელში. გაკეთებულია დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციისადმი ერთგულება, არამატერიალური აქტივი, ორგანიზაციით კმაყოფილება, სამუშაოთი კმაყოფილება.

შესავალი

ადამიანებს ასობით სხვადასხვა დამოკიდებულებები აქვთ. ამ სტატიის ფარგლებში ჩვენ ვიხილავთ დასაქმებული ადამიანების სამსახურთან დაკავშირებულ დამოკიდებულებებიდან ერთ-ერთ ძირითადს – ორგანიზაციისადმი ერთგულებას და ვაყენებთ საკითხს მისი არამატერიალურ აქტივებში შეტანის შესახებ.

1. არამატერიალური აქტივების არსი.

არამატერიალური აქტივი, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს ორგანიზაციის ის ქონებაა, რომელსაც მატერიალური სუბსტანცია არ გააჩნია, მაგრამ მატერიალურ ქონებასთან შედარებით ათჯერ და ხშირად ასჯერ მეტად ფასობს. სპეციალურ ლიტერატურაში არამატერიალური აქტივი ასე არის განმარტებული: „არამატერიალურია ისეთი აქტივები, რომლებიც წარმოებას ემსახურებიან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, არ გააჩნიათ მატერიალურ-ნივთობრივი ფორმა, მაგრამ აქვთ ღირებულებითი შეფასება და საწარმოსათვის მოაქვთ ეკონომიკური სარგებელი (მოგება)“ [1, გვ. 128].

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც არ გააჩნია ფიზიკური ფორმა და რომელსაც ორგანიზაცია ფლობს წარმოების ან მიწოდების (საქონლის ან მომსახურების) პროცესში გამოსაყენებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის, არამატერიალური აქტივის ამ განმარტებიდან გამომდინარე, იგი უნდა აკმაყოფილებდეს სამ ძირითად პირობას:

1. უნდა იყოს ორგანიზაციის მიერ კონტროლირებადი.

2. საწარმოს აძლევდეს ეკონომიკურ სარგებელს.

3. უნდა იყოს იდენტიფიცირებადი.

აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დღეს არამატერიალურ აქტივებს მიეკუთვნება: სავაჭრო ნიშანი (მარკა, ემბლემა, სახელწოდება); კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა; ლიცენზია, კონცესია, ფრანჩაიზინგი, იჯარის უფლება, საავტორო უფლება, პატენტი, მოდელი, ნახაზი, პროტოტიპი, საკუთრების უფლება ან წარმოების (მომსახურების, ექსპლოატაციის) უფლება, პუბლიკაცია პერიოდული გამომცემლობა, რეპუტაცია, გუდვილი (რეპუტაცია).

2. ორგანიზაციისადმი პერსონალის ერთგულება (უცხოელი მეცნიერების კვლევები)

ამ ჩამონათვალის გარდა ორგანიზაციაში არსებობს ისეთი ფენომენი, რომელსაც ეწოდება ორგანიზაციისადმი პერსონალის ერთგულება და რომელიც დიდ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ქმედუნარიანობაზე, სიცოცხლისუნარიანობაზე, შედეგიანობაზე, კონკურენტუნარიანობაზე, აღრიცხვით კი, არსად არ აღირიცხება. რა ფენომენია პერსონალის ერთგულება და უნდა აღირიცხებოდეს თუ არა იგი ორგანიზაციის აქტივებში?

პერსონალის ერთგულება ორგანიზაციისადმი თითოეული დასაქმებულის დამოკიდებულებას ასახავს. ეს დამოკიდებულება ემოციურია და მას აყალიბებს ინდივიდის მიერ ორგანიზაციის ფასეულობების მიღება-

არმიღება. ეს ისეთი მდგომარეობაა, როცა ინდივიდი ორგანიზაციას აიგივებს თავის თავთან, მთლიანად და სრულად იღებს მის მოცემულობებს, მათ თვლის საკუთარ მოცემულობებად და თავის როლს ორგანიზაციაში დიდი ერთგულებით, თავდადებით, შეიძლება ითქვას სიყვარულით ასრულებს.

არსებობს სხვა მოსაზრებებიც:

მეცნიერი **სალანჩიკი** თვლის, რომ ორგანიზაციისადმი ინდივიდის ემოციური ერთგულება მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ნათელია მის მიერ ამ ორგანიზაციაში დასაქმების მოტივები, რაც უფრო მეტი ჰქონდა მას ამ ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია მის იქ დასაქმებამდე [3].

პორტერი, სტირსი და **ბონლიანი** ამტკიცებენ, რომ დასაქმებულის ერთგულება ორგანიზაციისადმი სამი ელემენტისაგან შედგება:

1. ორგანიზაციის ფასეულობების მტკიცედ აღიარება;

2. სურვილი ნებაყოფლობით ემსახუროს ორგანიზაციას.

3. ძლიერი მისწრაფება იყოს მხოლოდ ამ ორგანიზაციის კოლექტივის წევრი [4].

სტირსი ინდივიდის ერთგულებას ორგანიზაციისადმი საფუძვლად უდებს გატაცება მისით, მისი ფასეულობებით, მისი საქმიანობით და მისი ლიდერებით [5].

სხვა მეცნიერები აკრიტიკებენ **სტირსს** და ამტკიცებენ, რომ ერთგულება და გატაცება სხვადასხვა რამეა. გატაცება საქმემ იცის. ინდივიდი შეიძლება მთლიანად გატაცებული იყოს თავისი საქმით, სერიოზულად ასრულებდეს მას და აძლევდეს დიდ მნიშვნელობას, მაგრამ არ იყოს ორგანიზაციის ფასეულობებისადმი ერთგული. მაშასადამე, თუ ინდივიდს აქვს სამუშაოსთან ერთობის გრძნობა, მაშინ საქმე გვაქვს სამუშაოთი გატაცებასთან, ხოლო თუ განიცდის ორგანიზაციასთან ერთობის გრძნობას, მაშინ – ორგანიზაციისადმი ერთგულებასთან [6].

როგორც სამუშაოთი გატაცება, სამუშაოთი კმაყოფილება, ისე ორგანიზაციისადმი ერთგულება ინდივიდის პოზიციებია, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ეს უკანასკნელი ხანგრძლივია, ხშირად მუდმივიც კი, მას დრო ვერ ჭამს. პირველი ანუ, სამუშაოთი კმაყოფილება ინდივიდს შეეცვლება მაშინვე, როგორც კი ამ სამუშაოს შესრულების პირობებში, ან სამუშაოს ოპერაციებში, რაიმე ცვლილება მოხდება.

ორგანიზაციისადმი ერთგულების სამი ტიპი შემოგვთავაზა მეცნიერმა **ეტციონმა** [7]:

1. მორალური ერთგულება.

2. ანგარებით ერთგულება.

3. გაუცხოვებული ანუ იძულებითი ერთგულება.

მორალური ერთგულება გვიჩვენებს თანამშრომლის თავდადებას თავისი დამსაქმებელი ორგანიზაციის მიმართ, იმის გამო, რომ ის ხედავს მის სოციალურ მიზნებს.

ანგარებით ერთგულება ეფუძნება ორმხრივ სარგებელს. დასაქმებულები ორგანიზაციის მიზნის და ამოცანების ერთგულნი არიან და ორგანიზაციაც არ რჩება ვალში, მათი შრომა და ასეთი თადვადება სათანადოდ ფასდება.

იძულებითი ერთგულება გაუცხოებული ერთგულების პირობითი სახელწოდებაა. იგი შეიძლება ჰქონდეთ ტყვეთა ბანაკების და სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლებს.

მეორე უცხოელმა მეცნიერმა **კანტერმა** ასევე შემოგვთავაზა ერთგულების სამი ფორმა [8]: 1. შრომის სტაჟზე დაფუძნებული ერთგულება. 2. ჯგუფის შეკრულობაზე დაფუძნებული ერთგულება. 3. მართული ერთგულება.

სტაჟზე დაფუძნებული ერთგულება ანგარიშიანია. დასაქმებული ინდივიდი ანგარიშობს, რა სჯობია მისთვის, წავიდეს ორგანიზაციიდან თუ დარჩეს მის წევრად.

ჯგუფის (გუნდის) შეკრულობაზე დაფუძნებული ერთგულება გვიჩვენებს ინდივიდის მიერ წინა სოციალური კავშირების დარღვევას და მის დამსაქმებელ ორგანიზაციის შიგა გუნდში მთელი არსებით – შეხედულებებით, ფასეულობებით და ა. შ. მიკუთვნებას.

მართული ერთგულება გვიჩვენებს ინდივიდის ისეთ პოზიციას, როცა მან უარი თქვა თავის საკუთარ ადრეულ „მე"-ზე და მოახდინა მისი ახალი ფორმირება დამსაქმებელი ორგანიზაციის ნორმების და ფასეულობების ჩარჩოში.

ასევე სამი სახის ერთგულებას გვიხასიათებენ **სტივენ რობინზი** და **ტიმოთე ჯაჯი** [9, გვ. 25]:

1. აფექტური ერთგულება: ორგანიზაციასთან ემოციური კავშირი და მისი ფასეულობებისადმი რწმენა.

2. ხანგრძლივი ერთგულება: ორგანიზაციაში დარჩენის ეკონომიკური ღირებულების შედარება მის დატოვებასთან. დაქირავებული შეიძლება დამქირავებლის ერთგული იყოს, როცა მას კარგად უხდიან და ფიქრობს, რომ სამსახურის მიტოვება მის ოჯახს დააზარალებს.

3. ნორმატიული ერთგულება: ორგანზიაციაში ეთიკური ან მორალური მიზეზებით დარჩენის ვალდებულება. დაქირავებული, რომელიც ახალ ინიციატივას ხელმძღვანელობს. შეიძლება დამქირავებელთან დარჩეს, რადგან ფიქრობს, რომ თუ იგი მიატოვებს, დამქირავებელი ბედის ანაბარა დარჩება.

როგორც ჩანს, ორგანიზაციისადმი ერთგულებასა და პროდუქტულობას შორის დადებითი კავშირი არსებობს, მაგრამ ეს კავშირი მოკრძალებულია, ისევე როგორც სამსახურში ძლიერი ჩართულობის დროს, გამოკვლევამ აქაც ორგანიზაციისადმი ერთგულებასა და სამსახურის გაცდენა-დატოვებას შორის უარყოფითი კავშირი აჩვენა. ზოგადად, როგორც ჩანს აფექტური ერთგულება უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული ორგანიზაციის ისეთ შედეგბთან, როგორიც არის სამუშაოს შესრულება და სამსახურის დატოვება, ვიდრე ერთგულების დანარჩენი ორი განზომილება. ერთ-ერთმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ აფექტური ერთგულება შემთხვევათა 72%-ში ახდენს შედეგების (ამოცანის ნიშან-თვისდებების აღქმა, კარიერით კმაყოფილება, სამსახურის მიტოვების განზრახვა) პროგნოზირებას, ნორმატიული ერთგულება შემთხვევათა 36%-ში, ხოლო ხანგრძლივი ერთგულება 7%-ში. ხანგრძლივი ერთგულების დაბალი შედეგი გვაფიქრებინებს, რომ სინამდვილეში ეს ძლიერი ერთგულება არ არის დამქირავებელზე „მიბმულ" დაქირავებულის თავდადებისა (აფექტური ერთგულება) ან მოვალეობის (ნორმატიული ერთგულება) ნაცვლად

ხანგრძლივი ერთგულება ახასიათებს მხოლოდ იმიტომ, რომ უკეთესი გამოსავალი არ არსებობს.

ერთგულების ორი ტიპი შემოგვთავაზეს მეცნიერებმა **სტოუმ** და **სალანჩიკმა: პირველია, ერთგულება, როგორც პოზიცია და მეორე – ქცევითი ერთგულება.** როცა ინდივიდი თავის სამსახურს თავის „მე"-სთან აიგივებს, ეს უკვე არის მისი აქტიური პოზიტიური პოზიცია. იგი მზადაა მუდმივად იყოს ამ ორგანიზაციის წევრი და იშრომოს მისი კეთილდღეობისთვის. ქცევითი ერთგულების ინდივიდი ფსიქოლოგიურ ეფექტს იღებს იმით, რომ მან სწორი არჩევანი გააკეთა ამ ორგანიზაციაში დასაქმებით.

ორგანიზაციისადმი ერთგულების სოციომეტრულ კვლევებს მრავალი ქვეყანა ახორციელებს. კვლევები ძირითადად დასაქმებული ინდივიდების ანკეტირებით ხორციელდება. ამჟამად შედარებით ინტენსიურად გამოიყენება მეცნიერ **მოვდესუს** მიერ შემუშავებული ორგანიზაციისადმი ერთგულების ანკეტა, რომელიც 15 კითხვისგან შედგება. არსებობს მეცნიერ **უორმის** მიერ შედგენილი 9 კითხვიანი ანკეტაც.

დასანანია, რომ საქართველოში არც კვლევითი ორგანიზაციები, არც უნივერსიტეტები და არც ცალკეული მეცნიერები ამ საკითხზე არ მუშაობენ. ასეთი კვლევებით დაინტერესებული უნდა იყონ ცალკეული კომპანიებიც. განა მათ ინტერესებში არ უდნა იყოს, რომ გაიგონ, როგორია მათთან დასაქმებულების ერთგულების ხარისხი მათ მიმართ. პერსონალის ერთგულება ხომ მათ დიდ შემოსავალს აძლევთ? საქართველოში ეს საკითხი არც მაკრო და არც მიკრო დონეზე არ დასმულა. არადა, ჩვენი აზრით, ორგანიზაციისადმი პერსონალის ერთგულება მისი აქტივია, ქონებაა. ერთგულება დადებითად მოქმედებს ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებზე. რაც მაღალია ერთგულების ხარისხი და რაც მასიურია იგი, მით ნაკლებია კონფლიქტები და მაღალია ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობა და შემოსავლიანობა.

ორგანიზაციისადმი ერთგულების კვლევებით დაკავებული მეცნიერები ასახელებენ დასაქმებულთა ერთგულებაზე მოქმედ ფაქტორებს და შედეგის მომცემ ცვლადებს. მათ რიცხვშია:

პიროვნული მახასიათებლები;

- **როლები;**
- **ორგანიზაციის თავისებურებები;**
- **სამუშაო გამოცდილება;**
- **მუშაობის გაგრძელების სურვილი;**
- **მუშაობის გაგრძელების განზრახვა;**
- **სამსახურში ჩართულობა;**
- **სამსახურის შენარჩუნება;**
- **მუშაობაში ძალისხმევა** (ნახაზი 1).

ამ ჩამონათვალში პირველია პიროვნული მახასიათებლები. 1979 წელს მეცნიერმა **სტირსმა** ჩაატარა გამოკვლევა საავადმყოფოებში 382 თანამშრომელზე **მოვდეუს** ანკეტის გამოყენებით და დაადგინა, რომ მართლაც ძალზე დიდია კავშირი დასაქმებულთა პირად მახასიათებლებსა და ორგანიზაციისადმი მათ ერთგულებას შორის.

ორგანიზაციისადმი ერთგულების დადგენის **მოვდეუს** მიერ შედგენილი ტესტური შემოწმება მოიცავდა შემდეგ კითხვებს:

1. ბიოგრაფიული მონაცემები (წლოვანება, სქესი, ოჯახური მდგომარეობა და ა. შ.).

2. დაკავებული თანამდებობა.

3. რამ გადააწყვეტინა ამ ორგანიზაციაში დასაქმება?

4. როგორი აქვს მუშაობის სტაჟი?

5. რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის თავისი ორგანიზაციის პრესტიჟი და მომავალი?

6. რა განათლება აქვს მიღებული?

7. უზრუნველყოფს ორგანიზაცია დასაქმებულის შემოქმედებით სრულყოფას, ინიციატივის გამოჩენას?

8. რა პროფესიულ წარმატებას მიაღწია ორგანიზაციაში?

9. კმაყოფილია ანაზღაურებით.?

10. შეუძლია თუ არა თავისი უნარებით წინ წასწიოს ორგანიზაცია?

11. მოსწონს თავისი ორგანიზაცია?

12. რა მიზეზებით, რატომ მოსწონს თავისი ორგანიზაცია?



ნახაზი 1. ორგანიზაციისადმი პერსონალის ერთგულების გამომწვევი ფაქტორები და შედეგის მომცემი ცვლადები [10]

13. დავალების შესრულებისთვის აქვს ყველა საჭირო ინფორმაცია?

14. შეიძლება დააწინაურონ?

15. ნათელია მისთვის ორგანიზაციის პერსპექტივები?

მსგავსი კვლევები ჩაატარეს **მორსმა** და **შერმანმა** 1981 წელს, **გრებინიაკმა** და **ალიუტომ** 1972 წელს და სხვებმა. **გრებნიაკმა** და **ალუტომ** აღმოაჩინეს, რომ ქალები უფრო ერთგული არიან ორგანიზაციისადმი, ვიდრე კაცები, **მორისმა** და **შერმანმა** კი დაადგინეს, რომ რაც უფრო მაღალია დასაქმებულის განათლების დონე, მით უფრო დაბალია მისი ორგანიზაციისადმი ერთგულების დონე. მან იცის, რომ შანსი აქვს უკეთეს ორგანიზაციაში დასაქმდეს და ამიტომ არ იჩენს უკვე დასაქმებულ ორგანიზაციის მიმართ დიდ ერთგულებას.

3. დამოუკიდებელი კვლევა და მისი შედეგი

მეცნიერ **მოვდეუს** კითხვარის გამოყენებით ჩვენ დამოუკიდებლად, ორ ფოკუს-ჯგუფში ჩავატარეთ კონფინდენციალური ინტერვიურება. ერთი ფოკუს-ჯგუფი შეირჩა ქ. თბილისის პსპ აფთიაქების თანამშრომლებიდან, მეორე კი – ქ. თბილისის ბენზინგასამართი სადგურების თანამშრომლებიდან. აფთიაქებიდან შერჩეულ ფოკუს-ჯგუფში გამოიკითხა 20 თანამშრომელი (15 ქალი, 5 მამაკაცი), ბენზინგასამართი სადგურიდან კი – 30 თანამშრომელი (25 მამაკაცი, 5 ქალი).

გამოკითხვის შედეგი აფთიაქების ქსელში:

1. მამაკაცები, რომლებიც ამჟამად ამ ქსელში დისტრიბუტორებად მუშაობენ, ეძებენ სხვა სამსახურს.

2. გამოკითხული 15 ქალიდან 7-ს აქვს ადგილზე მუშაობის 8—10 წლის სტაჟი და ისინი სხვა ორგანიზაციაში გადასვლას არ აპირებენ.

3. გამოკითხული 15 ქალიდან 3 არის 45—50 წლის და არც თუ დიდი ხელფასის მიუხედავად, მათ მოსწონთ თავიანთი ორგანიზაცია.

4. რესპოდენტი ქალებიდან ორმა გამოთქვა უკეთესი სამსახურის სურვილი, რადგან მუშაობენ მოლარეებად, რაც არ შეესაბამება მათ უმაღლეს განათლებას.

ამრიგად, სააფთიაქო ქსელის დასაქმებულთა ფოკუს-ჯგუფის ანკეტირებით დადგინდა, რომ:

- **მამაკაცები ნაკლებად ერთგულნი არიან ორგანიზაციის;**
- **რესპოდენტი ქალებიდან მეტ ერთგულებას ორგანიზაციისადმი იჩენენ საპენსიო ასაკს მიტანებული ქალები, ადგილზე მაღალი სტაჟის მქონე და შედარებით დაბალი განათლების მქონე ქალები.**

გამოკითხვის შედეგები ბენზინგასამართ სადგურებში:

1. გამოკითხულ 25 მამაკაციდან მხოლოდ სამმა გამოთქვა სამსახურით სრული კმაყოფილება. მათი ასაკი 35—40 წელი, განათლება – საშუალო.

2. გამოკითხული ქალებიდან, რომლებიც მოლარეებად მუშაობენ, ყველა უარყოფითად იყო განწყობილი თავისი ორგანიზაციის მიმართ. სამი, რომელთაც უმაღლესი განათლება ჰქონდათ თვლიდნენ, რომ თანამდებობა და მისი ადექვატური ხელფასი მათთვის არ იყო შესაფერისი, ორს კი არ მოსწონდა კოლექტივში არსებული კლიმატი.

ამრიგად, ბენზინგასამართ სადგურებში დასაქმებულთა ანკეტირებით დადგინდა, რომ:

- **ქალები ნაკლებად არიან ერთგულნი ამ ორგანიზაციის;**
- **მამაკაცებიდან ერთგულნი არიან შედარებით მაღალი ასაკის და დაბალი განათლების მამაკაცები.**

დასკვნა

ორგანიზაციისადმი დასაქმებულთა ერთგულების ჩვენი კვლევიდან იმ საერთო დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მართალია ქალები ორგანიზაციისადმი მეტი ერთგულებით გამოირჩევიან, მაგრამ აქაც მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციის პროფილს და კოლექტივს. ქალებს არც ყველა სამუშაოს შესრულება შეუძლიათ და არც ყველანაირ კოლექტივში მუშაობა. ეს დასკვნა გაგვაკეთებინა ბენზინგასამართზე დასაქმებულ ქალებზე დაკვირვებამ, რომლებიც მართალია ქალურ საქმეზე – მოლარეებად მუშაობენ, მაგრამ არ მოსწონთ მამაკაცების კოლექტივში მუშაობა.

რეკომენდაცია

ჩვენი წინადადებაა, რომ საქართველოს კვლევითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტების კვლევითი ცენტრები, ცალკეული მეცნიერები (ეკონომისტები, ფსიქოლოგები) და კომპანიების კვლევითი ლაბორატორიები დაინტერესდნენ ორგანიზაციებისადმი დასაქმებული პერსონალის ერთგულების კვლევით, რადგან ეს არის მათი მაღალშედეგიანი აქტივი. სამწუხაროა, რომ დღეს ორგანიზაციისადმი პერსონალის ერთგულება თეორიულ დონეზეც არ მოიხსენება აქტივად. არადა, ვფიქრობთ ის უნდა შედიოდეს კომპანიის არამატერიალურ აქტივებში.

მანანა ხარხელი
თსუ ასისტენტ-პროფესორი

ტრისტან ჯინჭარაძე
თბილისის თავისუფალი
უნივერსიტეტი, პროფესორი

ლიტერატურა:

1. მესხია ი., ჯალაღონია დ., ბუღალტრული აღრიცხვა, ბიზნეს-კურიერი, თბ., 2006, გვ. 128.
2. Buchanan R. Personality (New-York: Henny Holf and Company. Inc. 1974.
3. Salancik M. Emotions of human-person, Lankaskir, 1974.
4. Porter E., Steers H., Bonlian S. Modem Human Relations at work, Dryden Press, 1974.
5. Stirs C. Annual Review of Psychology, New-York, Academic Press, 1979.
6. Bern D. Indastmail Psychology, 1976.
7. Etziani M., The devoted position for the organization, 1961.
8. Kanter R. Work-satisfaction and Organisation satisfaction, 1968.
9. სტივენ რობინსი, ტიმოთე ჯაჯი, ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, თბ., 2009, გვ. 25.
10. Mowday R., Porter L., Steers R. Employee-Organization Linkages The Psychology of Commitment, Absenieeism and Turnover (New-York, Academic Press, 1982, p. 30.

BIBLIOGRAPHY:

1. Meskhia I., Jalagonia D., Accounting records, Business-currier, Tb.2006., p.128
2. Buchanan R. Personality (New-York: Henny Holf and Company. Inc. 1974.
3. Salancik M. Emotions of human-person, Lankaskir, 1974.
4. Porter E., Steers H., Bonlian S. Modem Human Relations at work, Dryden Press, 1974.
5. Stirs C. Annual Review of Psychology, New-York, Academic Press, 1979.
6. Bern D. Indastmail Psychology, 1976.
7. Etziani M., The devoted position for the organization, 1961.
8. Kanter R. Work-satisfaction and Organization satisfaction, 1968.
9. Styven Robins, Thimote Jadge, The fundamentals of organizational behavior, Tb.2009, p.25
10. Mowday R., Porter L., Steers R. Employee-Organization Linkages The Psychology of Commitment, Absenieeism and Turnover (New-York, Academic Press, 1982, p. 30.

STAFF DEVOTION TO THE ORGANIZATION, AS IT'S INTANGIBLE ASSETS (ACCORDING TO THE RULE OF THE QUESTION)

MANANA KHARKHELI, TSU ASSISTANT-PROFESSOR
TRISTAN JINCHARADZE, PROFESSOR

SUMMARY

In the article "**Staff devotion to the organization, as it's INTANGIBLE ASSETS**" is raised a question that staff devotion gives the result to the organization (increases it's income), it must be included in the list of its.

In the article it is discussed the researches of foreign scientists about staff devotion, its influenced factors and changes causing the result. From these researches it is clear that this question is new there too. They admit this phenomenon, but they can't look far from these sociological researches about devotion, it means that the identification of devotion hasn't happened yet and the mechanism of controlling it hasn't been suggested by the companies. The international standards of accounting records of nonmaterialistic activities besides the results demands two things according the researches.

The author of this article has a research about staff devotion to the organization using the questionnaire of scientist Mouvdeus in PSP drugstores and Petrol station. The conclusions are drawn.

Key words: Devotion to the organization, intangible assets, organizational satisfaction, work satisfaction.

ელექტროენერგეტიკული სექტორის რეგულირება და საკანონმდებლო მიმოხილვა

ისტორიულად, სხვადასხვა სახელმწიფოები დროის სხვადასხვა მონაკვეთებში ენერგეტიკული სექტორის მართვის განსხვავებულ ფორმას მიმართავდნენ, სრული სახელმწიფო მმართველობიდან მაქსიმალურ ლიბერალიზაციამდე, მაგრამ მიუხედავად ენერგეტიკულ სექტორში არსებული კონკურენტული თუ მონოპოლიური რეგულირებადი გარემოს და საკუთრების ფორმებისა, მდგრადი ენერგეტიკული უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციად და პასუხისმგებლობად რჩება[1].

ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სრულყოფილი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის არსებობას. საქართველოს კანონმდებლობა ენერგეტიკის სფეროში შედგება – საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო შეთანხმებების და ხელშეკრულებების, საქართველოს კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისგან.

საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორში 1999 წლის 1 მაისამდე ძირითად ნორმატიულ დოკუმენტს წარმოადგენდა საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკის შესახებ", რომელიც ქვეყნის პარლამენტმა 1997 წლის 27 ივნისს მიიღო. კანონით განისაზღვრა ურთიერთობა ელექტროენერგეტიკის სტრუქტურულ ერთეულებს შორის, შეიქმნა სამართლებრივი საფუძვლები დარგში საბაზრო ურთიერთობების დანერგვისთვის, ინვესტიციების მოზიდვისთვის, ელექტროენერგიის კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებისთვის და სხვა[2].

კანონის ფარგლებში სამინისტროს ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა: ელექტროენერგეტიკის განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების განსაზღვრა და კოორდინაცია, ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, სახელმწიფო საწარმოების რესტრუქტურიზაციისა და პრივატიზაციის, ბაზარზე კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, ინტენსიურად მიმდინარეობდა ეკონომიკური რეფორმები საკანონმდებლო ცვლილებების სახით, რათა შექმნილიყო ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო და გაუმჯობესებულიყო სექტორის მართვა. გატარებული ცვლილებების შედეგად, 1999 წლის 30 აპრილს შეიცვალა კანონის დასახელება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით – საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ", რომელიც წარმოადგენს ძირითად კანონს სექტორში.

ახალ კანონში აისახა ენერგეტიკის ისეთი სფეროები, როგორიცაა **ელექტროენერგეტიკის ექსპორტ-იმპორტი.** ის აწესრიგებს საქმიანობასა და ურთიერთობებს



ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, იმპორტის, ექსპორტისა და დარგის ფუნქციონირებასა და განვითარებას საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად. კანონის წინაშე მდგარი ამოცანებია: **დარგში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და რეგულირების ფუნქციების გამიჯვნა; რეგულირების ძირითადი პრინციპების განსაზღვრა; დარგის ლიცენზიატებისთვის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა; მომხმარებელთა დაცვა მონოპოლიური ტარიფებისგან და დარგის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობა[3].**

სექტორის მარეგულირებლია საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში კომისია), რომელიც დაარსდა 1997 წელს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ კანონის საფუძველზე №1666. დღეს უკვე მარეგულირებელი კომისიაა პასუხისმგებელი ელექტროენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის, გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის წესების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, საბალანსო ელექტროენერგიის და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვის სტანდარტული პირობების და ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის დანერგვაზე.

საქართველოს კანონი **„დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" წარმოადგენს ჩარჩო ნორმას, რომლითაც მყარი სამართლებრივი საფუძვლები შეიქმნა ქვეყანაში არსებული მარეგულირებელი ინსტიტუტების სტაბილური ფუნ-**

1 პირველი ი., სუმბაძე ნ., მუხიგიშვილი გ., ქელბაქიანი გ., გალდავა ი., ელექტროენერგეტიკული პოლიტიკის მოდელირება და ანალიზი, თბ., 2013, გვ. 26—27

2 საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკის შესახებ", 1.05.1997

3 ჩომახიძე დ., შესავალი ენერგომენეჯმენტში, თბ., 2011, გვ. 103

ქციონირებისთვის[1], ხოლო კანონით „რეგულირების საფასურის შესახებ", უზრუნველყოფილ იქნა კომისიის ფინანსური დამოუკიდებლობა[2].

საქართველოს კანონი **„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ"** 2005 წლის 24 ივნისიდან აწესრიგებს ქვეყანაში ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების ზოგად წესებს, სადაც გაწერილია ლიცენზიებისა და ნებართვების სახეების ჩამონათვალი[3]. ენერგო სექტორში კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიების გარეშე აკრძალულია სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. ლიცენზიები გაიცემა შემდეგ საქმიანობებზე: ელექტროენერგიის წარმოება, გადაცემა, დისპეტჩერიზაცია და განაწილება[4].

კანონის შესაბამისად, ბაზარი არის ნაწილობრივ დერეგულირებული და დერეგულირებული, კერძოდ: პირველი გულისხმობს საქმიანობას კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის ზედა ზღვარით, ხოლო დერეგულირებულ სადგურებს მიეკუთვნება (საქმიანობენ ლიცენზიისგან გათავისუფლებულნი და თავისუფალი ტარიფებით) 13 მგვტ-ზე ნაკლები საპროექტო სიმძლავრის და 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ელექტროსადგურები (გარდა გარანტირებული სიმძლავრის წყაროდ განსაზღვრული თბოელექტროსადგურებისა)[5].

საქართველოს კანონი **„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ"** განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს. კანონი თანაბარ პირობებში აყენებს ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს, გარდა ერთი გამონაკლისისა, როდესაც ენერგეტიკის სადისპეტჩერო საქმიანობაში ინვესტირება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოსთვისაა დასაშვები[6].

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია: ენერგიის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია, ენერგეტიკული რესურსების (მ.შ. განახლებადი) ოპტიმალური ათვისება და რეზერვების შექმნა; ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოება; საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის განვითარება და ენერგიით ვაჭრობის მექანიზმის გაუმჯობესება; მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მომხმარებლის ინტერესების დაცვა[7].

საერთაშორისო პრაქტიკიდან სხვადასხვა ქვეყნების რეგულირების პრინციპებისა თუ გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, კომისიის მიერ 2014 წელს შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა **„ელექტროენერგიის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიები"[8].** მეთოდოლოგიის შესაბამისად, კონკრეტულ საწარმოს ინდივიდუალურად განესაზღვრება სატარიფო რეგულირების პერიოდი (3-დან 5 წლამდე). მეთოდოლოგიები, როგორც ინვესტორისათვის, ასევე მომხმარებლისათვის, ქმნის ტარიფში ასახული დანახარჯების სიზუსტეს და სამართლიანობის მაღალ განცდას.

საკანონმდებლო ცვლილებები და ზოგადად განვითარების ტრენდი ხელს უწყობს ენერგეტიკის სექტორის სტრუქტურისა და მარეგულირებელი ჩარჩოების ჰარმონიზაციას ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტის

1 საქართველოს კანონი „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ", 13.09.2002

2 საქართველოს კანონი „რეგულირების საფასურის შესახებ", 20.11.2013

3 საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ", 24.06.2005

4 საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ", 21.04.2017, მუხლი 24

5 საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ", 21.04.2017, მუხლი 493

6 საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ", 4.3.2015, მუხლი 9

7 საქართველოს პარლამენტის №3758 დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების" თაობაზე, 24.06.2015

8 სემეკის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილება „ელექტროენერგიის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების" შესახებ

მოთხოვნებთან, თუმცა ჯერ კიდევ არ შეიცავს იმ ძირითად დებულებებს, რაც აუცილებელია ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციისათვის და კონკურენციის განვითარებისთვის[1].

2014 წელს გაფორმებული „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების" ფარგლებში საქართველომ აიღო ვალდებულება, შეუსაბამოს ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის ნორმატიული აქტები ევროკავშირისა და ენერგეტიკული თანამეგობრობის რეგულაციებისა და დირექტივების მოთხოვნებს.

2016 წლის 14 ოქტომბერს ქ. სარაევოში, ხელი მოეწერა საქართველოს ენერგეტიკული თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან მიერთების ოქმს და საქართველოს პარლამენტის მიერ აღნიშნული მიერთების ოქმის რატიფიცირების (2017 წლის 21 აპრილი) შემდეგ, საქართველო გახდა ენერგეტიკული თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი და დაეკისრება ენერგეტიკული თანამეგობრობის საკანონმდებლო აქტების შესრულების ვალდებულება და მის კანონმდებლობასთან საკუთარი, ეროვნული კანონმდებლობის მიახლოება. გაერთიანების მიზანია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და მისი მეზობელი ქვეყნების ინტეგრირებული ევროპული სტაბილური რეგულირებადი ბაზრის შექმნა, რომელიც დაიცავს კომპანიებისა და მომხმარებელთა უფლებებს. ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანებით გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო, რაც ხელს შეუწყობს დარგში ინვესტიციების მოზიდვას და სექტორის მდგრად განვითარებას.

მარეგულირებელ ორგანოს მიენიჭა ენერგეტიკული ბაზრების რეგულირებისა და მონიტორინგის, სამართლიანი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ტარიფების დადგენის, მომხმარებელთა და კომპანიების უფლებების დაცვის, ენერგიის მიწოდების უსაფრთხოებისა და ხარისხის უზრუნველყოფისა და შესაბამისი წესების შემუშავების ვალდებულება[2].

დირექტივა წარმოადგენს ევროკავშირის სამართლებრივ დოკუმენტს. პირველი დირექტივის (ძალაში შევიდა 1997 წელს) მიზანი იყო ერთიანი ევროპული კონკურენტული ბაზრის შექმნა, სადაც ყველა მომხმარებელს საშუალება ექნებოდა თავად აერჩია მომწოდებელი და კონკურენციის შედეგად, უფრო დაბალ ფასად იქნებოდა შესაძლებელი ელექტროენერგიის მიწოდება.

მეორე დირექტივა მიღებულ იქნა 2003 წელს და ძალაში შევიდა 2004 წლიდან, სადაც უფრო მეტი მოთხოვნა იყო შემოღებული კონკურენციის ვადებთან დაკავშირებით (2007 წლისთვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მცხოვრებლებს საშუალება უნდა ჰქონოდათ თავად აერჩიათ მომწოდებელი).

დირექტივის მესამე პაკეტი (ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს დირექტივა 2009/72/EC) 2009 წლის 13 ივლისს მიიღეს და ძალაში შევიდა 2011 წლის მარტიდან. ის შეიცავს სისტემათაშორისი ვაჭრობის რეგულირებასთან დაკავშირებულ მითითებებს და მიზანია ერთიანი გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული ბაზრის შექმნა[3].

საქართველოში დღეს არსებულმა ბაზრის მოდელმა, რომელიც 2006 წელს იყო შემუშავებული, თავი ამოწურა. საცალო ბაზარი არასაკმარისად გახსნილია, რაც აფერხებს კონკურენციის დონის ამაღლებას. ამ პროცესს აფერხებს მიწოდების საქმიანობისა და განაწილების საქმიანობის გაუმიჯნაობა. შესაბამისად, ჩნდება საფრთხე, რომ განაწილების ლიცენზიატებმა არაკეთილსინდისიერად გამოიყენონ საცალო ბაზარზე თავისი მონოპოლიური მდგომარეობა.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დირექტივის ვალდებულებების შესასრულებად გასატარებელი ღონისძიებებია:

1) გადაცემის სისტემის ოპერატორის პროცედურის გამოყენება და გადაცემის არსებული ოპერატორების გაერთიანება ერთ ოპერატორად საქართველოს გადაცემის ელექტროენერგეტიკული ქსელისთვის;

2) საკუთრების დაყოფა, რაც უზრუნველყოფს გადაცემის სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობას მიწოდებისა და წარმოების საქმიანობისათვის;

3) გადაცემის სისტემის ოპერატორის სერტიფიცირების წესები და პროცედურების შემუშავება და დამტკიცება კომისიის მიერ;

4) გადაცემის სისტემის ოპერატორისა და განაწილების სისტემის ოპერატორის საქმიანობის სერტიფიცირების გეგმის შემუშავება, რომელსაც გადახედავს და დაამტკიცებს მარეგულირებელი კომისია.

სექტორის რეგულირებას გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები, კერძოდ: მომხმარებელთა ინტერესები უფრო მეტად არის დაცული; უკეთესი შესაძლებლობებია შექმნილი სექტორში პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრისთვის; სატარიფო განაცხადის სემეკში განხილვის დროს ლიცენზიატს საშუალება აქვს მიიღოს ხარჯების ფინანსური ასახვა ტარიფში; სტიმული ეძლევა დარგში კერძო ინვესტიციების განხორციელებას; დაწესებულია გამოკვეთილი და სამართლიანი თამაშის წესები სექტორში შემავალი ყველა სუბიექტისთვის; ერთმანეთისაგან გამიჯნულია სახელმწიფოს კომერციული და მარეგულირებელი ფუნქციები; ასევე გამჭვირვალეა საქმიანობა, რაც ნიშნავს ფართო საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას რეგულირების პროცესში.

ლანა სულაკაძე
თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

1 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის ანგარიში, გვ. 11

2 http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/ANNUAL%20REPORT%202016_opt.pdf

3 ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2009/72/EC დირექტივა „ელექტროენერგიის შიდა ბაზრისთვის საერთო წესების შესახებ", 13.07.2009

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკის შესახებ“, 1.05.1997;
2. საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, 1999-2017 წლები დინამიკაში;
3. საქართელოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, 4.03.2015;
4. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, 11.11.2015;
5. საქართელოს კანონი „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, 20.11.2013;
6. საქართველოს კანონი „რეგულირების საფასურის შესახებ“, 20.11.2013;
7. საქართველოს პარლამენტის №3758 დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე, 24.06.2015;
8. დირექტივა 2009/72/EC ელექტროენერგიის შიდა ბაზრის საერთო წესების შესახებ;
9. პირველი ი., სუმბაძე ნ., მუხიგიშვილი გ., ქელბაქიანი გ., გალდავა ი., ელექტროენერგეტიკული პოლიტიკის მოდელირება და ანალიზი, თბ., 2013;
10. ჩომახიძე დ., საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება, თბ., 2003;
11. ჩომახიძე დ., შესავალი ენერგომენეჯმენტში, თბ., 2011;
12. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილება ელექტროენერგიის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ;
13. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის წლიური ანგარიში;
14. www.gnerc.org

ELECTRICITY SECTOR REGULATION AND LEGAL REVIEW

Lana Sulakadze
PhD student of
PhD Program in Business Administration
of the Faculty of Economics and Business, TSU

ABSTRACT

Topicality. Generally regulation is a direct or indirect control of the private and public enterprises activities by the government in the specific sectors to consider the interests of the public or consumers. The regulation of power in the energy sector is essential because the provision of energy resources is the basis for creating a reliable market and sustainable energy infrastructure. Developing a comprehensive legislative base, ensuring reliability of supply and thus facilitating the establishment of a sustainable investment environment in the energy sector, attracting investments and developing the sector. Georgia will take over the Association Agreement commitments in various spheres, especially make significant changes in the energy sector and harmonize them with the European legislative base. The energy sector is one of the priorities of cooperation between the EU and Georgia.

Purpose of the study. The purpose of the research is to accommodate the basic principles of legislative norms in the energy sector and to justify the changes, as well as needs to change the electricity market model and formate the stages of transforming into competitive market.

Research methods. Based on the practical significance of the research problem we used systemic, historical and logical generalization methods of research in the performance of the work. Scientific abstraction, analysis and synthesis methods are also used.

Conclusion. From the survey findings and the results will contribute to transform current electricity market model into the competitive market model, which, in turn, will help to be fulfilled to the third energy package's requirements - reliability, safety and power quality of power transmission and distribution networks and improving the quality of the electricity.

Keywords. Energy Sector, Legal Base, Energy Regulation, Assosiated agreement, Europian Union.

საგადასახადო დავის განხილვის სამართლებრივი თავისებურებანი

საგადასახადო სისტემის სამართლებრივი რეგულირება მოიცავს ერთი მხრივ საგადასახადო სისტემის აგებულებას და მისი ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, მეორე მხრივ საგადასახადო კოდექსში შემავალი გადასახადების გადახდასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, მესამეს მხრივ გადასახადის გადამხდელისა და საგადასახადო ორგანოების შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს და მათ სამართლებრივ მდგომარეობას, მეოთხეს მხრივ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, ასევე გასაჩივრების წესსა და პირობებს.

გადასახადების სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება: პირველ რიგში საგადასახადო კოდექსის ნორმებით დაწესებული სამართლებრივი პროცედურებით, როგორიცაა საგადასახადო სამართალდარღვევის, პასუხისმგებლობის, საგადასახადო დავების განხილვის წესები და სხვა პროცესუალური სამართლებრივი ნორმები; **ასევე** საქართველოში საგადასახადო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით, ასევე სისხლის სამართლის კოდექსით და„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონით, რომელის საფუძველზეც წესრიგდება მეწარმის (ანუ გადასახადის გადამხდელის) საქმიანობის შემოწმების ყველა სამართლებრივი პროცედურა.

გარდა კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა, გადასახადების გადახდის რეგულირება გამოიხატულებას პოულობს ასევე საგადასახადო დავის განხილვის ფორმებსა და წესებშიც, რაც ურთიერთობების შედარებით ახალი ფორმაა საგადასახადო სამართალში.

საგადასახადო კოდექსით დარეგულირებულია საგადასახადო სამართალდარღვევის და პასუხისმგებლობისათვის განსაზღვრული სამართლებრივი პროცედურები, საგადასახადო დავების განხილვის წესების სახით. საგადასახადო კოდექსით დადგენილი სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში გამოყენება, საგადასახადო დავის განხილვისას გადამხდელებისათვის ურთულესი პროცედურაა და ზოგჯერ სამეწარმეო საქმიანობის ხელშემშლელ ფაქტორად ვლინდება.

საგადასახადო კოდექსით დადგენილი პროცედურები საგადასახადო დავის დაწყებისას ითვალისწინებს, 30 კალენდარულ დღეში გადამხდელის მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებას, ქონებასა და საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადებას. თუ გადამხდელს დავის დაწყებისას არ გააჩნია ქონება და ვერ წარადგენს საბანკო ან სადაზღვევო გარანტიას, მაშინ გადამხდელის საბანკო ანგარიშები დაყადაღდება, შესაბამისად ეზღუდება საფინანსო ოპერაციების განხორციელება, რითაც ზიანი ადგება არა მხოლოდ გადასახადის გადამხდელ მეწარმე სუბიექტს, ზიანი ადგება ასევე საწარმოში დასაქმებულ პერსონალს და სახელმწიფოსაც საბოლოო ჯამში, ვინაიდან ასეთი შეფერხება იწვევს საწარმოს საქმიანობის შეჩერებას, რაც თავისთავად იწვევს დასაქმებული პერსონალის საქმიანობის შეჩერებას, ხოლო გაჩერებული საწარმო რომელიც ვერ ქმნის პროდუქციას, შესაბამისად ვერ იღებს პროდუქციის რეალიზების შედეგად ფულად მოგებას და შესაბამისად ამ შემთხვევაში ვერც სახელმწიფოს ბიუჯეტი იღებს საწარმოდან შემოსავალს მოგების გადასახადის სახით.

საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, დროთა განმავლობაში შემცირდა საგადასახადო დავების რიცხვი, ვინაიდან აღნიშნულ საკანონმდებლო ინოვაციას წარმოადგენს საგადასახადო შეთანხმების ინსტიტუტი რომლის შესაბამისადაც გადამხდელსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის საგადასახადო შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, საგადასახადო დავა წყდება.

საგადასახადო დავა; საგადასახადო დავის დაწყების მატერიალური საფუძველია საგადასახადო ორგანოს ან გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი ვალდებულების დარღვევა[1].

საგადასახადო დავის დაწყების ფორმალური საფუძველია:

საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო აგენტისათვის ან სხვა ვალდებული პირისათვის წარდგენილი, „საგადასახადო მოთხოვნა"; საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო აგენტისათვის ან სხვა ვალდებული პირისათვის ამ კოდექსის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

1 საქართველოს საგადასახადო კოდექსი. კოდიფიცირებული/.2015 წელი

სამართლებრივი აქტის (გარდა იმ აქტებისა, რომლებიც ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება) წარდგენა.

საგადასახადო დავის გადაწყვეტის ფორმებია:

• დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით;

• დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ.

დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით შედგება 2 ეტაპისგან:

• დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში;

• დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში (შემდგომში – საბჭო).

თუ პირმა დავის გადაწყვეტის ფორმად აირჩია მისი გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით, მას უფლება აქვს, დავის გადაწყვეტის ნებისმიერ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში იმავე ვადაში, რომელშიც მას უფლება აქვს, გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, მიუხედავად იმისა, მითითებულია თუ არა ამის თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შეტანილ საჩივარში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის მიმდინარეობისას, აგრეთვე „საგადასახადო მოთხოვნისა“ და საგადასახადო ორგანოს, შემოსავლების სამსახურისა და დავების განმხილველი საბჭოს გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრებისათვის საჭირო ვადების განსაზღვრისას გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო კოდექსი და მის შესაბამისად გამოცემული სხვა სამართლებრივი აქტების დებულებები.

საგადასახადო ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება ნიშნავს მის საფუძველზე გამოცემული „საგადასახადო მოთხოვნის“ გასაჩივრებას და პირიქით.

საგადასახადო დავის დაწყება არ აჩერებს საგადასახადო ორგანოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას, გარდა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

პირის საჩივარი (მთლიანად ან ნაწილობრივ) არ განიხილება, თუ:

• არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

• სასამართლოს წარმოებაშია საქმე იმავე მხარეებს შორის დავაზე, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

• არსებობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურში იმავე პირის მიმართ იმავე საგანზე საჩივრის არგანხილვის თაობაზე ან საბჭოს გადაწყვეტილება საბჭოზე საჩივრის არგანხილვის შესახებ;

• მიმდინარეობს საგადასახადო დავა იმავე საგანზე იმავე პირის საჩივართან დაკავშირებით;

• საჩივარი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;

• საჩივარი შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა;

• არ არსებობს დავის დაწყების ფორმალური საფუძვლები;

• გასულია საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადა;

• საჩივრის ხარვეზი არ გამოსწორდა ამ კოდექსით დადგენილი წესით;

• გასაჩივრებულ „საგადასახადო მოთხოვნაში“ ასახულია აღიარებული გადასახადები და საგადასახადო ვალდებულებები. საჩივარი არ განიხილება ასეთი თანხების ნაწილში.

• მომჩივანს ან მის წარმომადგენელს სხდომის ჩატარების დრო და ადგილი ეცნობება არსებული ტექნიკური საშუალებებით (მათ შორის, ტელეფონით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით და სხვა). თუ ვერ ხერხდება მომჩივანთან ან მის წარმომადგენელთან დაკავშირება, დავა მათი მონაწილეობის გარეშე განიხილება.

• თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს კოდექსის მოთხოვნებს, აგრეთვე საჩივარს არ ერთვის გასაჩივრებული „საგადასახადო მოთხოვნა“, საგადასახადო ორგანოს შესაგებელი, წერილობითი შეტყობინება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან საგადასახადო/საბაჟო ორგანოს მიერ გამოცემული სხვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შემოწმების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გასაჩივრებული აქტების მომჩივნისთვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან საჩივარი ხელმოუწერელია, მომჩივანს წერილობით მიეთითება მათ შესახებ და ხარვეზების გამოსასწორებლად მიეცემა არანაკლებ 5 კალენდარული დღისა. ამ პერიოდში დავის განხილვა ჩერდება. თუ ხარვეზი აღმოჩნდა დავის განხილვის მიზნით ჩატარებულ სხდომაზე და შესაძლებელია მისი დაუყოვნებლივ გამოსწორება, დავის განმხილველი ორგანოს თანხმობით ხარვეზი შეიძლება გამოსწორდეს სხდომის მიმდინარეობისას.

• საჩივრის წარდგენისათვის ამ კოდექსით დადგენილი ვადა დაცულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მომჩივანმა ამ კოდექსით დადგენილ ვადაში საჩივარი წარადგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში.

• საგადასახადო დავის განახლება ან/და აღიარებული „საგადასახადო მოთხოვნის“ გადახედვა შეიძლება მხოლოდ ახლად აღმოჩენილი ან გამოვლენილი გარემოებებისა და ფაქტების წარმოდგენის შემთხვევაში, კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში. ამასთანავე, დავა განახლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გასაჩივრებული საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გამოცემისას გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ მისთვის სასარგებლო გარემოებების ან ფაქტების წარუდგენლობა მისი ბრალით არ მომხდარა.

საგადასახადო დავის დაწყების წესი:

თუ პირი უარს აცხადებს „საგადასახადო მოთხოვნის“ შესრულებაზე ან არ ეთანხმება კოდექსით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, იგი ვალდებულია „საგადასახადო მოთხოვნის“/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს ან საბჭოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი საგადასახადო ორგანოს მეშვეობით გაუგზავნოს წერილობითი საჩივარი, თუ დავის გადაწყვეტის ფორმად ირჩევს მის გადაწყვეტას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით, ან საგადასახადო ორგანოს გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება, თუ დავის გადაწყვეტის ფორმად ირჩევს მის გადაწყვეტას სასამართლოს მიერ.

საჩივრისა და მისთვის დართული მასალების ყველა გვერდი უნდა დაინომროს და საჩივრის ბოლოში, ხელის მოწერამდე სიტყვიერად უნდა მიეთითოს შევსებული ფურცლების საერთო რაოდენობა. მოდავე მხარე ვალდებულია ხელი მოაწეროს საჩივრისა და მისთვის დართული მასალების ყველა გვერდზე.

საგადასახადო დავის დაწყების თარიღად ითვლება: საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის შესაგებლის გაგზავნის თარიღი, ხოლო შესაგებლის გაუგზავნელობის შემთხვევაში – მისი გაგზავნის ვადის ბოლო დღე; პირის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისათვის საჩივრის ან შეტყობინების გაგზავნის თარიღი.

დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა მიიჩნევა პირის მიერ „საგადასახადო მოთხოვნის“ ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღიარებად, იგი აღსასრულებლად მიიქცევა და „საგადასახადო მოთხოვნასა“ და აღნიშნულ აქტზე ვადისა და დადგენილი მოთხოვნების დაუცველად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო.

საგადასახადო დავის დაწყების შემთხვევაში გადამხდელს ეზღუდება საკუთრების უფლება, გარკვეული ფულადი თუ ნებისმიერი ქონების დაყადაღების შემთხვევაში, ასევე ეზღუდება ფულადი და ქონებრივი საშუალებების საკუთარი ბიზნეს-ინტერესებისათვის გამოყენების შესაძლებლობა, რითაც მიუღებელ შემოსავლებთან და შესაბამისად მენეჯმენტის განუხორციელებლობასთან ერთად დადგება მისი ბიზნესის შესაძლო ლიკვიდაციის პროცესი, ვინაიდან საგადასახადო დავა შეიძლება, როგორც სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს 3 წლამდე გაგრძელდეს. აგრეთვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არგუმენტირებული მუხლით იზღუდება გადამხდელის კონსტიტუციური უფლებები.

ამდენად, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ საგადასახადო კოდექსში გადამხდელთა უფლებები საგადასახადო დავის შემთხვევაში შეზღუდულია, ხოლო საგადასახადო ორგანოს უფლებები კი გამკაცრებული ადმინისტრირებით „უკიდეგანოდ“ გაფართოებულია. თუ ქვეყანაში არსებულ პრაქტიკას გავითვალისწინებთ, ასეთ პირობებში გადამხდელი არც სასამართლოს მხრიდან იქნება დაცული.

საგადასახადო დავებთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა წარმოადგენს იმის ნათელ მაგალითს, რომ სასამართლოს მხრიდან, სახელმწიფოებრივი მიდგომის ანუ ბიუჯეტთან დაკავშირებული დავების გამო, გარკვეული ზეგავლენით, სასამართლოები ხშირად ტენდენციურ გადაწყვეტილებებს იღებენ[1]. საგადასახადო დავებთან დაკავშირებით ზოგიერთი ინსტანციის სასამართლო ყოვლად დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს იღებდა. აღნიშნული უკანონო გადაწყვეტილებით კი საშუალო ბიზნესში ადგილობრივი წარმოების სფერო მნიშვნელოვნად განადგურდა.

საგადასახადო დავებთან დაკავშირებით სასამართლოში დამკვიდრებული მავნე პრაქტიკის შესახებ, მეტყველებს სტატისიტიკაც, კერძოდ: რაც შეეხება საგადასახადო საქმეებს, ოფიციალური სტატისტიკა ასეთია: 2011 წლის ცხრა თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოში სულ შევიდა 2078 ამ კატეგორიის საჩივარი. საგადასახადო ორგანოების მიერ შევიდა 1884, ხოლო ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ 194. საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 1731 დავა, ფიზიკური და იურიდიული პირების გამარჯვებით კი 340. 3 საქმე დამთავრდა მორიგებით[2].

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის (ნინო გვენეტაძის) განცხადებით, შვეიცარიის ელჩის მიერ გამოთქმული პრეტენზიის საფუძველზე, საგადასახადო დავებსა და მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემებთან დაკავშირებული სამართალწარმოების საქმეების შესწავლა დაიწყო.

როგორც “ინტერპრესნიუსს” გვენეტაძემ განუცხადა, ის შვეიცარიელ დიპლომატ გიუნტერ ბეხლერთან, რომელსაც ერთხელ უკვე შეხვდა, მორიგი აუდიენციის პრობლემასაც ვერ ხედავს. “ამის პრობლემას ვერ ვხედავ, თუ ეს საჭიროება იქნება, ჩვენ სამართალწარმოების პრაქტიკის მოკვლევა, გაანალიზება, განზოგადება და სარეკომენდაციო წინადადებების შემუშავება დავისახეთ მიზნად. პროცესი მიმდინარეობს”.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებებით შემცირებულ უნდა იქნას თითოეულ სასამართლო ინსტანციაში საგადასახადო დავების განხილვის ვადა, ჩვენი აზრით, დღეს არსებული ვადები ერთი მხრივ, არახელსაყრელია გადასახადის გადამხდელთათვის და მეორე მხრივ, სირთულეებს უქმნის საქმის განხილვისას მართლმსაჯულებას.

საყურადღებოა საგადასახადო დავების პრობლემური საკითხები სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, კერძოდ საგასასახადო ორგანოების მიერ ქონებაზე

1 მ. კორძაძე „დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლის სისტემის სამართლებრივი ასპექტები”, ჟურნალი„სოციალური ეკონომიკა”, 2004, № XI-XII, გვ. 144. სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები) www.library.court.ge

2 სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები) www.library.court.ge

ყადაღის დადებისა და სასამართლოში მისი განხილვის პრობლემური საკითხები. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ქალბატონ მაია ვაჩაძის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ ყადაღის დადება, ზოგადად, არის საგადასახადო ორგანოს ფუნქცია და არა სასამართლოს ფუნქცია. ყადაღა არის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და იგი ისევე უნდა იყოს დასაბუთებული, როგორც ყველა სხვა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მიუთითებს, რომ მისი აზრით საგადასახადო კოდექსის 241.7 მუხლის დანაწესი ამოვარდნილია დადგენილი წესრიგიდან, რადგან ის სასამართლოს აკისრებს საგადასასახდო ორგანოს ფუნქციას. მიაჩნია, რომ საგადასახადო კოდექსის 241.7 მუხლი ზოგად წესრიგში უნდა იყოს მოქცეული. უნდა ხდებოდეს ყადაღის, როგორც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართვლებრივი აქტის ჩვეულებრივი წესით გასაჩივრება და განხილვა და არა სასამართლოს მიერ ყადაღის დადების დადასტურება. ყადაღის დადასტურების დროს სასამართლო მხოლოდ ყადაღის დადების ფორმალურ კანონიერებას ამოწმებს.

ამრიგად, ყოველივე აღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საგადასახადო კოდექსი, რომელიც ერთი შეხედვით ლიბერალიზაციისკენ არის მიმართული, ამასთან, ჩვენი აზრით, ზედმეტად გართულებულია საგადასახადო დავების განხილვის წესი.

საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის არსებობს პასუხისმგებლობის სახეები გადასახადის შემცირებისათვის, დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის, გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობის პერიოდში თანხების სხვა მიზნებზე მიმართვისათვის, დღგ-ს გადამხდელთა პასუხისმგებლობა გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის, საურავი ვადაგასულ საგადასახადო გადასახადებზე.

პასუხისმგებლობა გადახდის წყაროსთან გადასახადის დაუკავებლობისათვის, საბანკო დაწესებულებების საგადასახადო პასუხისმგებლობა, სალარო-აპარატის გამოყენების წესის დარღვევისათვის, საბუღალტრო საქმის წარმოების დარღვევისათვის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, ადმინისტრაციულ საპროცესო და სისხლის სამართლის კოდექსებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობები.

საგადასახადო კოდექსის გარდა, გადასახადების სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსებით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით დაწესებულია და რეგულირდება ისეთი სამართალდარღვევების მიმართ პასუხისმგებლობები, როგორიცაა: მუხლი 164-ე- სამეწარმეო საქმიანობის, გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე აყვანის წესების დარღვევა და სხვა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით და„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" კანონით მოწესრიგებულია მეწარმის ანუ გადამხდელის სამეწარმეო საქმიანობის შემოწმების ყველა სამართლებრივი პროცედურა, რაც პირდაპირაა დაკავშირებული საგადასახადო ურთიერთობებთან. ასევე მოწესრიგებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საგადასახადო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსით.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საგადასახადო სამართალდარღვევების ზრდამ სამეწარმეო და ეკონომიკურ სფეროში გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკისათვის უარყოფითი შედეგი, რომლის გასაჯანსაღებლად დროული იქნება ისეთი საკანონმდებლო დოკუმენტის მიღება, როგორიცაა **კანონი „საგადასახადო ამნისტიის შესახებ".**

ყოველივე აღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყანაში ეფექტური, სამართლებრივად გამართული საგადასახადო სამართლებრივი სისტემის შექმნა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ამასთან, საგადასახადო სამართლებრივი სისტემა სხვა არაფერია თუ არა: საკანონმდებლო ბაზის, ადმინისტრირების მექანიზმის, საგადასახადო დავების განხილვის ეფექტური სისტემის და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების ერთდროული და ეფექტური მოქმედება.

საგადასახადო დავის ადმინისტრაციული წესით გადაწყვეტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დავის გადაწყვეტის მთელი პროცედურა მიმდინარეობს მხოლოდ საგადასახადო ორგანოებში. დავების გადაწყვეტის აღნიშნული ფორმა ვერ უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელთა უფლებების სრულყოფილ დაცვას და სწორედ ამიტომ საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობა აუცილებლად მიიჩნევს დავების გადატანას აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებს გარეთ, კერძოდ კი – სასამართლო ორგანოებში. როგორც წესი, გადასახადის გადამხდელისა და საგადასახადო ორგანოს დავების განხილვა საგადასახადო ადმინისტრაციებში წარმოადგენს მხოლოდ დავის გადაწყვეტის პირველ სტადიას. მთელ რიგ ქვეყნებში, მაგალითად გფრ-ში, აუცილებელია დავის საგანი განხილული იქნეს, უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო ადმინისტრაციებში, რათა შემდგომში მიღებულ იქნეს საქმე სასამართლო განხილვაზე. აღნიშნული პროცედურა საკმაოდ ეფექტურია, ვინაიდან დავების ნაწილი წყდება საგადასახადო ადმინისტრაციებში გადამხდელთა სასარგებლოდ, ხოლო გადამხდელთა ნაწილი რწმუნდება სარჩელის (მოთხოვნის) უსაფუძვლობაში, რაც საბოლოო ჯამში განტვირთავს სასამართლო ორგანოებს დაუსაბუთებელი დავების განხილვისაგან.

დავების განხილვის მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო ადმინისტრაციები შექმნილია სპეციალური ქვედანაყოფები. მაგალითად, აშშ-ის შემოსავლების სამსახურის, საფრანგეთის მთავარი საგადასახადო სამმართველოს შემადგენლობაში მოქმედებენ შესაბამისი სამსახურები; დანიაში მოქმედებს სპეციალური საგადასახადო სასამართლო, რომელიც შედის საგადასახადო ორგანოების სისტემაში. აშშ-ის საგადასახადო

სამსახურის საჩივრების განხილვის სამმართველოს ძირითადი ფუნქციაა სასამართლო პროცესის

გარეშე გადაწყვიტოს საგადასახადო დავები სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების საფუძველზე.

საგადასახადო დავის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიჩნეულია დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ. საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში, მაგალითად აშშ-ში და გფრ-ში შექმნილია სპეციალური საგადასახადო სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ დაბეგვრის სფეროსთან დაკავშირებულ დავებს.

საქართველოში საგადასახადო დავები, მათი განსაკუთრებულობების მიუხედავად, არც ისე იშვიათია. სწორედ ამიტომ საგადასახადო დავების გადასაწყვეტად სპეციალური მოსამართლეების დანიშვნას გააჩნია დიდი მნიშვნელობა ამ საქმეების ობიექტური და კვალიფიციური განხილვის მიზნით.

ამასთან, საგადასახადო დავების განხილვის გამარტივებისა და საგადასახადო კანონმდებლობის ერთგვაროვანი გამოყენების მიზნით მიზანშეწონილია გამარტივდეს ადმინისტრაციული გასაჩივრების პროცედურა.

ალექსანდრე ჩხიტაური
სამართლის დოქტორი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწე

გამოყენებული ლიტერატურა:

სამართლებრივი აქტები:
1. საქართველოს კონსტიტუცია. თბ. , 2015.
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბ, 2015.
3. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი თბ. 2015
4. საქართველოს კანონი „მთავრობის სტრუქტურის, უფლება-მოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", თბ. , 2015.
5. საქართველოს კანონი „შემოსავლების სამსახურის შესახებ", თბ. , 2015.
6. საქართველოს კანონი„ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ" თბ. 2015
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულება. თბ. , 2015.
8. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ დებულება. თბ. , 2015.
9. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულება. თბ. , 2015.
10. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულება. თბ. , 2015.
11. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. თბ. , 2015.
12. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. თბ. , 2015
13. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბ. , 2015
14. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბ. , 2015
15. საქართველოს საპროცესო ადმინისტრაციული კოდექსი. თბ. , 2015.
16. კანონი მეწარმეთა შესახებ. თბ. , 2015.
17. საქართველოს კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ". თბ. 2015
18. საქართველოს კანონი„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ თბ. , 2015.
19. საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველოსბი შესახებ". თბ. , 2015.

სახელმძღვანელოები:
20. როგავა ზ. საგადასახადო სამართლის საფუძვლები. თბ. , 2000.
21. როგავა ზ. გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი. თბ. , 2003.
22. როგავა ზ. საგადასახადო კონტროლი და საგადასახადო პასუხისმგებლობა თბ. 2009.
23. ხმალაძე ვ. , შავიშვილი ი. , ხატიაშვილი დ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები. თბ. , 2007

მენეჯერების პიროვნული დროის მართვის ემპირიული გამოკვლევა საქართველოში

შესავალი

ნებისმიერი მკვლევარი, ცნობილიც და არაცნობილიც რესურსებში ძირითადად შრომით, ფულად, მატერიალურ-ტექნიკურ, ინტელექტუალურ და ინფორმაციულ რესურსებს მოიაზრებს. მხედველობის გარეშეა დარჩენილი დროის რესურსი. მისი კვლევა საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმაც კი, საკმაოდ გვიან დაიწყეს.

არადა, „დრო რესურსია, – წერს უცხოელი მეცნიერი ვ. ნისიპეი, – და რაც უფრო არაეფექტურად ვიყენებთ მას, მით უფრო ძვირი გვიჯდება. იგი შეიძლება იყოს როგორც მოკავშირე, ისე მოწინააღმდეგე“ [1, გვ. 104]. კი, ის ყველას ერთნაირი სიდიდით – წელიწადში 365 დღე და დღე-ღამეში 24 საათი – ეძლევა, მაგრამ საქმე რაოდენობაში კი არ არის, არამედ, საქმე მის გამოყენებაშია. ზოგი მას პრიორიტეტულ და მნიშვნელოვან საქმეების გასაკეთებლად გამოიყენებს, ზოგი კი გაფლანგავს... ეს შეიძლება გააკეთოს გლეხმაც, მუშამაც და ინტელიგენტმაც, რომელთა შორის მოიაზრება მენეჯერიც. მათ ეს შეიძლება დაემართოთ ან სიზარმაცით, ან დროის სწორი ორგანიზაციის არცოდნით. ჩვენ გადავწყვიტეთ საქართველოს კომპანიების მენეჯერების მაგალითზე, გამოგვეკვლია ეს საკითხი და მიგვეცა მათთვის „დროში ახლებურად ქცევის“ რეკომენდაციები. თქვენი შესაფასებელია თუ როგორ შევძელით ჩვენ ეს.

კვლევის კონტექსტი

პირადი დროის მართვის ემპირიული გამოკვლევა ჩავატარეთ საქართველოს 10 ორგანიზაციის მენეჯერთან. ესენია:

1. ოთარ მამულაშვილი, შპს „გეოფლოატ“-ის დირექტორი.
2. ნატო ხაინდრავა, ბანკი „ქართუს“ გენერალური მენეჯერის მოადგილე.
3. ზაირა ღუდუშაური, შპს „ბიზენს-სწავლება და კონსულტაციები“-ის დირექტორი.
4. ლევან გარდაფხაძე, „ბაზის ბანკის“ საცალო მიმართულების მენეჯერი.
5. ნიკო ბაკაშვილი, აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“ დირექტორი.
6. სოფო მაჭარაშვილი, კოლეჯ „ორიენტირის“ აღმასრულებელი დირექტორი.
7. არჩილ კონცელიძე, ვითიბი ბანკის გენერალური მენეჯერი.
8. მედეა მამამთავრიშვილი, კოსმეტიკური სალონი „ია“-ს გენერალური მენეჯერი.
9. სოფო ბალავაძე, საქართველოს ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.
10. ნანა ბალახაშვილი, შპს „ლურჯა ცხენების“ გენერალური დირექტორი.

რესპოდენტებს დაურიგდათ კითხვარი. რესპოდენტებიდან მიღებული პასუხები შევაჯამეთ, შევაჯერეთ, ვიანგარიშეთ საშუალო სიდიდეები და წარმოვადგინეთ ცხრილში № 1. ცხრილიდან ჩანს, რომ პასუხები ყველა კითხვაზე გაცემულია, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, სხვადასხვანაირად.

კითხვაზე – „ხშირად გაქვთ დროის დეფიციტი? – მხოლოდ გამოკითხულ რესპოდენტთა 20%-მა უპასუხა, რომ არასოდეს არა აქვს დროის დეფიციტი, 80%-მა კი უპასუხა, რომ ყოველთვის აქვთ დროის დეფიციტი. უნდა ვიფიქროთ, რომ მათ ვინც უპასუხეს, რომ არასოდეს არა აქვთ დროის დეფიციტი, იციან მისი ფასი და ამას ისინი აღწევენ იმით, რომ გეგმავენ სამუშაო დღეს. ესენი არიან პირველი და მეხუთე ნომრის რესპოდენტები.

მეორე კითხვაზე – **„სასწრაფოდ შესასრულებელი საქმეების რა რაოდენობა გაქვთ?“** – ყველამ ერთნაირი პასუხი გასცა – დღეში ერთი-ორი. ანუ 100%-ით ერთნაირი პასუხი მივიღეთ. ძნელია ამ პასუხებს დავეთანხმოთ, მაგრამ კვლევამ ეს შედეგი მოგვცა.

მესამე კითხვაზე – **„გეგმავთ თუ არა სამუშაო დღეს?“** – რესპოდენტთა 80%-მა გვიპასუხა, რომ არ გეგმავს, 20%-გან კი დადებითი პასუხები მივიღეთ. მაშასადამე 20% – გეგმავს სამუშაო დღეს და საქმეს ამ გეგმის მიხედვითაც აკეთებს. სწორედ ამიტომ ჩვენი აზრით, მათ არა აქვთ დროის დეფიციტი. ესენი არიან პირველი და მეხუთე ნომრის რესპოდენტები.

მეოთხე კითხვაზე – **„აანალიზებთ თუ არა დღის გეგმას?“** 20%-მა გვიპასუხა, რომ არ აანალიზებენ, 80%-მა კი დადებითი პასუხი გაგვცა. ამ პასუხებით ირკვევა, რომ რესპოდენტები პასუხების გაცემისას მაინცდამაინც დიდ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ. დღეს მხოლოდ 20% გეგმავს, როგორ ხდება, რომ მის შესრულებას 80% აანალიზებს? ასე რომ, მეოთხე კითხვის პასუხები წინააღმდეგობაშია მესამე კითხვის პასუხებთან.

ცხრილი 1

საქართველოს კომპანიების მენეჯერების მიერ პიროვნული დროის გამოყენების კრებსითი ცხრილი

		რესპოდენტთა პასუხები										საშუალო პროცენტი (%)
		რესპოდენტი №№										
		№1	№2	№3	№4	№5	№6	№7	№8	№9	№10	
1	ხშირად გაქვთ დროის დეფიციტი?											
	ა) არასოდეს	+				+						20
	ბ) იშვიათად											-
	გ) ძალიან იშვიათად											-
	დ) ხანდახან											-
	ე) ხშირად		+	+	+		+	+	+	+	+	80
	დ) ყოველთვის											
2	სასწრაფოდ შესასრულებელი საქმეების რა რაოდენობა გაქვთ?											
	ა) დღეში ერთი-ორი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	100
	ბ) კვირაში ერთი											-
	გ) კვირაში რამდენიმე											-
	დ) თვეში რამდენიმე											-
3	გეგმავთ თუ არა სამუშაო დღეს?											
	ა) არასოდეს		+	+	+		+	+	+	+	+	80
	ბ) ძალზე იშვიათად											
	გ) იშვიათად											
	დ) ყოველთვის	+				+						20
	ე) ხშირად											
4	აანალიზებთ თუ არა დღის გეგმის შესრულებას?											
	ა) კი	+	+	+	+	+		+	+		+	80
	ბ) არა						+			+		20
5	ხომ არ იცვლება თქვენი დღის გეგმები დღის განმავლობაში?											
	ა) არასოდეს		+	+	+	+		+	+			60
	ბ) ძალიან იშვიათად											
	გ) იშვიათად	+									+	20
	დ) ხშირად						+			+		20
	ე) ყოველთვის											-
6	რა იწვევს თქვენი დღის გეგმის შეცვლას?											
	ა) თქვენი მიზეზით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	ბ) ადმინისტრაციის მიზეზით	-	-	-	+	+	-	-	+	+	-	40
	გ) თქვენი პასუხი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
7	საქმეს სპონტანურად იწყებთ, თუ წინასწარ მოფიქრებულად?											
	ა) სპონტანურად						+			+	+	30
	ბ) წინასწარ მოფიქრებულად	+	+	+	+	+		+	+			70
8	თუ თავს შეუძლოთ გრძნობთ, ან არ ხართ ხასიათზე დატოვებთ დღის გეგმას შეუსრულებლად თუ მაინც შეასრულებთ მას?											
	ა) დავტოვებ სამუშაოს					+		+		+	+	40
	ბ) შევასრულებ დღის გეგმას	+	+	+	+		+		+			60

9	დღის რომელ მონაკვეთში ხართ უფრო პროდუქტიული - დილით თუ საღამოს, იქნებ ღამით? მიუთითეთ საათები											
	ა) დილით	+	+	+	+		+			+	+	70
	ბ) საღამოს					+		+	+			30
	გ) ღამით											
10	სამუშაო დღის განმავლობაში როგორ ისვენებთ?											
	ა) ყოველ 0,5 საათში - 3-5 წუთი			+			+					20
	ბ) ყოველ საათში - 10 წუთი	+	+		+	+						40
	გ) ყოველ 2-3 საათში - 20-30 წუთი							+	+		+	30
	დ) ვისვენებ ერთხელ დღეში 0,5 საათიდან 1,0 საათამდე									+		10
	ე) პასუხის თქვენი ვარიანტი											
11	თქვენთვის ააქვს მნიშვნელობა როგორ შეაფასებენ თქვენს მუშაობას?											
	ა) კი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	100
	ბ) არა											
12	ხშირად ასრულებთ სხვის სამუშაოს?											
	ა) ხანდახან				+							10
	ბ) არასოდეს								+			10
	გ) იშვიათად											
	დ) ხშირად	+	+	+		+	+	+		+	+	80
	ე) ყოველთვის											
13	დღის გეგმის შედგენისას ითვალისწინებთ თუ არა თქვენი პროდუქტიულობის რიტმს?											
	ა) კი		+						+			20
	ბ) არა	+		+	+	+	+	+		+	+	80
14	როგორი გრაფიკით მუაობთ?											
	ა) 9^{00} საათიდან 18^{00} საათამდე	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	100
	ბ) 10^{00} საათიდან 19^{00} საათამდე											
	გ) თავისუფალი გრაფიკით											
15	თქვენ კმაყოფილი ხართ თქვენი შრომის ორგანიზაციით და რას ისურვებდით მისი სრულყოფისთვის?											
	ა) კი	+	+	+								30
	ბ) არა											
	გ) ნაწილობრივ											
	დ) ვისურვებდი ვიცოდე როგორ ვსრულყო იგი				+	+	+	+	+	+	+	70

მეხუთე კითხვაზე – **„ხომ არ იცვლება თქვენი დღის გეგმები დღის განმავლობაში?“** – რესპოდენტთა 20%-მა გვიპასუხა, რომ იშვიათად იცვლება, მეორე 20%-მა, რომ ხშირად იცვლება და 60%-მა, რომ არასოდეს არ იცვლება. აქაც შეუსაბამობაა. თუ გამოკითხულ რესპოდენტთა მხოლოდ 20% გეგმავს სამუშაო დღეს, როგორ ეცვლება იგი 60%-ს? როგორც ჩანს, ეს კატეგორია (ესენია №№ 2, 3, 4, 5, 7, 8) მენეჯერები გეგმათ მოიაზრებს იმ ნაფიქრალსაც, თუ რა უნდა გააკეთოს დღეს. კი, ესეც გეგმაა, მაგრამ გეგმად გადაქცევისათვის მას ოფიციალური სახე უნდა მიეცეს ქაღალდზე ან კომპიუტერში უნდა დაფიქსირდეს.

მეექვსე კითხვაზე – **„რა იწვევს თქვენი დღის გეგმის შეცვლას?“** მხოლოდ 40%-მა გაგვცა პასუხი, რომ ეს ხდება ადმინისტრაციული მიზეზით, დანარჩენმა 60%-მა კითხვის პასუხისგან თავი შეიკავა. სწორედ ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენს მიერ შერჩეულ მენეჯერთა უმრავლესობას დროის სამუშაო რესურსი პრიორიტეტულ საქმეების მიხედვით არა აქვთ განაწილებული, ამიტომ დღის განაწესის შეცვლა არაფრად მიაჩნიათ.

მეშვიდე კითხვაზე – **„საქმეს სპონტანურად იწყებთ თუ მოფიქრებულად?“** – 70%-მა გვიპასუხა რომ საქმეს იწყებენ წინასწარ მოფიქრებულად, 30% კი

საქმეს იწყებს სპონტანურად (ესენი არიან № 6, 9, 10 რესპოდენტები). გამოდის, რომ მათ არა თუ დღე არა აქვთ დაგეგმილი, არც საქმეები აქვთ განაწილებული პრიორიტეტების მიხედვით. ამიტომ შემთხვევითი სიტუაციის მოთხოვნების მიხედვით მუშაობენ. ასე მომუშავე ორგანიზაციაში მუდმივად იქნება ქაოსი და მოუწესრიგებლობა. მენეჯერი, რომელმაც არ იცის, ხვალ პირველ რიგში რა საქმე უნდა გაკეთდეს, ის აუცილებლად გაიბნევა მეორეხარისხოვან, წვრილმან საქმეებში.

მერვე კითხვაზე – **„თუ თავს შეუძლოთ გრძნობთ, ან არ ხართ ხასიათზე, დატოვებთ დღის გეგმას შეუსრულებლად, თუ მაინც შეასრულებთ მას?“** – რესპოდენტთა 40%-მა გვიპასუხა, რომ გადაიტანს მას მეორე დღისთვის, 60% კი მაინც შეასრულებს მას. ქართველების ფსიქოლოგიური ტიპაჟიდან გამომდინარე, გვქონდა მოლოდინი, რომ გამოკითხული რესპოდენტები შეუძლოდ და უხასიათოდ ყოფნის შემთხვევაში ყველა (ე.ი. 100%) გადაიტანდა საქმეს მეორე დღისთვის. 20 წლის წინ, რომ ეს გამოკითხვა ჩაგვეტარებინა, პასუხები ალბათ სწორედ ასეთი იქნებოდა, მაგრამ საბაზრო ურთიერთობით მომუშავე ამ ოცმა წელმა მენეჯერებს საქმისადმი პასუხისმგებლობა ასწავლა. ამ საქმეში დიდმა კონკურენციამაც თავისი სიტყვა თქვა. კონკურენციამ არ იცის მიზეზი – ვერ გააკეთე, თუ არ გააკეთე. რადგან საქმე არ გაკეთდა, სხვა გამოჩნდება, რომელიც ყველა სიტუაციაში საქმეს გააკეთებს.

მეცხრე კითხვაზე – **„დღის რომელ მონაკვეთში ხართ უფრო პროდუქტიული?"** რესპოდენტთა 70%-მა თავი „დილის ადამიანად“, ანუ „ტოროლად“ აღიარა. ესენი არიან პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეექვსე, მეცხრე და მეათე რესპოდენტები. სამი რესპოდენტი (მეხუთე, მეშვიდე, მერვე) კი არის „საღამოს ადამიანი“, ანუ „ბუ“. თუ ამ დაკვირვების ამ შედეგს განვაზოგადებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს მოსახლეობის 70% არის „ტოროლა“, 30% კი – „ბუ“.

მეათე კითხვაზე – **„როგორ ისვენებთ სამუშაო დღის განმავლობაში?“** – რესპოდენტთა 40% გვიპასუხეს, რომ ყოველ საათში ისვენებს 10 წუთს, 20%-მა გვიპასუხა რომ 0,5 საათში 5 წუთს, 30%-მა გვიპასუხა, რომ 3 საათში ისვენებს 30 წუთს, 10%-მა კი გვიპასუხა, რომ ისვენებს დღეში ერთხელ 1 საათით. საქმე ის არის, ჩვენ არ ვიცით ამ ორგანიზაციებს სადილობის, შესვენების საათი აქვთ, თუ არა აქვთ. თუ არა აქვთ, მაშინ გასაგებია, ვისაც როგორ უნდა ისე ისვენებს. მაგრამ ეს დასვენება 8 საათიან სამუშაო დღეში არ უნდა აღემატებოდეს 1 საათს. ეს ნორმატივია. აქ კი გამოდის, რომ 40% ყოველ საათში, რომ 10 წუთს ისვენებს, მათ დასვენება გამოუდით არა ერთი საათი, არამედ, 8 • 10 = 80 წუთი, ანუ 1,2 საათი. ასეა სხვებიც.

მეთერთმეტე კითხვაზე – **„თქვენთვის აქვს მნიშვნელობა, როგორ შეაფასებენ თქვენს მუშაობას?“** – რესპოდენტთა მთელმა რაოდენობამ დადებითი პასუხი გასცა.

მეთორმეტე კითხვაზე – **„ხშირად ასრულებთ სხვის სამუშაოს?“** – 80%-მა პასუხი გასცა რომ ხშირად ასრულებს, 10%-მა რომ არასოდეს არ ასრულებს, მეორე 10%-მა კი – ხანდახან ასრულებს. 10%-ში რომელიც ხანდახან ასრულებს სხვის დავალებებს მოხვდა მეოთხე ნომერი. იგი ბაზის ბანკის საცალო მიმართულების მენეჯერია. როგორც ჩანს, ბაზის ბანკის გენერალური მენეჯერი ავალებს მას სხვისი სამუშაოს შესრულებასაც და იმის გამო, რომ სამსახური არ დაკარგოს, იგი ასრულებს იმ სამუშაოსაც. გამოდის, რომ ბაზის ბანკში საერთოდ არ სრულდება გაპიროვნებული სამუშაოები, რაშიც გენერალური მენეჯერია, პირველ რიგში, დამნაშავე.

გამოკითხულთა 80% ხშირად ასრულებს სხვის სამუშაოს და ერთადერთმა რესპოდენტმა (№ 8) გვიპასუხა, რომ არც იგი არ ასრულებს სხვის სამუშაოს და არც თავის საქმეს აკეთებინებს სხვას. თუ მენეჯერს ყავს ისეთი თანამშრომელი, რომ იგი არანაკლები ხარისხით შეასრულებს მენეჯერის საქმეს, მაშინ ამ საქმის გადადელეგირება მასზე გამოანთავისუფლებს მენეჯერს მისგან და მას მეტი დრო დარჩება სხვა საქმეების შესასრულებლად. ასე რომ, ვურჩევთ № 8 რესპოდენტს, ნუ შეიკავებს თავს თავისი საქმის სხვაზე გადადელეგირებისგან, თვითონ კი, რაღა თქმა უნდა, უნდა აკეთოს მხოლოდ თავისი საქმე.

მეცამეტე კითხვაზე – **„დღის გეგმის შედგენისას ითვალისწინებთ თუ არა თქვენს პროდუქტიულობას?“** – რესპოდენტთა მხოლოდ 20% გვიპასუხა, რომ ითვალისწინებს (№№ 2, 8), ხოლო 80%-მა, რომ არ ითვალისწინებს. მათ პირად საუბარშიც გვითხრეს, რომ ორგანიზაციაში რამოდენიმე ათეული კაცი მუშაობს და როგორ შეიძლება მან თავისი სამუშაო საკუთარი პროდუქტიულობის საათებით ააგოს. ის მენეჯერია და კოლექტივს ხელმძღვანელობს. მართლაც, რომ ვცხოვრობდეთ ისეთ ქვეყანაში, რომ მენეჯერის სამსახური ასარჩევი იყოს, მაშინ მენეჯერი ამას მართლაც შეძლებდა. მაგალითად, მენეჯერი, რომელიც თავისი რიტმით „საღამოს ადამიანია“ იგი იქ დასაქმდებოდა, სადაც მეორე და მესამე ცვლებით (და არა პირველი ცვლით) მუშაობენ, დილის ადამიანი – მენეჯერი კი – დილით. მაგრამ საქართველოში ისეთი დიდი უმუშევრობაა, რომ ადამიანებს ასარჩევად არა აქვთ საქმე.

მეთოთხმეტე კითხვაზე – **„როგორი გრაფიკით მუშაობთ?“** – ათივე რესპოდენტმა გვიპასუხა, რომ ისინი მუშაობენ 9 საათიდან 18 საათამდე. მაშასადამე, საქართველოს საწარმოების მენეჯერებს არა აქვთ მუშაობის თავისუფალი გრაფიკი. ეს სიახლე საზღვარგარეთ დიდი ხანია დანერგილია, საქართველოში კი მას ჯერ არ ცნობენ.

მეთხუთმეტე კითხვაზე – **„კმაყოფილი ხართ თუ არა დროში თქვენი შრომის ორგანიზაციით?“** – 70%-მა გამოაცხადა, რომ სურვილი აქვთ იცოდნენ თუ როგორ სრულყონ იგი.

მაშასადამე, საქართველოს 10 კომპანიის სხვადასხვა დონის (ზედა, საშუალო, ქვედა) მენეჯერების გამოკითხვით ნათელი გახდა, რომ **რადგან ისინი დღის გეგმას არ ადგენენ, არც საქმეები აქვთ პრიორიტეტებად დალაგებული, ამიტომ მათ 80%-ს მუდმივად დროის დეფიციტი აქვთ.**

მიუხედავად მუშაობის ამ ჩვეული რიტმისა, ისინი მზად არიან იმისთვის, რომ ისწავლონ, თუ როგორ იმუშავონ უკეთესად ერთი და იმავე დროში.

რადგან ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევაც ამ მიზანს ემსახურებოდა, მათ დროის ოპტიმალური გამოყენების მიზნით ჩვენ ვაძლევთ შემდეგ რჩევებს:

დასკვნები და რეკომენდაციები:

საქართველოს 10 კომპანიის მენეჯერებში მათ მიერ პირადი დროის მართვის საკითხებზე ჩატარებულმა ემპირიულმა გამოკვლევამ დაგვანახა ამ სფეროში დიდი ჩამორჩენა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სხვადასხვა ლიტერატურის დახმარებით ჩვენ მენეჯერებს შევურჩევთ დღის დაგეგმვას.

მენეჯერად თქვენი მუშაობის პერიოდში, ყოველდღე თქვენ გიწევთ არა მხოლოდ იმ საქმის კეთება, იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომელთა მეშვეობით მიაღწევთ თქვენს სტრატეგიულ მიზანს, არამედ მრავალი წვრილმანი, რუტინული სამუშაოს კეთებაც. არ იფიქროთ, რომ, როცა თქვენ მენეჯერები იქნებით მხოლოდ გრძელვადიანი პროექტების შესრულების ხელმძღვანელობაზე დასაქმდებით და გექნებათ მხოლოდ შემოქმედებითი სამუშაო. სრულიადაც არა. თქვენი დროის უმეტეს ნაწილს დაიკავებს მძიმე, წვრილმანი, მოსაწყენი საქმე. თუ თქვენ, თქვენი პირადი დროის გამოყენების ყოველდღიური გეგმა გექნებათ, მხოლოდ მაშინ შესძლებთ ამ თქვენთვის არასასიამოვნო მძიმე საქმეების დელეგირებას სხვა თანამშრომლებზე. სწორედ ამისთვის საჭიროა დღიური გეგმის შედგენა, რომელშიც მთელი თქვენი დღიური საქმეები სტრუქტურირებული იქნება.

იმისათვის, რომ თქვენი პირადი დროის დღიური გეგმა ეფექტიანი იყოს, აუცილებლად მისი შედგენისას უნდა დაიცვათ 5 წესი:

1. დაგეგმვას უნდა ჰქონდეს წერილობითი ფორმა. მაშასადამე, გეგმას უნდა ჰქონდეს მატერიალური ფორმა და ინახებოდეს ერთსა და იმავე ადგილზე. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა ქაღალდზე გექნებათ იგი დაწერილი (ბლოკნოტში), MS Outlook-ზე თუ MS Excel-ში. ეს საჭიროა იმისთვის, რომ ადამიანის ტვინი, როგორი ჭკვიანიც არ უნდა იყოს იგი, დიდი მოცულობის ინფორმაციას დროთა განმავლობაში ივიწყებს. ამისთვის ეს ინფორმაცია ჩაწერილი უნდა იყოს.

2. დაგეგმვა უნდა იყოს რეგულარული. ყოველი დღის გეგმის შედგენის ჩვევა თქვენ დაგეხმარებათ გამოიმუშაოთ ეფექტური აზროვნება და ყურადღება თქვენი ცხოვრებისა და საქმიანობისადმი. დღიური გეგმა განტვირთავს თქვენს გონებას, მისცემს მას უფრო შემოქმედებით იდეებზე მუშაობის შესაძლებლობას.

3. გეგმაში უნდა გამოიკვეთოს პრიორიტეტები. მაშასადამე, როდესაც დღიურ გეგმას ადგენთ, აუცილებლად გამოკვეთეთ მასში საკვანძო საქმეები, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანები. ასეთი მიდგომით თქვენი გეგმა უფრო მკაფიოდ იქნება სტრუქტურირებული.

4. გეგმა უნდა იყოს რეალური, შესრულებადი. გეგმა არ უნდა იყოს ფან-ტაზიით შედგენილი, ილუზიებზე დაყრდნობილი. გეგმას რეალურობას აძლევს სწორი გაანგარიშება.

5. დაგეგმვა უნდა იყოს მოქნილი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მოულოდნელი სიტუაციები შეიქმნება, შესაძლებელი იქნეს მისი გადახედვა და გეგმაში კორექტივების შეტანა. არის კიდევ ერთი წესი: თქვენმა დღიურმა გეგმამ რომ ეფექტიანად იმუშაოს, დღის საქმეების ჩამონათვალი გონივრულად უნდა იყოს შედგენილი და შედეგზე ორიენტირებული.

გაჩვენებთ თუ როგორ უნდა გააკეთოთ ეს:

ნაბიჯი პირველი: შეადგინეთ თქვენი ყოველდღიური საქმეების (გადასაწყ-ვეტი ამოცანების) ცხრილი.

ნაბიჯი მეორე: შეავსეთ ეს ცხრილი თქვენი ხვალინდელი საქმეებით:

ნაბიჯი მესამე: ცხრილში ჩამოთვლილი საქმეები დააჯგუფეთ:

- პრიორიტეტულ ანუ დაგეგმილ დღეს აუცილებლად გასაკეთებელ საქმეებად;
- ჩვეულებრივ, მიმდინარე საქმეებად, რომლებიც შეიძლება მეორე თუ მესამე დღესაც გაკეთდეს.

ნაბიჯი მეოთხე: როცა თქვენ მიერ დაგეგმილი დღე დაგეწყებათ, ხშირად ჩაიხედეთ გეგმაში, შესრულებული საქმეები აღნიშნეთ პლუსებით („+“), ხოლო, რომლებიც დღის განმავლობაში ვერ შეასრულეთ და გადაიტანეთ მეორე დღისთ-ის, მინუსით („–“).

თქვენს კითხვაზე თუ რამდენი პრიორიტეტული საქმე უნდა იყოს დღის გეგმაში, გიპასუხებთ, რომ თუ მასში 15—20 საქმეა ჩამოთვლილი, მაშინ 3—4, თუ 10 – საქმე, მაშინ 2—3. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმ სტრატეგიულ მიზანზე, რომელიც თქვენ გაქვთ დასახული და რომლისადმი თქვენი ყოველი დღის საქმიანობაა მიძღვნილი.

თქვენი დღიური გეგმა არ არის ერთხელ და სამუდამოდ დამტკიცებული გრაფიკი. სიტუაციების შეცვლის შედეგად მასში შეგიძლიათ ოპერატიულად შეიტანოთ ცვლილებები. გახსოვდეთ ისიც, რომ ადამიანის ტვინს, მეხსიერების თვალსაზრისით, აქვს შესაძლებლობების ზღვარი. მენეჯერს ყოველღიურად 60—70 საკითხი აქვს გადასაწყვეტი, ანუ ისეთი, რომლის გადაწყვეტა არ უნდა დაგავიწყდეთ. ამდენ მოზღვავებულ საკითხს ადამიანის ტვინი ვერ იმახსოვრებს, იღლება და ამის გამო ინფორმაციის ნაწილი იკარგება (მეხსიერებიდან იშლება). ტვინის ასეთი გადატვირთვა იწვევს ადამიანის სტრესს, ფსიქოემოციონალურ „გადაწვას“. ეს ხდება მაშინ, როცა ადამიანი ცდილობს დაიმახსოვროს ყველა საჭირო ინფორმაცია, მის ტვინს კი ამის ძალა აღარ აქვს. მეტიც, ასეთ დროს ადამიანს აღარ შეუძლია ამდენი საკითხებიდან პრიორიტეტული საკითხების გამოყოფა და მათზე გონების კონცენტრირება.

ოპტიმალური მეთოდი, რომელიც ადამიანს ეხმარება მოაწესრიგოს უზარ-მაზარი რაოდენობის საკითხები და მათთან დაკავშირებული ინფორმაცია, აგრეთვე მათი გადანაცვლება არის ყურადღების სტრუქტურირების მეთოდი. იგი შეიმუშავა და შემოგვთავაზა რუსმა მეცნიერმა ა. არხანგელსკიმ [2, გვ. 111]. მისი ძირითადი ფუნქცია არის ის, რომ ადამიანმა საჭირო საკითხი საჭირო დროს გაიხსენოს.

ამ მეთოდის შემუშავებისას ა. არხანგელსკიმ და მისმა კოლეგებმა გაითვალისწინეს ადამიანის ყურ-

ცხრილი 2 დროის აქტიური შთანთქმა

№	დროის 5 მშთანთქმელის დასახელება	დაახლოებით რა დროს გა-კარგვინებთ იგი დღეში	როგორ, რა გზით შეიძლება ამ დანაკარგის აღმოფხვრა
1			
2			
3			
4			

ადღების სტრუქტურა. იგი სამი ძირითადი მდგენელ-ისგან შედგება. ესენია:

1. ცნობიერი;
2. წინაცნობიერი;
3. ქვეცნობიერი.

ადამინის ცნობიერს მხოლოდ ერთ საკითხზე (ერთ ობიექტზე) შეუძლია მუშაობა.

ქვეცნობიერს შეუძლია აკონტროლოს 7 +⌖2 ობიექ-ტი. მაშასადამე, ცნობიერი მუშაობს ერთ პრობლემაზე, წინაცნობიერი კი იმავე დროს, მის პარალელურად აკონტროლებს და ზედამხევდელობას უწევს 7-დან 9-მდე ობიექტს. წინაცნობიერიდან ობიექტები ძალიან ადვილად გადაადგილდებიან ცნობიერში და პირიქით.

მაშასადამე, პირადი დროის დაგეგმვისას თქვენი როგორც მენეჯერის ქცევა, ნორმალური მაშინ იქნება, თუ იმუშავებთ ერთ პრობლემაზე, მხედველობიდან არ დაკარგავთ 7—9 პრობლემას, ხოლო ყველა დანარჩე-ნებს დაივიწყებთ (ისინი ქვეცნობიერში გეყოლებათ). ეს რომ შეძლოთ, აუცილებლად საჭიროა შეიმუშავოთ სისტემა, ანუ მოახდინოთ ყურადღების (მეხსიერების) სტრუქტურირება ისეთივე სამ ნაწილად, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ.

ბოლოს, დღის დაგეგმვის მიმართულებით მენე-ჯერებისთვის გვაქვს ასეთი რეკომენდაცია – ჩაუ-ტარეთ თქვენი დღის დროს ასეთი ანალიზი:

გადახედეთ ქვემოთ ჩამოთვლილ დროის 30 მშთანთქმელს [3, გვ. 18] და მოხაზეთ იქიდან ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი (თქვენი თვალთახედვით):

1. მიზნის არაზუსტად განსაზღვრა.
2. საქმეში პრიორიტეტების არქონა.
3. ერთჯერზე ბევრი საქმის გაკეთების მცდელობა.
4. მომავლის ამოცანებსა და მათი გადაჭრის გზე-ბზე სრული წარმოდგენის უქონლობა.
5. სამუშაო დრის ცუდი დაგეგმვა.
6. პირადი მოუწესრიგებლობა, არეულ-დარეული საწერი მაგიდა.
7. კითხვით მეტისმეტი გატაცება.
8. უსისტემო გზავნილები.
9. მოტივაციის ნაკლებობა.
10. ჩანაწერების, მისამართების, ტელეფონის ნომრების ძებნა.
11. შრომის კოოპერაციასა და განაწილებაში შეცდომები.
12. ტელეფონის ზარების გამო საქმიდან მოწყვე-ტა.
13. დაუგეგმავი მნახველები.
14. უარის თქმის არცოდნა.
15. არასრული, დაგვიანებული ინფორმაცია.
16. თვითდისციპლინის არქონა.
17. საქმის ბოლომდე მიყვანის არცოდნა.
18. ხმაურის გამო მოცდენა.
19. გაჭიანურებული თათბირები.
20. საუბრებისთვის და განხილვებისთვის არა-საკმარისი მომზადება.
21. კავშირების (კომუნიკაცია) და უკუკავშირების არქონა.
22. კერძო თემებზე ყბედობა.
23. ზედმეტი კომუნიკაბელობა.
24. საქმიან ჩანაწერთა სიუხვე.
25. საქმის გადადების სინდრომი (ანუ „მეხვალიე“ კაცობა).
26. ყველა ფაქტის ცოდნის წყურვილი
27. ლოდინი (თუნდაც საქმისთვის).
28. სიჩქარე, მოუთმენლობა.
29. საქმეების იშვიათად გადანაწილება (დელე-გირება) თანამშრომლებზე.
30. დელეგირებული საქმეების არასაკმარისი კონტროლი.

ამ ჩამონათვალიდან თქვენს მიერ მოხაზული დროის 5 მშთანთქმელი გადაიტანეთ ქვემოთ მოტანილ მე-2 ცხრილში და თქვენ თავსაც და სხვებსაც შესთავაზეთ მათი აღმოფხვრის (შემცირების, სრულყოფის თუ გამო-სწორების) რეკომენდაციები.

არ იფიქროთ, რომ ამ ცხრილის შედგენით თქვენ უკვე საქმეს მორჩით. სრულიადაც არა. თუ თქვენ მუშ-აობთ და დროის ეს 5 მშთანთქმელი თქვენ პრაქტიკაშია დამკვიდრებული, თქვენ ისინი უნდა აღმოფხვრათ. ამ ამოცანამ თქვენ მხოლოდ იმპულსი მოგცათ, ანუ თეორიულად გამოგიკვეთათ მათი მოხსნის საჭიროება. ეხლა ჯერი თქვენზეა. თქვენ პრაქტიკულად უნდა განა-ხორციელოთ იგი.

მანანა ხარხელი
თსუ ეკონომიკის ბიზნესის ფაკულტეტის
ასისტენტ-პროფესორი

ლიტერატურა:

1. Нисипей И. Время руководителя – эффективного использования, М., экономика, 1988, გვ. 104.
2. Архангельский Г., Таим-менеджмент, М., 2014, გვ. 111.
3. ამინოვი ი., ერიაშვილი ნ. საქმიანი ურთიერთობების ფსიქოლოგია, თბ., 2009, გვ. 18.